ზემოქმედებათა შეფასებაზე დრო არ იკარგება. სკრინინგის პრინციპებია:

* თავიდან იქნას აცილებული რაოდენობრივად ბევრი და მასშტაბის მიხედვით მცირე პროექტებზე გზშ-ს ჩატარება;
* განხილული იქნას სამი კრიტერიუმი - პროექტის ტიპი, სიდიდე, მდებარეობა;
* ძირითად ზემოქმედებათა განსაზღვრა და მათი შედარება დასაშვებ ნორმებთან.

2. სკოპინგი - ეს პროცესი მოიცავს, სხვა შესაძლო ზემოქმედებათა შორის, მნიშვნელოვან ზემოქმედებათა განსაზღვრას, რომლებზეც შემდგომ ფოკუსირებული უნდა იქნას გზშ-ს პროცესი. ეს საფეხური მოიცავს ძირითადი პოტენციური ასპექტებისა და მონაცემთა არასაკმარისობის დადგენას. სკოპინგის დროს ხელისუფლების წარმომადგენლის, ინვესტორისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ ხდება გზშ-ს შინაარსის დადგენა.

გზშ უნდა მოიცავდეს:

* წარმოდგენილი პროექტის პირდაპირი და არაპირდაპირი, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ზემოქმედებების განხილვას გარემოზე, სოციალურ გარემოზე და ბუნებრივ რესურსებზე;
* ზემოქმედებათა შემარბილებელ ღონისძიებებს;
* მოცემული გარემოს პირობების არწერას;
* ძირითადი ალტერნატივების განხილვას.

3. გზშ-ს პროცესის ჩატარება - სკოპინგის შემდეგ იწყება თვით გზშ-ს პროცესი, ანუ ინიციატორის მიერ დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზემოქმედებათა დადგენა.

4. გზშ-ს ანგარიშის მომზადება - გზშ-ს ანგარიში ეს არის დოკუმენტი, რომელიც გადაწყვეტილების მიმღებს მიეწოდება ინფორმაცია პროექტის გარემოზე ზემოქმედებათა შესახებ. ანგარიში უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული და უნდა შეიცავდეს:

* პროექტის მახასიათებელთა აღწერას;
* იმ გარემოს აღწერას, რომელიც მოექცევა პროექტის გავლენის არეში;
* ზემოქმედებათა სიდიდეების წინასწარმეტყველებას;
* ზემოქმედებათა მნიშვნელობების განსაზღვრას;
* შემარბილებელ ღონისძიებათა აღწერას;
* პროექტის ალტერნატივების განხილვას;
* არა-ტექნიკური რეზიუმეს.

5. გზშ-ს ანგარიშის განხილვა - ანგარიში წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს გადაწყვეტილების მისაღებად, სწორედ ამიტომ, იგი სწორ და ობიექტურ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს. იმისათვის, რომ თავიდან აცილებული იქნას გარკვეული სახის ხარვეზები, როგორიცაა მაგ. ინფორმაციის არასაკმარისობა, შემოღებულია განხილვის რამოდენიმე კრიტერიუმი. განხილვის კრიტერიუმის შემუშავება გადაწყვეტილების მიმღებთ შესაძლებლობას აძლევს:

* დარწმუნდნენ რომ ყველა შესაბამისი ინფორმაცია იქნა განხილული;
* სწრაფად გაეცნონ წარმოდგენილ პროექტს და გადაწყვიტონ საჭიროა თუ არა დამატებითი ინფორმაცია;
* შეაფასონ პროექტის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შედეგები;
* შეაფასონ გარემოზე ზემოქმედებათა შემარბილებელ ღონისძიებათა და მონიტორინგის საჭიროება.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობა მოითხოვს რომ ანგარიში ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებრივი განხილვისათვის. არსებობს განხილვის ორი ეტაპი: პირველი, საზოგადოების მონაწილეობისა და კონსულტაციების შედეგების განხილვა და მეორე, განხილვა გადაწყვეტილების მისაღებად.

რიგ ქვეყნებში ანგარიშის განხილვა მიმდინარეობს რაიმე ფორმალური კრიტერიუმების გარეშე. გადწყვეტილების მიმღებ ორგანოს შეუძლია განხილვის პროცესში კონსულტანტების ჩართვა, მაგრამ ინვესტორი არ არის ვალდებული დააფინანსოს ისინი. თუ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ჩათვლის, რომ მოწოდებული ინფორმაცია, პროექტის განსახილვის ეტაპზე არ არის საკმარისი, მას შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია. ინვესტორი ვალდებულია უზრუნველყოს კონსულტანტები და საზოგადოება ანგარიშის ასლების საჭირო რაოდენობით.

6. კონსულტაციები და საზოგადოების მონაწილეობა - გზშ-ს პროცესის აუცილებელი ნაწილია საზოგადოების მონაწილეობა. საზოგადოება შეიძლება წარმოდგენილი იქნას:

რეგიონული ხელისუფლებით, ბუნების დაცვითი ორგანიზაციებით, კომერციული სააგენტოებით და სხვა ჯგუფების წარმომადგენლებით, რომლებიც დაინტერესებულნი არიან წარმოდგენილი პროექტით. კონსულტაციებს შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელოვანი როლი გარემოსდაცვითი ასპექტების, სოციალურ ზემოქმედებათა მოცულობებისა და წარმოდგენილი ალტერნეტივებისა და შემარბილებელი ღონისძიებათა მისაღებლობის განსაზღვრაში. კონსულტაციები შეიძლება იწარმოოს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის:

* სააგენტოების, მრჩეველთა და დაინტერესებულ მხარეთა შეტყობინებით;
* დამპროექტებლების ჯგუფისა და გარემოსდაცვითი ჯგუფის შეხვედრით;
* კითხვარების გავრცელებით, იმისთვის რომ შეგროვილი იქნას რაიმე სპეციფიური მო-

ნაცემები და ინფორმაცია;

* წერილების გავრცელებით, რომლებიც იძლევა ინფორმაციას პროექტსა და გზშ-ს პროცესზე;
* პროექტის გასაცნობად საზოგადოებასთან შეხვედრებით.

არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა ჯგუფებს, რომლებიც შესაძლებელია მოექცნენ პროექტის გავლენის სფეროში, გზშ-ს მომზადების დროს კონსულტაციებით შეუძლიათ დახმარება გაუწიონ პროექტის დაგეგმარებას და განხორციელებას.

7. კონსულტაციების შედეგების სინთეზირება და გადაწვეტილების მიღება

გადაწყვეტილებები, რომლებიც დაფუძნებულია გზშ-ს შედეგებზე, ძირითადად მიიღება კომპეტენტური ორგანოს წარმომადგენელთა მიერ, რომლებიც არ იყვნენ ჩართულნი გზშ-ს ყოველდღიურ პროგრესში. გზშ-ს პროცესი ეხმარება მათ იმ ცვლილებების გაგებაში, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს პროექტის განხორციელებას. გადაწყვეტილება შეიძლება იყოს შემდეგი სახის: გადაწყვეტილების მიმღებმა შეიძლება მისცეს ნებართვა პროექტზე ან უარყოს იგი. კომპეტენტურმა ორგანომ შეიძლება რჩევა მისცეს ინვესტორს შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ. თუ პროექტის განვითარება უარყოფილია, ინვესტორს შეუძლია მოითხოვოს აპელაცია.

8. მონიტორინგი და აუდიტი - ამ საფეხურის განხორციელება უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებას და ამ გზით სასურველი შედეგების მიღებას. მონიტორინგის დროს ხდება გარემოს შესახებ ქიმიურ, ფიზიკურ, გეოლოგიურ, ბიოლოგიურ მონაცემების შეგროვება.

გზშ-ს აუდიტი ადარებს საქმიანობის განხორცილების შედეგად წარმოქმნილ ზემოქმედებას გზშ-ს შედეგებთან.

მთლიანობაში გზშ-ს პროცესი წრიულია. ყველა გზშ-ს პროცედურა მოქმედებს სახელმწიფოს პოლიტიკის, კანონმდებლობის და ადმინისტრაციის ფარგლებში. როგორც ინვესტორისათვის, ასევე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოსათვის მნიშვნელოვანია, რომ გზშ-ის პროცედურა სწორედ იქნას ჩატარებული. სწორად ჩატარებული გზშ-ს პროცესი:

* იწყება ადრე დაგეგმარების საფეხურზე;
* ფოკუსირებულია მთავარ ზემოქმედებებზე;
* გრძელდება პროექტის მთელი არსებობის მანძილზე;
* დიდ ყურადრებას უთმობს საზოგადოების მონაწილეობას.

გზშ პროცედურა საქართველოში

საქმიანობის განხორციელებაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემამდე გზშ-ს პროცელურის ჩატარების აუცილებლობა ჩადებულია საქართველოს კანონში „გარემოს დაცვის შესახებ" (თავი X, მუხლი 37, 38). შემდგომ გზშ-ს ჩატარების პროცედურა უფრო დეტალურად ასახულია საქართველოს **კანონში** „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" (თავი III, მუხლი 14,15, 16).

„გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, გზშ აღწერს საქმიანობის პირდაპირ და არაპირდაპირ ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე, მცენარეულ საფარზე, ცხოველთა სამყაროზე, ნიადაგზე, ჰაერზე, კლიმატზე, ლანდშაფტზე, ეკოსისტემებსა და სხვადასხვა მნიშვნელოვან გარემო ფაქტორებზე. გზშ პროცესის ორგანიზებასა და ჩატარებას ახორციელებს ინვესტორი. მან უნდა დაადგინოს თუ რა ზემოქმედებას მოახდენს მის მიერ დაგეგმილი საქმიანომობა გარემოზე. გზშ-ს ჩასატარებლად ინვესტორს შეუძლია ტენდერის საფუძველზე შეარჩიოს გრემოსდაცვითი პროფილის, სათანადო ფორმით რეგისტრირებული, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური საკონსულტაციო ფირმა. გზშ-ს ჩატარებას აფინანსებს თვით ინვესტორი და საჭირო თანხებს ითვალისწინებს საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების ხარჯთაღრიცხვაში.

I კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემა აკრძალულია გზშ-ს ანგარიშის გარეშე, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა. ცხადია, რომ გზშ ანგარიში ინდივიდუალურია თვითოეული საქმიანიობისათვის. ცალკეულ შემთხვევისთვის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ადგენს იმ საკითხთა სიას, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ინვესტორის მიერ გზშ-ს ჩატარების დროს. მაგალითისთვის ქვემოთ მოყვანილია ერთ-ერთი რეალური გზშ ანგარიშის შინაარსი.

I პროექტის აღწერა

1.1 გზშ-სა და გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურის საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა

1.2 პროექტის მიზანი

1.3 ტექნიკური მონაცემები

1.3.1 სამშენებლო სამუშაოების მონაცემები

1.3.2 საექსპლუატაციო მონაცემები

II არსებული გარემოს პირობები

2.1 ადგილმდებარეობა (დაშორება მოსახლეობიდან, კლიმატური მონაცემები)

2.2 გარემოს არსებული მდგომარეობა

2.2.1 გრუნტის წყლის ხარისხი - შედეგები

2.2.2 ნიადაგის ხარისხი - შედეგები

III გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება

3.1 გარემოზე ზემოქმედების წყაროების იდენტიფიკაცია

3.2 ზემოქმედების ხარისხი და მოსალოდნელი შედეგები

3.3 შემარბილებელი ღონისძიებები

3.4 გარემოს ახალი მდგომარეობის პროგნოზი

3.5 მონიტორინგი

3.6 ავარიის შემთხვევაში რეაგირების გეგმა

3.7 ტერიტორიის რეაბილიტაცია დამთავრების ფაზაში

IV პროექტის ალტერნატიული ვარიანტების განხილვა, დასკვნა/ რეკომენდაციები

„გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მუხლი 15 და 16 ასახავს გზშ პროცედურაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის პირობებს. ინვესტორს უფლება აქვს ჩაატაროს გზშ-ის საჯარო განხილვა. ამისათვის მან უნდა უზრუნველყოს განხილვის დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება. განხილვაზე დასწრების უფლება აქვს საზოგადოებრიობის ყველა დაინტერესებულ წარმომადგენელს. საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს შეუძლიათ მიაწოდონ ინვესტორს მოსაზრებები და შენიშვნები პირველი კატეგორიის საქმიანობასთან დაკავშირებით, ხოლო ინვესტორი ვალდებულია გაეცნოს მათ წერილობით მოსაზრებებს და გაითვალისწინოს მათი არგუმენტები დამასაბუთებელი დოკუმენტაციის საბოლოო სახით გაფორმების პროცესში.

საზოგადოებრიობის მონაწილეობა უაღრესად მნიშვნელოვანია გზშ პროცესისთვის. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს აქვს საზოდაგოებრიობის მონაწილეობის საინტერესო გამოცდილება. მაგალითად, 80-იან წლებში ტრანს-კავკასიური რკინიგზის მშენებლობა გაჩერებული იქნა საზოგადოებრიობის მოთხოვნით, რადგანაც სათანადოდ არ იყო შეფასებული ამ პროექტის გარემოზე ზემოქმედება.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს უფლება აქვთ საკუთარი ხარჯებით აწარმოონ გარემოზე ზემოქმედების დამოუკიდებელი შეფასება და წარუდგინონ შედეგები ნებართვის გამცემ ორგანოს, ანუ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სამინისტრომ ამ შეფასების შედეგები უნდა გაითვალისწინოს გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების წარმომადგენელი არ ეთანხმება გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

საქმიანობა შეიძლება განთავისუფლდეს გზშ-საგან თუ ინვესტორი იმეორებს ადრე დაწყებულ საქმიანობას, რომლისთვისაც უკვე შესრულებულია გზშ ან თუ საერთოსახელმწიფო ინტერესები მოითხოვს, რათა საქმიანობა სწრაფად დაიწყოს.

გზშ შედეგები წარმოადგენს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ობიექტს, რომელიც აფასებს გზშ ანგარიშში მოყვანილი მონაცემების სიზუსტეს და ობიექტურობას.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა, და ასევე ის როლი, რომელიც ენიჭება გზშ-ს პროექტის განხორციელებაზე ნაბართვის მისაღებად, მსგავსია დიდი ბრიტანეთის სისტემისა. ორივე ქვეყნის კანონმდებლობაში ხაზგასმულია, რომ პროექტზე ნებართვის მისაღებად გარემოზე ზემოქმედებათა შეფასება მხედველობაში უნდა იქნას მიღებული. ინვესტორი ვალდებულია გარემოზე შესაძლო ზემოქმედებათა ანგარიში წარუდგინოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს. დიდ ბრიტანეთში ეს არის ადგილობრივი დაგეგმარების ორგანო, საქართველოში - გარემოს დაცვის სამინისტრო ან მისი რეგიონალური ორგანოები. არც ერთ ქვეყანაში არ არის ფორმალური აკრედიტირება გზშ-ს კონსულტანტებზე, მაგრამ ორივე ქვეყანაში ანგარიშის მომზადების პროცესში ინვესტორს აქვს კონსულტანტების ჩართვის უფლება.

საქართველოსა და დიდ ბრიტანეთში გზშ-ს პროცესის საფეხურები მსგავსია. არც ერთ ქვეყანაში არ არის ფორმალური მოთხოვნა სკრინინგის პროცესზე. გზშ-ს კანონმდებლობაში მოცემულია პროექტის კატეგორიების სია და ინვესტორმა უნდა განსაზღვროს რომელ კატეგორიას განეკუთვნება პროექტი. აქედან გამომდინარე არ

არის მთლიანი სკრინინგის პროცესის აუცილებლობა.

ორივე ქვეყანაში არ არის სკოპინგის პროცესის ფორმალური მოთხოვნა, მაგრამ შეფასების მოცულობა შეიძლება იქნას განხილული ერთობლივად ინვესტორისა და კომპეტენტურ ორგანოს მიერ.

ანგარიშს, რომელსაც ინვესტორი აბარებს კომპეტენტურ ორგანოს დიდ ბრიტანეთში უწოდებენ გარემოსდაცვით განაცხადს, ხოლო საქართველოში მას უწოდებენ გზშ-ს ანგარიშს. ორივე ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად ინვესტორი ვალდებულია დააფინანსოს ანგარიშის მომზადება. ანგარიში უნდა შეიცავდეს დაგეგმილი მოქმედების აღწერას, პროექტის გარემოზე, ადამიანებზე და ბუნებრივ რესურსებზე შესაძლო ზეგავლენის შეფასებას. აგრეთვე დიდი ყურადღება ეთმობა გზშ-ს პროცესში ალტერნატივების განსაზღვრას.

ორივე ქვეყანაში არსებობს გზშ-ს პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ფორმალური მოთხოვნა და დოკუმენტები, რომლებიც შემოტანილი იქნება ინვესტორის მიერ უნდა შეიცავდეს კონსულტაციებისა და საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს. აგრეთვე არსებობს მოთხოვნა, რომ პროექტის შესახებ დოკუმენტაციები ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებრივი განხილვისათვის.

დიდ ბრიტანეთში გზშ-ს ანგარიში განხილული უნდა იქნას კონსულტანტების მიერ, საქართველოში მას იხილავენ კომპეტენტური ორგანოს (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს) ექსპერტები. საქართველოში გზშ-ს ამ საფეხურს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა ეწოდება.

ნებართვის გაცემა საქართველოში ხდება გარემოს დაცვის სამინისტროსა ან მისი რეგიონული ორგანოების მიერ. დიდ ბრიტანეთში - ადგილობრივი დაგეგმარების ორგანოს მიერ.

ორივე ქვეყანაში არ არსებობს ფორმალური მოთხოვნა განხორციელებული პროექტების მონიტორინგზე.

4. სახელმწიფო ეკოლოგიური ექპერტიზა

ზემოთ მოყვანილი ინფორმაციიდან გამომდინარე, გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს ყველა კატეგორიის საქმიანობისათვის წარმოადგენს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა.

ამ პროცედურას არეგულირებს საქართველოს კანონი „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ", რომელიც ამოქმედდა 1997 წლის 1 იანვრიდან (პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება - საქართველოს კანონები, 1996 წ., № 27-28/4 (გვ.17-21); გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა", 1996 წ., 5 ნოემბერი, № 222, გვ.3).

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა არის გარემოსდაცვითი ხასიათის აუცილებელი ღონისძიება, რომელიც ხორციელდება საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ საქმიანობაზე, რომლის განხორციელება დაგეგმილია კანონის ძალაში შესვლის შემდეგ. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის მიზანია გარემოსდაცვითი მოთხოვნების, რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და მდგრადი განვითარების პრინციპების საფუძველზე უზრუნველყოს კონტროლი გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებაზე. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა არის აუცილებელი პირობა საქმიანობის განხორციელებაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების უფლება აქვთ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, აჭარისა და აფხაზეთის რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის რეგიონალურ (საქალაქო) ორგანოებს.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია ინვესტორს წარუდგინოს საკანონმდებლო, ნორმატიულ-ტექნიკური და ინსტრუქციულ-მეთოდური დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო ეკოლოგური ექსპერტიზის ორგანიზებასა და ჩატარებას, მოახდინოს საზოგადოებრიობის ინფორმირება. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებისათვის უფლებამოსილი ორგანო აყალიბებს საექსპერტო კომისიას, რომელიც შედგება კონკრეტული პროექტისთვის აუცილებელი კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან და უზრუნველყოფს მათ ექსპერტიზის პროცესისთვის საჭირო ინფორმაციით.

დამოუკიდებელი ექსპერტების რაოდენობა საექსპერტო კომისიაში დამოკიდებულია პროექტის მაშტაბებზე. თვითოეული ექსპერტი საპროექტო დოკუმენტაციის ინდივიდუალური განხილვის შემდეგ აყალიბებს თავის დასკვნას და მას წარუდგენს საექსპერტო კომისიას. ყველა ექსპერტის აზრის გათვალისწინებით დგება კრებითი დასკვნა, რომელსაც ამტკიცებს ექსპერტიზის ჩატარების სფეროში უფლებამოსილი ორგანო.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. დადებითი დასკვნა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ დამასაბუთებელი დოკუმენტაცია შეესაბამება საქართველოს

კანონმდებლობას და საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედ გარემოს დაცვის ნორმებსა და სტანდარტებს; საქმიანობის განხორციელება განსაზღვრულ ადგილსა და გარემოში არ გამოიწვევს გარემოს მდგომარეობისა და ბუნებრივი რესურსების შეუქცევად ცვლილებებს; ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებებს, ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებათა ჩათვლით.

მსგავსად გზშ-ს პროცედურისა, სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია საზოგადოებრიობის დაინტერესებულ წარმომადგენლებს. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცედურაში საზოგადოებრიობა ერთვება ექსპერტების მიერ დასკვნების შემუშავების პროცესში. ექსპერტთა კომისიის მიერ კრებითი დასკვნის გამოტანისას გათვალისწინებული უნდა იქნას საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა არგუმენტები და მოსაზრებები.

ინვესტორი მოვალეა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზაზე წარადგინოს საქმიანობის დამასაბუთებელი დოკუმენტაცია კანონმდებობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პროცესის დაფინანსება, რომელიც მოიცავს ხარჯებს ექსპერტიზის პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის, დამოუკიდებელ ექსპერტთა შრომის ანაზღაურებისა და დასკვნის შედგენის ღირებულების ხარჯებს. ინვესტორი ვალდებულია გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების შემდეგ საქმიანობა განახორციელოს ექსპერტიზის დადებითი დასკვნის პირობების შესაბამისად.

ინვესტორს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული დავის წამოჭრის შემთხვევაში.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ძირითადი პრინციპები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

* საქმიანობის პოტენციური ეკოლოგიური საშიშროების რისკის შეფასება;
* საქმიანობის დაწყებამდე გარემოზე მისი შესაძლო ზეგავლენის შეფასების კომპლექსურობა;
* გარემოსდაცვით მოთხოვნათა და გარემოს დაცვის ნორმების გათვალისწინება;
* ექსპერტთა დამოუკიდებლობა და მათი უფლებამოსილების შეუზღუდავი განხორციელება;
* ექსპერტიზის დასკვნის დასაბუთებულობა და კანონიერება;
* ექსპერტიზის ჩატარების საჯარაობა, საზოგადოებრიობის მონაწილეობა და მისი აზრის გათვალისწინება.

შესრულებული პროექტის განხილვა

გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ კანონის შემუშავების შემდეგ გარემოზე ზემოქმედების შეფასება ჩაუტარდა ორ პროექტს. ვფიქრობთ, თქვენთვის საინტერესო იქნება ერთ-ერთი მათგანის განხილვა.

გარემოსდაცვითი ნებართვა №1 გაეცა დასავლეთის საექსპროტო მილსადენის, სუფსის ტერმინალისა და საზღვაო გადასატვირთი მოწყობილობის პროექტს.

1996 წლის მარტში დაიდო ხელშეკრულება საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციისა (სნსკ) და აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის (ასსკ) პარტნიორ კომპანიებს შორის, რასაც მოჰყვა საქართველოში ასსკ-ის ასოცირებული კომპანიის - საქართველოს მილსადენის კომპანიის (GPC) შექმნა. ამ ხელშეკრულებით დაიწყო საექსპორტო ნავთობსადენის დასავლეთის მარშრუტის (სნდმ) პროექტის განხორციელება. ამ პროექტის მიზანს წარმოადგენს ადრეული ნავთობის საექსპორტო მილსადენის მშენებლობა აზერბაიჯანის კასპიის ზღვის სანაპიროდან საქართველოს შავი ზღვის ნაპირზე განლაგებულ ახალ ტერმინალამდე და საექპორტო საზღვაო ჩასატვირთ მოწყობილობამდე. სნდმ დაიწყება სანგაჩალის ტერმინალიდან აზერბაიჯანში, ბაქოდან 40 კმ-ის მოშორებით. მილსადენის ახალი მონაკვეთი, რომელიც 40 კმ სიგრძისა იქნება საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრიდან დაიწყება და სამგორთან არსებულ მილსადენს შეუერთდება. 360 კმ-იანი არსებული აღსადგენი მილსადენი სამგორიდან იწყება და სუფსის ტერიტორიაზე გრძელდება, სადაც ტერმინალის აგებაა დაგეგმილი. დღეღამეში ნავთობსადენი გააატარებს 115 000 ბარელს ადრეულ ნავთობს.

პროექტის განხორციელების დაწყებამდე GPC-ის მიერ ჩატარებულ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე საექსპორტო მილსადენის აღდგენა და მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასება. ასევე ჩატარებულ იქნა შავი ზღვის სანაპიროზე, სუფსაში დაგეგმილი ნავთობის ტერმინალისა და საზღვაო ჩასატვირთი მოწყობილობის გზშ. მილსადენის გზშ-ს ჩასატარებლად GPC მიერ მოწვეული იქნა საერთაშორისო საკონსულტაციო ფირმა *Dames&Moore,* ხოლო მილსადენის სუფსის ტერმინალისა და საზღვაო გადასატვირთი მოწყობილობის გზშ შესრულებული იქნა ნორვეგიული საკონსულტაციო ფირმა *Det Norske Veritas (DNV)* მიერ ქართველ მეცნიერებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

პროექტის გზშ ანგარიში შედგება ორი ნაწილისაგან: 1) დასავლეთი საექპორტო მილსადენის გზშ ანგარიში; 2) სუფსის

ტერმინალის და საზღვაო გადასატვირთი მოწყობილობის გზშ ანგრიში.

პროექტის გზშ

დასავლეთი საექსპორტო მილსადენის გზშ პროცესი საკმაოდ რთული იყო, რადგანაც მილსადენი ჰკვეთს მრავალ ლანდშაფტს და მოიცავს მრავალ ბუნებრივ მახასიათებლებს. ინფორმაციის მოსაპოვებლად სამი სხვადასხვა ხერხი იქნა გამოყენებული:

1. მოძიებული იქნა ლიტერატურა, რომელიც მილსადენის 4 კმ-იან დერეფანში არსებულ გარემოს მდგომარეობას აღწერდა. კვლევა ჩატარდა ქართველი მეცნიერების მიერ 15 თემატურ ჯგუფში;
2. ქართველ და ბრიტანულ მეცნიერთაგან შემდგარმა ჯგუფმა აღწერა მილსადენის მიმდებარე ტერიტორიის ფიზიკური გარემო, ადგილსამყოფელოები და ადგილები, სადაც ნიადაგის დაბინძურება შეინიშნებოდა;
3. საკონსულტაციო ფირმა `Dames&Moore~-მა განსაკუთრებული მნიშვნელობის ადგილებზე გავლით დააზუსტა ზემოთხსენებული მეთოდებით მოპოვებული ინფორმაცია;

გზშ-ს ამ ეტაპმა გამოააშკარავა ის ადგილები, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა გზშ-ს შემდგომ საფეხურებზე, მათ შორისაა:

* მილსადენის გასწვრივ დაფიქსირებული ბრინჯაოს ხანა-შუასაუკუნეების პერიოდის 225-მდე არქეოლოგიური ძეგლი.
* მილსადენის ტრასის გასწვრივ არსებული დაცული ტერიტორიები (გარდაბნის სატყეო-სამონადირეო მეურნეობა, საგურამოს ნაკრძალი, აჯამეთის ნაკრძალი, კოლხეთის ჭარბტენიანი რეგიონი - საერთაშორისო დაცული ტერიტორია)
* მილსადენი ასევე კვეთს მიწისქვეშა წყლების სასმელი მიზნით მოპოვების რამოდენიმე ადგილს. ეს ადგილები ემთხვევა დასავლეთ საქართველოში მდინარე რიონის, აღმოსავლეთ ტერასებს.

GPC-მ რესურსებსა და მოსახლეობაზე პროექტის შესაძლო ზემოქმედების შესამცირებლად ინჟინრებთან თანამშრომლობის შედეგად შეიმუშავა მშენებლობისა და აღდგენითი სამუშაოების სპეციფიკაციები, რათა თავიდან იქნას აცილებული ყოველგვარი უარყოფითი ზეგავლენა, ანდა შემცირდეს ზემოქმედების მასშტაბი და ხანგრძლივობა.

პროექტის გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად შემუშავებულ იქნა შემდეგი საინჟინრო ღონისძიებები:

1. ნავთობსადენის დაყოფა გარკვეული სიგრძის მონაკვეთებად, რაც მინიმუმამდე დაიყვანს დაღვრილი ნავთობის მოცულობას ავარიის შემთხვევაში.
2. ნავთობსადენზე მექანიკური ჩამკეტი სარქველების დამონტაჟება, რომლებიც დაღვრის შემთხვევაში ჩაიკეტება.
3. რთულ ლანდშაფტებზე უკუსარქველების დაყენება, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ნავთობის უკუდინება.
4. გაჟონვის ავტომატური აღმომჩენი სისტემის დამონტაჟება.
5. უსაფრთხოების პროგრამის დანერგვა, რათა თავიდან იქნას აცილებული ნავთობსადენის უკანონო დახვრეტა.
6. მილსშიგა გამზომი აპარატის გაშვების რეგულარული პროგრამის შემუშავება ნავთობსადენის კოროზიული და კონსტრუქციული დარღვევების გამოსავლენად.
7. ყველა მდინარეთა გადაკვეთაზე მილსადენის ჩამარხვა, იმ ადგილების გამოკლებით სადაც შესაძლოა მოხდეს მილების სრული აღდგენა.

რაც შეეხება სუფსის ტერმინალს, მის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს 16 მ სიმაღლისა და 25 მ დიამეტრის ნავთობის შესანახი ოთხი რეზერვუარი. სამი დიდი ტუმბოს საშუალებით ნავთობი გადაიტუმბება ტივტივამდე, რომელიც ზღვაში, ნაპირიდან 3 კმ-ის მანძილზე იქნება დამაგრებული. მილსადენი მთელ სიგრძეზე დაიმარხება. საშუალოდ კვირაში ერთხელ შემოვა 60 000 - 150 000 ტ წყალწყვის ნავთობის ტანკერი, რომელიც ჩასატვირთ მოწყობილობას მიუერთდება. თანკერში ნავთობის გადატუმბვა 24 სთ იწარმოებს. გარდა ამისა ტერმინალის ტერიტორიაზე აშენდება ადმინისტრაციული შენობა მომუშავე პერსონალის (დახლოებით 40 კაცი) საცხოვრებლად.

სუფსის ტერმინალისა და საზღვაო ჩასატვირთი მოწყობილობის გზშ პროცესში დადგენილი იქნა შემდეგი უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები:

* სანაპირო ზოლის ადგილსამყოფელოები და თანასაზოგადოებები
* სატოფე ადგილები და თევზების სახეობების საკვები/სამიგრაციო არეები
* სანაპირო წყლების ფრინველთა სახეობები
* ადგილსამყოფელოები (ჰაბიტატები)
* ვიზულაური ლადშაფტები
* ხმაური
* გრუნტის წყლები და სასმელი წყლის ადგილობრივი წყაროები

სუფსის კანიონი, პალიასტომის ტბა და სუფსის, რიონის და ფიჩორას ტოტები და ფოთის ჩრდილოეთით დაგეგმილი ნაკრძალის ტეროტორია ითვლება ეკოლოგიურად ყველაზე მგრძნობიარე ადგილებად ტანკერების დატვირთვის დროს შესაძლო ავარიების გამო.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კოლხეთის ჭარბტენიან ტერიტორიებს, რომლებიც მდებარეობს ტერმინალის ტერიტორიისა და მილსადენის ჩრდილოეთით და წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე დაცულ ტერიტორიას.

გზშ შესაბამისად ზღვაში ნავთობის დაღვრის ალბათობა არის უმნიშვნელო. მიუხედავად ამისა ითვლება, რომ ზღვაში ნავთობის დაღვრის გამომწვევი ავარია ყველაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას მოახდენს ბუნებრივ გარემოზე. ამიტომ შემუშავდება დეტალური გეგმები და პროცედურები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ტანკერის ჩატვირთვის ოპერაციების შესაძლო მაქსიმალური უსაფრთხოება. შემუშავდება ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმა ავარიის შემთხვევაში ნავთობის გავრცელების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. სპეციალური მოწყობილობები დამონტაჟდება გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ყველაზე სენსიტიურ ადგილებში, სახელდობრ - სუფსისა და ფოთის ჩრდილოეთით მდებარე მდინარეების შესართავებთან. აგრეთვე შემუშავდება გარემოსდაცვითი მენეჯმენტის დეტალური პროცედურები, რომლებიც მოიცავას ექსპლუატაციის პროცესის მონიტორინგს, კადრების მომზადებასა და გარემოსდაცვითი ინსპექციების ჩატარებას.

საზოგადოების ინფორმირების მიზნით გაზეთებში გამოქვეყნდა ინფორმაცია GPC-ს მიერ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ სადაც მითითებული იყო წერილობითი შენიშვნებისათვის განსაზღვრული ვადა და ადგილი, სადაც შეიძლებოდა გზშ ანგარიშის გაცნობა. გზშ სრული ანგარიში მოთავსებული იქნა მილსადენის ტრასის გასწვრივ მდებარე მნიშვნელოვანი ქალაქების ბიბლიოთეკებში, კერძოდ, რუსთავში, თბილისში, ქუთაისში, ლანჩხუთში, ფოთსა და ბათუმში. თბილისში გზშ ანგარიშის გაცნობა შესაძლებელი იყო საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის შენობაში.

1997 წლის იანვარში მოეწყო ორი შეხვედრა საზოგადოებასთან, სადაც წარმოდგენილი იქნა პროექტის მნიშვნელობა და გზშ პროცესის შედეგები. პირველი შეხვედრა მოეწყო თბილისში და მას დაესწრო 60 ადამიანი. მეორე შეხვედრა ჩატარდა ლანჩხუთში და მას 200 ადამიანი დაესწრო. აგრეთვე მოეწყო გამოფენები, რომლებზეც წარმოდგენილი იყო მილსადენის პროექტი და გარემოზე ზეგავლენის შეფასების პროცესი, დართული იყო მილსადენის გასწვრივ დარეფნის, ტერმინალის ადგილისა და სანაპირო ზოლის გარემოს ამსახველი ფოტოები და მილსადენის მთელი გზის რუკა აზერბაიჯანის საზღვრიდან შავი ზღვის სანაპირომდე.

საზოგადოებრიობიდან მიღებული იქნა წერილობითი ფორმით 200-მდე შენიშვნა და კომენტარი, რომელთა ნაწილი გათვალისწინებული იქნა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში, ნაწილი კი დასაბუთების შემდეგ მოხსნილი იქნა. გარდა ამისა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობით მოეწყო რამოდენიმე შეხვედრა გარემოსდაცვითი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომდგენლებთან, სადაც მათ შეეძლოთ დასავლეთის საექსპორტო მილსადენის პროექტთან დაკავშირებით თავიანთი იდეების გაზიარება. ერთ-ერთ შეხვედრაზე ნაჩვენები იყო GPC-ს მიერ ვერტმფრენიდან გადაღებული მილსადენის მთლიანი ტრასა.

პროექტის სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა

შემდეგ ეტაპზე გზშ ანგარიში წარმოდგენილი იქნა GPC-ის მიერ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინიტროში სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე, რომელსაც ქართველი ექსპერტები ატარებდნენ. სახელმწიფო ეკოლოგიურმა ექსპერტიზამ გამოავლინა რიგი საკითხები, რომლებიც არასრულყოფილად იყო ასახული გზშ ანგარიშში. ყველა ეს საკითხი პირობების სახით დაერთო გარემოსდაცვით ნებართვას. ქვემოთ მოყვანილია არსებული მილსადენის დერეფანში დამატებითი ეკოლოგიური შესწავლების სია, რომელიც წარმოადგენს GPC-ის მიერ მიღებული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებს:

1. მდინარეთა გადაკვეთების შესწავლა მოხდეს იმ სენსიტიური ადგილების გამოსავლენად, რომელთა შესახებ საჭირო იქნება დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, რათა დეტალურად შემუშავდეს ნავთობის დაღვრის შემთხვევაში ნავთობის შეკავების ინსტრუქციები. პრიორიტეტი მიენიჭოს განსაკუთრებით ეკოლოგიურად სენსიტიური ადგილების შესწავლას. ასეთი ადგილების დადგენა მოხდეს ერთობლივად გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინსტროსთან.

2.მდინარეთა დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს მილსადენის კომპანიის მიერ მიღებული წყალსატევების ნავთობის დაღვრისაგან დაცვითი ღონისძიებები, რომლებიც 27 მნიშვნელოვან მდინარეზე მილსადენის არსებული მიწისზედა ნაწილის ჩამარხვის პირობების შესწავლისას იქნა ჩამოყალიბებული, გამოყენებული იქნეს მიწისზედა მილსადენის იმ მონაკვეთის ჩამარხვის შემთხვევაშიც, რომელთა გატარებაც გადაწყვეტილი იქნება სხვა მდინარეთა ქვეშ, თუ ადგილზე შესწავლისას წარმოიშვება გადაკვეთის შეცვლის საჭიროება კონსტრუქციული მთლიანობის დარღვევასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოქმნის

გამო.

3.ყველა მთავარი მდინარის გადაკვეთაზე მილსადენი ჩამარხული იქნეს ორი მეტრის სიღრმეზე. მილსადენის ჩადების სიღრმედ განისაზღვროს მანძილი ჩადებული მილსადენის ზედაპირის ზედა წერტილიდან მდინარის გადაკვეთის ადგილას კალაპოტის ფსკერის ქვედა ნიშნულამდე.

მილსადენის ექსპლუატაციის პერიოდში რეგულარულად მოხდეს ასეთი მონაკვეთების დათვალიერება და ყურადღება მიექცეს, როგორც თვით მილსადენის ასევე მდინარის ფსკერის ცვლილებებს.

4. არსებული გარემოზე მილსადენისა და მისი ინფრასრუქტურის მიერ მოსალოდნელი ზემოქმედების შესწავლის მიზნით, განსაკუთრებული სენსიტივობის ადგილებში გარემოს მდგომარეობის რაოდენობრივი შეფასებისათვის შემუშავებული იქნეს მონიტორინგის პროგრამა. პროგრამის განუყოფელ ნაწილად ჩაითვალოს იმ დეტალურ მონაცემთა შეგროვება, რაც ხელს შეუწყობს ნავთობის დაღვრის რისკის შეფასებასა და შემცირების გეგმის შედგენას.

5. სუფსის ტერმინალიდან პლაჟამდე გამავალი მილსადენის მონაკვეთის ტრასის დერეფანში სფაგნუმიან ტორფიანი ჭაობების თანასაზოგადოებებში მესამეული პერიოდის რელიქტური სახეობების შესაძლო არსებობისა და პლაჟზე იშვიათი მცენარეების გავრცელების დადგენის მიზნით ჩატარდეს სპეციალური გამოკვლევები.

6. ვინაიდან პროექტით გათვალისწინებულია მდინარე სუფსაში, როგორც გაწმენდილი საკანალიზაციო წყლის ასევე გაწმენდილი ნავთობშემცველი წყლის ჩაშვება, აუცილებელია ზემოთაღნიშნულის განხორციელებამდე მდინარე სუფსის წყლის არსებული მდგომარეობის დადგენა, რათა ტერმინალის ჩაშვებისა შესაძლო გახდეს გარემოზე შესძლო მავნე ზემოქმედების დაფიქსირება.

7. ტერმინალის ტერიტორიაზე, მის ირგვლივ საკურორტო და საცხოვრებელ დასახლებებში ტერმინალისა და ზღვაში ჩასატვირთი მოწყობიობის ექსპლუატაციის დროს ჰაერის ხარისხის მოსალოდნელი მდგომარეობის შეფასების მიზნით, სამუშაოთა დაწყებამდე შემუშავებული იქნეს პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ჰაერის ხარისხის რაოდენობრივი და თვისობრივი მდგომარეობის მახასიათებლების დასადგენად საჭირო გამოკვლევები ტერმინალისა და ზღვაში ჩასატვირთი მოწყობილობის მიერ მოსალოდნელი ემისიის ზემოქმედების გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს აორთქლებადი ორგანული ნივთიერებების (აონ) მიერ ჰაერის დაბინძურებას, რათა არ მოხდეს ნავთობის სუნის გავრცელება ზემოთაღნიშნულ დასახელებულ ადგილებში. პროგრამა შესათანხმებლად გადაეცეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.

8. ზღვის ფსკერზე გამავალი მილსადენი და ზღვაში ჩასატვირთი მოწობილობის შესახებ მიმდინარე დამატებითი გამოკვლევების შედეგები და შესაძლო დამატებით სამუშაოთა მოცულობის ცვლილებებზე მიღებული გადაწყვეტილებები, აგრეთვე 2.3 პუნქტით გათვალისწინებული მდ. სუფსის პროგრამა წარმოდგენილი იქნეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში შესათანხმებლად.

9. ნავთობის შესაძლო დაღვრის მიმართ ზღვის ზოლის გარემოს სენსიტიურობის დასადგენად წელიწადის დროების მხედველობაში მიღებით ჩატარებული იქნეს დამატებითი გამოკვლევები, რომლებიც ხელს შეუწყობს ნავთობის დაღვრის გეგმის შედგენისათვსი ცალკეული სენსიტიური ადგილების დადგენას. ფრინველთა პოპულაციების მოცულობათა და სახეობების დადგენის მიზნით ჩატარდეს მათი სეზონური დავლა.

10. ეკოლოგიურად სენსიტიური ადგილების დაცვის მიზნით საჭირო საინჟინრო და გარემოსდაცვით პირობათა დასადგენად ჩატარდეს დამატებითი სამუშაოები გარემოსდაცვითი რისკის შეფასების სრულყოფისათვის.

11.მილსადენის ეკოლოგიური საშიშროების საშიშროების თავიდან აცილების მიზნით მოხდეს იმ ადგილების იდენტიფიკაცია, სადაც აუცილებელია ეროზიის კონტროლის ღონისძიებების ჩატარება. შემუშავებული იქნას ეროზიის კონტროლის გეგმა. გეგმის ერთი ექზემპლიარი გადაეცეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.

12.ყურადღება მიექცეს მილსადენის იმ მონაკვეთებს, რომლებიც კვეთენ მიწისქვეშა სასმელი წყლის წყალშემკრებ აუზებს. ასეთი მონაკვეთების დასაცავად გამოყენებული იქნეს ყველა შემარბილებელი საშუალებები, რათა არ მოხდეს ნავთობით მიწისქვეშა წყლების დაბინძურება, როგორც მშენებლობისა და რეკონსტრუქციის, ასევე ექსპლუატაციის პერიოდში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მილსადენის მუხრანის ველზე გამავალ მონაკვეთს, რადგან მიწისქვეშა წყლების აქ არსებული მარაგებით ხორციელდება წყალმომარაგება.

13.ჩატარდეს დამატებითი სამუშაოები

ტერმინალის და სატუმბი სადგურების მიერ ხმაურის მოსალოდნელი დონეების შეფასების მიზნით.
საქართველოში მომქმედი ხმაურის სტანდარტებთან შეუსაბამობის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნეს ხმაურის შემარბილებელ ღონისძიებათა აუცილებლობა.
შესწავლის შედეგები წარმოდგენილი იქნეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში შეთანხმებისათვის.

14.ადგილობრივი ეკოლოგიური თავისებურებებისა და ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით შემუშავებული იქნეს ლანდშაფტის მოწყობის გეგმა.

15. შემუშავებული უნდა იქნეს ნარჩენების მართვის ოპტიმალური სტრატეგია, პროგრამა და გეგმა, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება, როგორც მილსადენის მოსამზადებელი და აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობის დროს, ასევე ოპერირების პერიოდში წარმოქმნილი ნარჩენების გადამუშავებისა და განთავსების საკითხები.
ნარჩენების სტრატეგია უნდა ეფუძვნებოდეს ნარჩენების წარმოქმნის მინიმიზაციის პრინციპს და უნდა ითვალისწინებდეს იმ კლასის მაქსიმალურ უტილიზაციასა და გამოყენებას, რომლის გადამუშავებაც ან გამოყენებაც შესაძლებელია.
ნრჩენების გადამუშავების, ტრანსპორტირებისა და განთავსების გეგმები და მათთან დაკავშირებული პროექტები ცალკე უნდა იქნეს განხილული და წარდგენილი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ნებართვის მისაღებად.

16.მილსადენის გარდაბნის მინაკვეთის (მილსადენის ახალი მონაკვეთი) მშენებლობის დამთავრების შემდეგ მაქსიმალურად აღდგეს გარემოს პირვანდელი მდგომარეობა.

17.შემუშავებული იქნეს ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმები, როგორც სახმელეთო ასევე საზღვაო ოპერაციის მსვლელობისას, და მილსადენისა და ტერმინალის ექსპლუატაციის დაწყებამდე წარდგენილი იქნეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში შესათანხმებლად.

18.შემუშავდეს გარემოს მართვის ერთიანი გეგმა და შეთანხმდეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან. გეგმის შესრულების შესახებ ინფორმაცია რეგულარულად წარმოდგენილი იქნეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობების შესრულება უნდა მოხდეს პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის დაწყებამდე. დღესდღეობით GPC-ის მიერ შესრულებულია რიგი პირობები და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოდგენილია შემდეგი ანგარიშები:

- მდინარეების დაცვის პრინციპები, გზშ-ს დამატება, ტ. I და II; GPC, მაისი, 1997 წ.
- ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმა; GPC
- ხმელეთზე განლაგებული საექსპორტო ნავთობსადენის ნავთობისგან დაცვლა და ჰიდროტესტირება; GPC
- სუფსის ტერმინალის გარემოზე ზემოქმედების შეფასება; FUGRO ENGINEERS B.V.
- ჰაერის დაცვის პრინციპები; GPC
- სუფსის მიდამოების გრემოსდაცვითი მონიტორინგი; GPC

გარემოსდაცვითი ნებართვა, რომელიც GPC-ს გაეცა, მუდმივად გადახედული იქნება. შესაძლებელია ახალი პირობების დადგენაც. ეს მუშაობა მიმდინარეობს ამჟამადაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

გარემოსდაცვითი ნებართვის სფეროში ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ

ერთ წელიწადზე მეტი გავიდა მას მერე, რაც ამოქმედდა საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ". ამ კანონის ცხოვრებაში გატარებამ გამოაშკარავა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც კანონში შესწორებას მოითხოვენ.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ შემოთავაზებული იქნა რამოდენიმე შენიშვნა არსებული კანონისადმი. მაგალითად, გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტში შემოდის გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად განაცხადები ისეთ საქმიანობებზე, რომლებიც საერთოდ არ არის შეტანილი საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქმიანობების ჩამონათვალში. მაგალითად, პარფუმერიული წარმოება, კერძოდ კი საპნის წარმოება, რომელიც ითვალისწინებს კაუსტიკური სოდისა და ცხიმების გამოყენებას. ეს საქმიანობა დიდ ზემოქმედებას ახდენს როგორც ჰაერზე, ასევე წყალზე და უნდა განეკუთვნოს I კატეგორიას. იგივე ეხება პოლიეთილენის წარმოებას, რომელსაც აგრეთვე მნიშვნელოვანი ზემოქმედება აქვს გარემოზე.

თუ გადავხედავთ III კატეგორიის საქმიანობების ჩამონათვალს, ვნახავთ რომ მასში შედის მხოლოდ ბენზინგასამართი სადგურების

მოწყობა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია აქვე დიზელის საწვავისა და გაზგასამართი სადგურების მოწყობის ჩართვა. გასამართი სადგურის მოწყობისას საქმიანობის ინიციატორი ხვდება გაურკვევლობაში. როგორც ზევით იყო აღნიშნული, ბენზინგასამართი სადგურის მოწყობა ამჟამად შედის III კატეგორიაში, ხოლო გაზის, ნავთობის, ნახშირის, ნავთობქიმიური პროდუქტების მიწისზედა და მიწისქვეშა საცავების განთავსება - ფუნქციონირება შედის I კატეგორიაში და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" მიხედვით მოეთხოვება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარება. ეს უქმნის გარკვეულ სიძნელეებს საქმიანობის ინიციატორს. რაც შეეხება გაზის, ნავთობის, ნახშირის, ნავთობქიმიური პროდუქტების მიწისზედა და მიწისქვეშა საცავების განთავსებას, რომელიც შედის I კატეგორიაში და ეხება ყველა მოცულობის საცავებს, ჩვენის აზრით უნდა მოხდეს გაყოფა მოცულობების მიხედვით: I კატეგორია - 10 000 მ3 მოცულობის ზევით, II კატეგორია - 10 000 მ3 მოცულობის ქვევით.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპატრტამენტის აზრით გარემოს დაცვითი ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის საქმიანობების ჩამონათვალში შეტანილ უნდა იქნას ცვლილებები და დამატებები

III კატეგორიაში შედის უალკოჰოლო სასმელების წარმოება, ხოლო უალკოჰოლო სასმელების ბოთლებში ჩამოსასხმელი საწარმოების შექმნა მიეკუთვნება II კატეგორიას. ამ ორი საქმიანობის ერთ კატეგორიაში გაერთიანება ბევრად გაუადვილებს მუშაობას როგორც ინიციატორს, ასევე ნებართვის გამცემ ორგანოს.

ბოლო რამოდენიმე თვის განმავლობაში გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპერტამენტში წარმოდგენილი იქნა განაცხადი გარემოსდაციცი ნებართვის მისაღებად ტრანს აზია-ევროპის ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემის გაყვანაზე საქართველოში, როგორც ხმელეთზე, ასევე წყალქვეშ. სამწუხაროდ კავშირგაბმულობის სიტემების დამონტაჟება/ ფუნქციონირება არ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" სხვადასხვა კატეგორიების საქმიანობათა ჩამონათვალში. დღესდღეობით ხშირია სატელიტური კავშირებისათვის აუცილებელი სისტემების დამონტაჟება ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი მავნე ზემოქმედების გათვალისწინების გარეშე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია კავშირგაბმულობასთან დაკავშირებულ საქმიანობების ჩართვა I კატეგორიაში.

პრობლემები არსებობს ხე-ტყის ჭრის დარგშიც - III კატეგორიას განეკუთვნება ტყის ჭრა 100-დან 500 ჰექტარამდე ფართობის ტყეკაფზე (ყველა სახეობის ჭრის ჩათვლით), ხოლო II კატეგორიაში შედის ხე-ტყის ჭრა 500 ჰექტარზე მეტი ფართობის ტყეკაფზე. სინამდვილეში ასეთ დიდ ფართობებზე ხე-ტყის ჭრა არ წარმოებს საქართველოში და ნებართვა გაიცემა მხოლოდ მცირე ფართობებზე, რომელიც ხვდება IV კატეგორიაში, სადაც პროცედურა უაღრესად გამარტივებულია.

გარდა ცვლილებებისა, რომელიც შეტანილი უნდა იქნას საქართველოს კანონში „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ", გარემოდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურისათვის სრულყოფილი ნორმატიული ბაზის შესაქმნელად მისაღებია შემდეგი ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ"
2. საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი ნებართვის მოსაკრებლის შესახებ"
3. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება „გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურით დადგენილი მეოთხე კატეგორიის საქმიანობის ჩამონათვალის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე"
4. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება „გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად წარსადგენი განაცხადის და გარემოსდაცვითი ნებართვის გაფორმების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე"
5. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე"
6. საქართველოს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" (გაუქმდება „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებიდან).

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ"; გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1997 წ., 6 იანვარი, №3, გვ. 3-4;
2. საქართველოს კანონი „ გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ", გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1996 წ., 7 ნოემბერი, №224 (გვ 3-4);
3. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ"; გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1996 წ., 5 ნოემბერი, №222 (გვ3);
4. დასავლეთის საექსპორტო მილსადენი - ხუფსის ტერმინალი და საზღვაო გადასაჩვირთი მოწყობილობა: გარემოზე ზემოქმედების შეფასება; GPC, თებერვალი, 1997 წ.;
5. საქართველოს ნავთობსადენის დასავლეთის მარშრუტი - მილსადენის აღდგენა და მშენებლობა: გარემოზე ზემოქმედების შეფასება; GPC, თებერვალი, 1997 წ.;
6. GGeneral Report on the Status of Transposition and implementation of the Directive on Environment Impact Assessment. *Eckard Rehbinder* Frankfurt am Main 1993;
7. Licensing Procedures for Industrial Plants and the Influence of EC-Directives;*Betty Gebers; Marga Robesin;* Verlag peter Lang Gmbh, Frankfurt am Main 1993;
8. Azerbaijan International Operating Company (AIOC) Environmental Executive Summary and Update; February 21, 1998;
9. EIA Legislation and Practice in Perspective: Comparative Review of Georgian and UK Legislation on EIA; *Maka Manjavidze,* Master's Theses, 1997; Central European University, Budapest, Hungary.

თანამედროვე თურქეთი

ზურაბ ბატიაშვილი

ბოლო შემდეგ რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და ჩაერთო საერთაშორისო ცხოვრებაში, დიდი მნიშვნელობა შეიძინა უცხოეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით მეზობლებთან ურთიერთობებმა.

თუ ჩვენში რუსეთს, აზერბაიჯანს და სომხეთს ასე თუ ისე იცნობენ საერთო სივრცეში ცხოვრებიდან მოყოლებული, სამწუხაროდ იგივეს ვერ ვიტყვით თურქეთის შესახებ. იგი ხომ ჩვენთვის „აკრძალულ" ქვეყანათა რიგში შედიოდა ათწლეულების განმავლობაში. ასეთი დამოკიდებულება ინერციულად ნაწილობრივ დღესაც გრძელდება და ამიტომ ხშირად თურქეთს განიხილავენ ე.წ. „შორეულ უცხოეთად". არადა ეს ქვეყანა ჩვენი უშუალო და უახლოესი მეზობელია.

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები დღითიდღე ინტენსიური და ყოვლისმომცველი ხდება. ამდენად, ვფიქრობთ უახლესი ინფორმაცია თანამედროვე თურქეთის შესახებ საინტერესო უნდა იყოს ქართული პოლიტიკური ელიტისათვის ანუ მათთვის, ვისაც უხდება ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავება.

დღევანდელ საქართველოში ცნობები თურქეთის შესახებ ხშირად არაობიექტური, მესამე-მეოთხე ხელისაგან მოპოვებული და ხარვეზიანია, იგრძნობა ინფორმაციული ვაკუუმი. წინამდებარე ნაშრომი ამგვარი ვაკუუმის შევსების ერთ-ერთი მოკრძალებული ცდაცაა.

1. ზოგადი ცნობები

თურქეთის რესპუბლიკა (Türkiye Cumhuriyeti) მდებარეობს დასავლეთ აზიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. ტერიტორიის დაახლოებით 97% მდებარეობს მცირე აზიის ნახევარკუნძულზე (ანატოლია), დაახლოებით 3% - ევროპაში (აღმოსავლეთ თრაკია).

თურქეთს ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება საქართველო (საზღვრის სიგრძე 288 კმ), აღმოსავლეთით - სომხეთი (312 კმ), აზერბაიჯანი (10 კმ) და ირანი (454 კმ). სამხრეთ-აღმოსავლეთით ერაყი (331 კმ) და სირია (877 კმ), ჩრდილო-დასავლეთით საბერძნეთი (212 კმ) და ბულგარეთი (269 კმ). სახმელეთო საზღვრის სიგრძეა 2 753 კილომეტრი. ჩრდილოეთით აკრავს შავი ზღვა, დასავლეთით ეგეოსის ზღვა, სამხრეთით ხმელთაშუა ზღვა. თურქეთს ეკუთვნის კუნძულები ეგეოსის ზღვაში (იმროზი (გოგჩეადა), ბოზჯაადა და სხვა). ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები, აგრეთვე მარმარილოს ზღვა თურქეთის ევროპულ ნაწილს გამოყოფს აზიისგან.

ძირითადი მონაცემები:

ტერიტორია 814.578 კვ.კმ (790.200 კვ.კმ. აზიური და 24.378 კვ.კმ ევროპული ნაწილი).

მოსახლეობა 62,5 მლნ. მცხ. (1997 წ.).

ადმინისტრ. დაყოფა 80 ილი (ვილაიეთი). ილებში შედის ილჩეები. მსხვილი ქალაქები იყოფიან ბოლგეებად (რეგიონი) და მაჰალეებად (უბანი).

სახელმწიფო ენა თურქული.

ფულის ერთეული თურქული ლირა (TL). 10.000 TL=0,05 ლარს (1998 წლის ივლისის მდგომარეობით).

ეროვნული დღესასწაული 29 ოქტომბერი — რესპუბლიკის გამოცხადების დღე (1923 წ.).

2. სახელმწიფო წესწყობილება

თურქეთში რესპუბლიკური მმართველობის ფორმაა, მოქმედებს 1982 წლის 7 ნოემბრის კონსტიტუცია ცვლილებებითა და დამატებებით. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა თურქეთის დიდი ეროვნული კრება (პარლამენტი), რომელსაც მოსახლეობა ირჩევს 5 წლის ვადით. მის ძირითად მოვალეობებში შედის კანონების მიღება, შეცვლა და გაუქმება, პრეზიდენტის არჩევა, მთავრობის კონტროლი, ბიუჯეტის დამტკიცება, მინისტრთა საბჭოსათვის გარკვეულ საკითხებში გადაწყვეტილებების გამოტანის უფლების მინიჭება, ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაცია და ა.შ.

სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც ირჩევა დიდი ეროვნული კრების მიერ (მისი წევრების შემადგენლობიდან) 7 წლის ვადით. პრეზიდენტად არჩევისათვის საჭიროა პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3-ის მხარდაჭერა. თუ არჩევნების პირველ და მეორე ტურში ხმების ეს რაოდენობა არ მოგროვდა, მესამე კენჭისყრისათვის უპირატესობა ენიჭება ხმების უბრალო უმრავლესობის მომპოვებელ კანდიდატს. პრეზიდენტი არ უნდა იყოს არცერთი პარტიის წევრი და ერთჯერ მეტად არავის შეუძლია ამ თანამდებობის დაკავება. პრეზიდენტის უფლებამოსილებაში კონსტიტუციის შესაბამისად შედის: პრემიერ-მინისტრის დანიშვნა და მისი გადადგომის მიღება, პრემიერის წარდგინებით მინისტრების დანიშვნა და გადაყენება, საჭიროების შემთხვევაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა, საერთაშორისო ხელშეკრულებების ხელმოწერა, სხვადასხვა ქვეყნებში თურქეთის ელჩების დანიშვნა, უცხოელი ელჩებისაგან რწმუნებათა სიგელის მიღება, საჭიროების შემთხვევაში თურქეთის დიდი ერვნული კრების მოწვევა, მისი

TÜRKİYE HARİTASI



თავმჯდომარეობით შეკრებილი მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით საალყო და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და ამ პერიოდში კანონების გამოცემა.

პრეზიდენტს უფლება აქვს მიღებული კანონები (გარდა კანონისა ბიუჯეტის შესახებ) 10 დღის ვადაში დააბრუნოს პარლამენტში ხელახალი განხილვისათვის. მაგრამ თუ ამ უკანასკნელმა იგი ისევ წინანდელი სახით მიიღო, იგი ვალდებულია დაემორჩილოს ამ გადაწყვეტილებას.

პრეზიდენტი ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს. სახელმწიფო საბჭოს წევრთა ერთ მეოთხედს, სახელმწიფო კონტროლის პალატის წევრებს, უმაღლესი სამხედრო საკასაციო სასამართლოს წევრებს, რესპუბლიკის პროკურორს და მის მოადგილეს, უმაღლესი განათლების საბჭოს წევრებს და უნივერსიტეტების რექტორებს. პრეზიდენტის ავადმყოფობის, დროებითი არყოფნის ან მისი სიკვდილის შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე ასრულებს.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. პრემიერი ინიშნება პარლამენტის წევრთაგან. იგი მუშაობას შეუდგება თურქეთის დიდი ეროვნული კრების მხრიდან ნდობის მანდატის მინიჭების შემდეგ. მის მოვალეობებში შედის მინისტრთა საბჭოს წევრთა შერჩევა და მათ შორის თანამშრომლობისთვის ხელის შეწყობა. პრემიერ-მინისტრი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

ადგილობრივ მმართველობას ვილაიეთებში ახორციელებენ ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული ვალები (გუბერნატორი).

თურქეთში მოქმედებს ეროვნული უშიშროების საბჭო. მის შემადგენლობაში თანამდებობრივად შედიან: პრეზიდენტი (თავმჯდომარე), პრემიერ-მინისტრი, გენშტაბის უფროსი, ეროვნული თავდაცვის, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა მინისტრები, სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალების, სამხედრო-საზღაო ძალების და ჟანდარმერიის მეთაურები. საბჭოს 10 წევრისაგან 5 სამოქალაქო და 5 სამხედრო პირია. საბჭოს შეკრებაში მის წევრთა გარდა დღის წესრიგის თავისებურებიდან გამომდინარე შეიძლება მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა მინისტრებმა და პიროვნებებმა. საბჭოს მუშაობაში ხმის უფლების გარეშე მონაწილეობს ეროვნული უშიშროების საბჭოს გენერალური მდივანი. პრეზიდენტი პრემიერისა და გენშტაბის უფროსის წინადადებების გათვალისწინებით ადგენს დღის წესრიგს.

საბჭო იკრიბება სულ მცირე თვეში ერთხელ მაინც. ამასთანავე იგი მოიწვევა იმ შემთხვევაში თუ ამას პრეზიდენტი საჭიროდ ჩათვლის საკუთარი შეხედულებისამებრ ანდა პრემიერ-მინისტრისა და გენშტაბის უფროსის წინადადებების გათვალისწინებით.

ეროვნულ უშიშროების საბჭოში გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ მხარეს, რომელსაც თავმჯდომარე დაუჭერს მხარს.

საბჭოს მოვალეობებია:

ა) სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრის, დამტკიცების და გამოყენებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება და საჭირო კოორდინაციის განევა;

ბ) სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის გამამტკიცებელი ეროვნული მიზნებისა და მოსამზადებელი ეროვნული გეგმებისა და პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული ზომების განსაზღვრა;

გ) სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაზე გავლენის მქონე ქვეყნის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, კულტურული და ტექნოლოგიური სიტუაციის და მოვლენების განვითარების მუდმივი თვალყურის მიდევნება და შეფასება;

დ) სახელმწიფოს არსებობის, დამოუკიდებლობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის და ერთობის, საზოგადოებრივი სიმშვიდისა და უსაფრთხოების დაცვისთვის საჭირო ზომების მიღება;

ე) ეროვნული მიზნების განსახორციელებლად კონსტიტუციური წყობისა და ეროვნული ერთობის დამცველი, ქემალისტური და ეროვნული იდეების გარშემო თურქი ერის გამაერთიანებელი საჭირო ზომების განსაზღვრა. საშინაო და საგარეო საფრთხისაგან თავდაცვის სტრატეგიის შემუშავებისა და გამოყენების საკითხებისთვის აუცილებელი ღონისძიებების ჩატარება;

ვ) არაორდინალურ სიტუაციებში საალყო მდგომარეობის, მობილიზაციის ან ომის გამოცხადება;

ზ) ჩვეულებრივ საომარ, ომისათვის მოსამზადებელ ანდა ომისშემდგომ სიტუაციებში სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებების და მოქალაქეების დაცვა, საყოველთაო მობილიზაციის და სხვა საკითხების ორგანიზაცია და გეგმების მომზადება;

თ) სახლმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად საკითხებში, თავდაცვისთვის საჭირო ფინანსური, სოციალ-ეკონომიკური, კულტურული და სხვა ფორმის ზომების მიღება. აღორძინების გეგმის პროგრამის წლიურ ბიუჯეტში ჩასმა;

ი) ეროვნული უსაფრთხოების სფეროში შემავალი ხელმოწერილი ანდა ხელმოსაწერი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ თვლასაზრისის გამოთქმა და დამტკიცება.

კონსტიტუციის შესაბამის მუხლებში ნაჩვენებია იურიდიულ მექანიზმი იმისა, თუ როგორ ხორციელდება ეროვნული უშიშროების

საბჭოს შეხედულებებისა და გადაწყვეტილებების მიწოდება მინისტრთა საბჭოსადმი.

3. მოსახლეობა

თურქეთის მოსახლეობა 1985-1997 წლებში 50,7 მილიონიდან 62 მილიონამდე გაიზარდა. 1990 წლის აღწერით 56.473.035 კაცი იყო. ბოლო 1997წლის აღწერით თურქეთში ცხოვრობს 62.546.161 კაცი

მოსახლეობის საშუალო წლიური მატება 2,2%-ია, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის.

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 90-იანი წლების დამდეგს 1კვ. კმ-ზე 75,5 კაცი იყო. უფრო მჭიდროდ არის დასახლებული ქვეყნის დასავლეთი ნაწილი, განსაკუთრებით მარმარილოს ზღვის რეგიონი, აგრეთვე ეგეოსის ზღვის მიმდებარე ტერიტორია. დიდი სიმჭიდროვეა შავიზღვისპირეთშიც. აღმოსავლეთით, განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში მოსახლეობის სიმჭიდროვე ნაკლებია.

1991 წლის მონაცემებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 21 მილიონ კაცს შეადგენდა (მათგან 14,5 მილიონი მამაკაცი, 6,5 მილიონი ქალი). ოფიციალურად უმუშევარი იყო 1,5 მილიონი კაცი, დასაქმებული კი 19,5 მილიონი (13,4 მილიონი მამაკაცი და 6,1 მილიონი ქალი). მათგან სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია დაახლოებით 50%, სამთამადნო მრეწველობაში - 137,5 ათასი (1%-ზე ნაკლები), სამრეწველო წარმოებაში - 2,9 მილიონი (15%), მშენებლობაში 875 ათასი (4,5%), ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში 2,2 მილიონი (12%-მდე), ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში 781 ათასი (4%), საზოგადოებრივ და კერძო სამსახურში დასაქმებულია 2,7 მილიონი კაცი (14%).

ასი ათასობით თურქეთის მოქალაქე ცხოვრობს უცხოეთში: გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ნიდერლანდებში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, საუდის არაბეთში, ლიბიაში ავსტრალიაში და ა.შ. საზღვარგარეთ მომუშავე მოქალაქეებიდან თურქეთის ხაზინა ყოველწლიურად დაახლოებით 3-3,5 მლრდ. აშშ დოლარს იღებს.

თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით ქვეყნის ყველა მოქალაქე თურქია. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა (99 პროცენტზე მეტი) სუნიტური ისლამის მიმდევარია.

თურქეთისთვის დამახასიათებელია ურბანიზაციის მაღალი ტემპი. 1980 წელს ქალაქად ცხოვრობდა მოსახლეობის 43.9 პროცენტი. 1990 წელს ეს მაჩვენებელი 59.0%-მდე გაიზარდა. 1997 წელს კი ქალაქად ცხოვრობდა მოსახლეობის საერთო რაოდენობის 65, 1 პროცენტი.

თურქეთის უდიდესი ქალაქებია (1997 წლის 30 ნოემბრის აღწერის მიხედვით):

სტამბოლი - 9.159.615
ანკარა - 3.147.231
იზმირი - 2. 694. 770
ბურსა - 1.160.307
ადანა - 1.011.742
დიარბაქირი - 750.000
გაზიანთეფი - 726.000
კონია - 650.000
ანტალია - 600.000
კაისერი - 562.910

4. პოლიტიკური პარტიები

თურქეთის ძირითადი პოლიტიკური ორგანიზაციებია:

ANAVATAN PARTİSİ (ANAP) (დედასამშობლოს პარტია) - დაფუძნდა 1983 წლის 20 მაისს. პირველი გენერალური თავმჯდომარე იყო თურგუთ ოზალი. მოადგილეები - ვეისელ ათასოი, მესუთ ილმაზი, ჰალილ შივგინი, მეჰმეთ ალთინსოი, გენერალური მდივანი - მუსტაფა თაშარი.

ANAP მემარჯვენე-ცენტრისტული მიმართულების პარტიაა. 1986 წელს შეიერთა თავისუფალი დემოკრატიული პარტია. ANAP -ის ახლანდელი გენერალური თავმჯდომარეა მესუთ ილმაზი.

პარტიის ძირითადი პროგრამა:

ეკონომიკა: პრივატიზაცია, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, ინფლაციის შეჩერება, საგარეო ვაჭრობაზე სახელმწიფო კონტროლის გაუქმება.

საგარეო პოლიტიკა: მჭიდრო კავშირი ნატოსთან, მეგობრული ურთიერთობების განვითარება ახლო აღმოსავლეთის და მუსლიმურ ქვეყნებთან.

ძირითადი უფლებები და თავისუფლებები: ნებისმიერი პიროვნების უფლება და თავისუფლება ხელშეუხებელია.

პროფკავშირები - ხელფასები: პროფკავშირების დაფუძნების და გაფიცვის უფლებები სამუშაო ცხოვრების მომწესრიგებელი ძირითადი ელემენტებია. ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს შესრულებულ სამუშაოს.

უცხოური კაპიტალი: საჭიროა უცხოური კაპიტალის მოზიდვა და ხელისშეწყობა.

გადასახადები: გადასახადები უნდა იყოს მცირე, ადვილი გასაგებად და გადასახდელად.

სოფლის მეურნეობა: საჭიროა ტექნოლოგიის განვითარება და რეფორმების გატარება.

განათლება: განათლების მთავარი მოვალეობაა ათათურქის პრინციპების ერთგული, თანამედროვე და წინმავალი თურქეთის იდეალის, ეროვნული და მორალური ფასეულობების გათავისებული ადამიანის გამოზრდა. განათლების მიცემა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობაა, მაგრამ შესაძლებელი უნდა იყოს კერძო განათლების მიღებაც.

DOĞRU YOL PARTİSİ (DYP) (ჭეშმარიტი გზის პარტია) - დაფუძნდა 1983 წლის 23 ივნისს. პირველი გენერალური თავმჯდომარე იყო ყოფილი სამართლიანობის პარტიის (AP) სენატორი და თავმჯდომარე აჰმედ ნუსრეთ თუნა, მოადგილეები - ალი რიზა იარადანაქული, თურგაი უჩოზი და გალიფ ონურსალი, გენერალური მდივანი ისრაილ ჰერალი.

შემდეგი ლიდერი იყო ილდიმირ ავჯი. მის დროს პარტიას შეუერთდა დახურული დიდი თურქეთის პარტიის (BTP) უდიდესი ნაწილი, აგრეთვე 128 ყოფილი სამართლიანობის პარტიელი.

DYP მემარჯვენე-ცენტრისტული მიმართულების ორგანიზაციაა. ითვლება სამართლიანობის პარტიის (მოქმედებდა 1961-1981 წლებში) მემკვიდრედ.

DYP - ის შემდეგი ლიდერი იყო ახლანდელი პრეზიდენტი სულეიმან დემირელი.

ახლანდელი გენერალური თავმჯდომარეა თანსუ ჩილერი.

პარტიის ძირითადი პროგრამა:

ეკონომიკა: ეკონომიკური წყობა თავისუფალ და დემოკრატიულ რეჟიმს უნდა აძლიერებდეს.

საგარეო პოლიტიკა: საგარეო პოლიტიკის მიზანი ქვეყნის უსაფრთხოების და მშვიდობის შენარჩუნებაა. ასეთი პოლიტიკა გაეროს ძირითად პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ურთიერთობები ახლო მეზობლებთან.

ძირითადი უფლებები და თავისუფლებები: დაცულ უნდა იქნას ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში განცხადებული პიროვნების უფლებები და ძირითადი თავისუფლებები.

პროფკავშირები - ხელფასები: ყველას აქვს პროფკავშირების შექმნის უფლება. სამუშაოს მიმცემი და შემსრულებელი თვითონ უნდა შეთანხმდნენ ანაზღაურების რაოდენობაზე.

უცხოური კაპიტალი: უცხოური კაპიტალის წახალისება მარტო იმით კი არ არის მომგებიანი, რომ ქვეყანაში ვალუტა შემოდის, არამედ იმითაც, რომ ვითარდება საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები.

გადასახადები: საგადასახადო სისტემა მოქალაქის ფინანსურ შესაძლებლობებს უნდა პასუხობდეს და რაც მთავარია უნდა იყოს სამართლიანი.

სოფლის მეურნეობა: ხელი უნდა შეეწყოს ფერმერობა-გლეხობის და საერთოდ სოფლის მეურნეობის აღორძინებას. ამ მხრივ თურქეთი უნდა გაუტოლდეს ევროკავშირის ქვეყნებს.

განათლება: განათლების მთავარი მიზანია თავისუფალი, სწორად მოაზროვნე, ეროვნული საკითხებით დაინტერესებული, იდეალისტი, ფიზიკურად და სულიერად ჯანმრთელი, ეროვნულ ტრადიციებზე დამოკიდებული და მორწმუნე თაობის აღზრდა.

CUMHURİYET HALK PARTİSİ (CHP) (სახალხო რესპუბლიკური პარტია) - დაფუძნდა 1923 წლის 11 სექტემბერს. პირველი და უცვლელი გენერალური თავმჯდომარე იყო თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელი მუსტაფა ქემალ ათათურქი. მისი მოადგილე გახდა ისმეთ ინონუ, გენერალური მდივანი კი - რეჯეფ ფექერი.

პარტიის შემდეგი ლიდერები იყვნენ ისმეთ ინონუ და ბულენთ ეჯევითი.

CHP მემარცხენე-ცენტრისტული ორიენტაციის პარტიაა. მას გააჩნია „ექვსი ისრის პრინციპი", რაც ქემალიზმის და თურქეთის სახელმწიფოს იდეოლოგიური საფუძველიცაა. ესენია: რესპუბლიკანიზმი, ნაციონალიზმი, ხალხისნობა, ეტატიზმი, ლაიციზმი (რელიგიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან) და რევოლუციონიზმი.

CHP დაიხურა 1981 წლის 16 ოქტომბერს ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით. 1983 წლიდან სხვა სახელით აგრძელებს მოქმედებას. 1992 წლის 9 სექტემბრიდან დაიბრუნა ძველი სახელი. 1994 წელს გაერთიანდა სოციალ-დემოკრატიულ სახალხო პარტიასთან (SHP). ლიდერი გახდა ჰიქმეთ ჩეთინი. ახლანდელი გენერალური თავმჯდომარეა დენიზ ბაიქალი.

პარტიის ძირითადი პროგრამა:

ეკონომიკა: ტრადიციული სახელმწიფო მონოპოლიების გარდა ყურადღებამისაქცევია მძიმე მრეწველობა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები.

საგარეო პოლიტიკა: საგარეო პოლიტიკა განუყოფელია თავდაცვითი პოლიტიკისაგან. აქედან გამომდინარე რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირები ნდობის ფაქტორს უნდა ეფუძნებოდეს.

ძირითადი უფლებები და თავისუფლებები: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით უნდა განისაზღვროს ნებისმიერი პიროვნების უფლება.

პროფკავშირები - ხელფასები: მუშებს აქვთ გაფიცვის და პროფკავშირების შექმნის ხელშეუხებელი უფლება.

უცხოური კაპიტალი: საჭიროა ურთიერთმომგებიანი კავშირების დამყარება და იურიდიული ბაზის მოწესრიგება.

გადასახადები: გადასახადები სახელმწიფოსათვის არა მარტო შემოსავლის წყარია, არამედ დაგეგმილი სამუშაოების, წარმოების და მოწესრიგებული ურბანიზაციის განხორციელების საშუალებაცაა.

სოფლის მეურნეობა: ტექნოლოგიის განვითარებით პროდუქციის რაოდენობის ზრდა და ამ მიზნით წვრილი და საშუალო გლეხობის წახალისებაა საჭირო.

განათლება: თავისუფლად უნდა განვითარდეს ნებისმიერი პიროვნების ნიჭი და შესაძლებლობები. განათლების მიზანია გაამდიდროს ადამიანის ცხოვრების სულიერი მხარე, მან ხელი უნდა შეუწყოს დამოუკიდებელი

პიროვნების ჩამოყალიბებას და ეროვნული ერთობის გრძნობის გაძლიერებას.

MİLLYETÇİ HAREKET PARTİSİ (MHP) (ნაციონალისტური მოქმედების პარტია). დაფუძნდა 1969 წელს რესპუბლიკურ-გლეხური ეროვნული პარტიის (CKMP) საფუძველზე. ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით დაიხურა 1981 წელს. განახლდა 1983 წლის 7 ივლისს.

პარტიის მიზანია „ახალი სახელმწიფო წესრიგის" დამყარება. ეს წესრიგი ვერ განხორციელდება ვერც კაპიტალიზმით და ვერც კომუნიზმით. მისთვის საჭიროა „მესამე გზა", იგივე „იდეალისტური გზა".

MHP-ს გააჩნია 9 პრინციპი, რომელიც „ცხრა სხივის" სახელწოდებითაა ცნობილი. ესენია: ნაციონალიზმი, იდეალიზმი, ზნეობრიობა, ცოდნა, საზოგადოებრიობა, გლეხობა, თავისუფლება და ინდივიდუალიზმი, პროგრესულობა და ხალხოსნობა, ინდუსტრიალიზაცია და ტექნიკურობა.

MHP-ს ძირითადი პრინციპი მაინც ნაციონალიზმი და ისლამია, რაც ხშირად ულტრანაციონალიზმსა და ულტრაკონსერვატიზმში იზრდება.

ოფიციალურად პარტიის სტრუქტურებს გარეთ დგას ძლიერი ორგანიზაცია Ülkü Ocaklari (იდეალისტური კერები), რომელიც ფაქტიურად MHP-ს ახალგაზრდული კავშირია.

პარტიის ლიდერი დღიდან დაარსებისა 1997 წლის 4 აპრილამდე (გარდაცვალებამდე) იყო ალფარსლან თურქეში. ახლანდელი გენერალური თავმჯდომარეა დევლეთ ბაჰჩელი.

DEMOKRATİK SOL PARTİSİ (DSP) (მემარცხენე-დემოკრატიული პარტია) - დაფუძნდა 1985 წლის 14 ნოემბერს. პირველი გენერალური თავმჯდომარე იყო რაჰშან ეჯევითი, მოადგილეები - მურთაზა ჩელიქელი და ოზდალგა. გენერალური მდივანი - ნური ქორქმაზი.

DSP მემარცხენე-ცენტრისტული მიმართულების ორგანიზაციაა. მხარს უჭერს სოციალიზმის შვედურ მოდელს.

1987 წლიდან დღემდე პარტიის გენერალური თავმჯდომარეა ყოფილი სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ლიდერი ბულენთ ეჯევითი.

DEMOKRAT TÜRKİYE PARTİSİ (DTP) (დემოკრატიული თურქეთის პარტია) დაფუძნდა 1997 წელს. მემარჯვენე-ცენტრისტული ორიენტაციის ორგანიზაციაა. გამოეყო ჭეშმარიტი გზის პარტიას (DYP). გენერალური თავმჯდომარეა დიდი ეროვნული კრების ყოფილი თავმჯდომარე ჰუსამეთინ ჯინდორუქი.

BÜYÜK BİRLİK PARTİSİ (BBP) (დიდი ერთობის პარტია) დაფუძნდა 1993 წლის 29 იანვარს. მემარჯვენე ნაციონალისტური და ისლამურ ფასეულობებზე ორიენტირებული ორგანიზაციაა. გამოეყო ნაციონალისტური მოქმედების პარტიას (MHP). გენერალური თავმჯდომარეა მუჰსინ იაზიჯიოღლუ.

5. პოლიტიკური და სამხედრო ისტებლიშმენტი

პრეზიდენტი სულეიმან დემირელი

დაიბადა 1924 წლის 1 ნოემბერს ისპარტაში. 1949 წელს დაამთავრა სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი. 1954 წელს გამოკვლევები ჩაატარა ა.შ.შ-ში. 1955-60 წლებში იყო თურქეთის ჰიდრავლიკური სამსახურის გენერალური დირექტორი. 1962-64 წლებში ლექციებს კითხულობდა ახლო აღმოსავლეთის ტექნიკურ უნივერსიტეტში. 1962 წელს შევიდა AP (სამართლიანობის პარტია)-ში. 1964 წლის 29 ნოემბერს აირჩიეს ამ პარტიის გენერალურ თავმჯდომარედ. 1965 წლის 13 თებერვალს გახდა ვიცე-პრემიერი, ხოლო იმავე წლის 27 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრი. ამავე დროს იგი ისპარტის ვალაიეთის დეპუტატია. გადადგა 1971 წელს. 1977-78, 1979-80 წლებში კვლავ დეპუტატია.

1980 წელს ათი წლის ვადით აეკრძალა პოლიტიკური საქმიანობა. მიუხედავად ამისა იგი მხარს უჭერდა და თანაუგრძნობდა BTM (დიდი თურქეთის პარტია)-ს, რომელიც მალე აიკრძალა და დემირელი 1983 წელს ოთხი თვით გადაასახლეს ზინჯირბოზანზე. 1987 წელს აირჩიეს DYP (ჭეშმარიტი გზის პარტია)-ს გენერალურ თავმჯდომარედ. 1991-93 წლებში კვლავ მთავრობის მეთაურია. თურგუთ ოზალის გარდაცვალების შემდეგ (1993 წლის 17 აპრილი) თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ (პარლამენტი) 1993 წლის 16 მაისს სულეიმან დემირელი 7 წლის ვადით აირჩია ქვეყნის პრეზიდენტად.

პრეზიდენტის რეზიდენცია: Cumhurbaşkanliği Koşku, Çankaya, Ankara; tel. (312) 4407212

მთავრობა

პრემიერ მინისტრი მესუთ ილმაზი

დაიბადა 1947 წლის 6 ნოემბერს ქ. სტამბოლში. დაამთავრა სტამბოლის ვაჟთა უმაღლესი სკოლა, ანკარის, კიოლნის და ლონდონის უნივერსიტეტების პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტი. 1983 წლიდან არის რიზეს ვალაიეთის უცვლელი დეპუტატი. თავიდანვე აქტიურ როლს სრულებდა ANAP (დედასამშობლოს პარტიაში)-ში. 1986-87 წლებში იყო სახელმწიფო მინისტრი, კულტურისა და ტურიზმის მინისტრი. 1987-90 წლებში საგარეო საქმეთა მინისტრია. ოზალის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ხდება ANAP -ის გენერალური თავმჯდომარე. ამავე დროს იგი ქვეყნის პრემიერ-მინისტრიცაა (1991). პრემიერობამ სამ თვეს გასტანა. იგი შეცვალა დემირელის მთავრობამ. 1995 წლის 24 დეკემბერს

არჩევნების შემდეგ DYP-სთან ერთად აყალიბებს კოალიციურ მთავრობას, სადაც მთავრობის თავმჯდომარის პოსტი უკავია. პრემიერობამ კვლავ სამ თვეს გასტანა. გადადგა 1996 წლის 7 ივნისს. ზუსტად ერთი წლის შემდეგ კვლავ ჩამოაყალიბა ახალი მთავრობა.

პრემიერ მინისტრის რეზიდენცია: Başbakanlık, Bakanlıklar, Ankara; tel (312) 4189056; fax (312) 4180476

ვიცე-პრემიერი ბულენთ ეჯვითი

დაიბადა 1925 წელს 28 მაისს ქ. სტამბოლში. დაამთავრა პრესტიჟული ინგლისურენოვანი რობერტ კოლეჯი (ახლანდელი ბოსფორის უნივერსიტეტი), სტამბოლის, ანკარის, ლონდონის და ჰარვარდის უნივერსიტეტები. 1946-50 წლებში მსახურობდა ლონდონში. პოლიტიკაშია 60-ანი წლებიდან. 1961-65 წლებში შრომის მინისტრია. 1966-71 წლებში CHP (სახალხო-რესპუბლიკური პარტია)-ს გენერალური მდივანია, ხოლო 1972-80 წლებში ამავე პარტიის ლიდერია. 1974, 1977, 1978-79 წლებში იყო თურქეთის პრემიერ-მინისტრი.

80-იანი წლების სამხედრო გადატრიალების შემდეგ რამოდენიმეჯერ იქნა დაპატიმრებული და აეკრძალა პოლიტიკური მოღვაწეობა. 1987 წელს აკრძალვა მოეხსნა და 1989 წელს სათავეში ჩაუდგა DSP(მემარცხენე-დემოკრატიული პარტია)-ს. სხვადასხვა დროს იყო ანკარის და ზონგულდაქის ვილაიეთების დეპუტატი. 1997 წლიდან ვიცე-პრემიერია.

არის მრავალი ნაშრომის ავტორი.

ვიცე პრემიერის რეზიდენცია: Başbakan Yard, Bakanlıklar, Ankara; tel. (312)4191621; fax: (312)4191547

ვიცე-პრემიერი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი ისმენ სეზგინი

დაამთავრა ქ. იზმირის ეკონომიკის და ვაჭრობის უმაღლესი სკოლა. პოლიტიკაშია 60-იანი წლებიდან. იყო ქ. აიდინის მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე (მერი). სხვასხვა დროს დემირელის მთავრობაში ეკავა ახალგაზრდობის საქმეთა, სპორტის, ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტები. იყო AP (სამართლიანობის პარტია)-ის და DYP (ჭეშმარიტი გზის პარტია)-ს ერთ-ერთი აქტიური წევრი. 1993 წელს DYP-ს კონგრესზე თანსუ ჩილერის წინააღმდეგ წამოყენებულ იქნა მისი კანდიდატურა ამ პარტიის გენერალური თავმჯდომარის პოსტზე. მცირე ხნით ასრულებდა თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარის მოვალეობასაც. იგი წლების განმავლობაში არის აიდინის ვალაიეთის დეპუტატი.

ეროვნული თავდაცვის სამინისტრო: Milli Savunma Bakanliği, 06100 Ankara; tel. (312) 4254596; fax. (312)4184737

სახელმწიფო მინისტრი იშინ ჩელები

დაამთავრა ანკარის ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრი ფაკულტეტი. 1980 წლამდე იყო ეჯევითის მრჩეველი. ოზალის მთავრობაშიც ასრულებდა ეკონომიკაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო მინისტრის მოვალეობას. 1987 წლიდან იზმირის ვილაიეთის დეპუტატია. არის ANAP (დედასამშობლოს პარტია)-ის წევრი.

სახელმწიფო მინისტრი იშილაი საიგინი

დაამთავრა იზმირის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი. იყო MDP (ნაციონალისტურ დემოკრატიული პარტია)-სა და DYP (ჭეშმარიტი გზის პარტია)-ში. სხვადასხვა მთავრობებში ასრულებდა ტურიზმის მინისტრისა და ქალთა და ოჯახთა საქმეებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო მინისტრის მოვალეობას. არის იზმირის ვილაიეთის დეპუტატი. ახლა ANAP-ის წევრია.

სახელმწიფო მინისტრი გუნეშ თანერი

დაამთავრა ილდიზის უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი სწავლა განაგრძო ნიუ-იორკის უნივერსიტეტში. არის ANAP-ის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1983 წელს აირჩიეს სტამბოლის ვილაიეთის დეპუტატად. ოზალის მთავრობაში იყო ეკონომიკაზე პასუხისმგებელი სახელმწფო მინისტრი. ვერ შეეწყო მესუთ ილმაზს და მცირე ხნით ჩილერის მთავრობაშიც იმსახურა. შემდეგ კვლავ ANAP-ში დაბრუნდა.

სახელმწიფო მინისტრი ბურჰან ქარა

დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1987 წლიდან გირესუნის ვალაიეთის დეპუტატია. პირველადაა მთავრობაში. არის ANAP-ის წევრი.

სახელმწიფო მინისტრი მეჰმედ სალიჰ ილდირიმი

დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1995 წლიდან შირნაქის ვილაიეთის დეპუტატია. არის ANAP-ის წევრი.

სახელმწიფო მინისტრი რეფაიდინ შაჰინი

დაამთავრა ანკარის ეკონომიკისა ფინანსური მეცნიერების აკადემია. 1991 წლიდან DYP-ს დეპუტატია ორდუს ვილაიეთიდან. სხვადასხვა დროს დემირელის და ჩილერის მთავრობებში იყო სოფლის მეურნეობის და სახელმწიფო მინისტრი. ჯინდორუქთან ერთად DTP (დემოკრატიული თურქეთის პარტია)-ს ერთ-ერთი დამაარსებლია.

სახელმწიფო მინისტრი მეჰმეთ ბათალი

დაამთავრა ქიმიურ-საინჟინრო უმაღლესი სკოლა. 1991 წლიდან DYP-ს დეპუტატია გაზიანთეფის ვილაიეთიდან. სახელმწიფო მინისტრი იყო დემირელის მთავრობაში. ჩილერთან უთანხმოების გამო გამოვიდა DYP-დან და გახდა DTP-ს ერთ-ერთი დამარსებელი.

სახელმწიფო მინისტრი რიფათ სერდა-როღლუ

დაამთავრა იზმირის ეკონომიკისა და ფინანსური მეცნიერების აკადემია. 1991 წლიდან დეპუტატია. დემირელის მთავრობაში ასრულებდა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობას. DYP-დან წასვლის შემდეგ გახდა DTP-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი

სახელმწიფო მინისტრი მეთინ გუნდერე
დაამთავრა სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი. 1987 წელს აირჩიეს დეპუტატად. ოზალის დროს იყო ANAP-ის გენერალური თავმჯდომარის მოადგილე. ახლაც ამ პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრია. მთავრობაში პირველადაა.

სახელმწიფო მინისტრი ჯავით ქავაქი
1983 წლიდან დღემდე თურქეთის დიდი ეროვნული კრების უცვლელი წევრია. მთავრობაში პირველადაა. არის ANAP-ის წევრი.

სახელმწიფო მინისტრი იუჯელ სეჩქინერი
დაამთავრა კიოლნის სპორტის აკადემია. 1991 წელს არჩეულ იქნა ანკარის ვილაიეთის დეპუტატად. არის ANAP-ის წევრი.

სახელმწიფო მინისტრი მუსტაფა ილმაზი
ინჟინერ-მშენებელია. 1987 წლიდან SHP (სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტია)-ს დეპუტატია გაზიანთეფის ვილაიეთიდან. ქარაიალჩინის კაბინეტში იყო მშენებლობის და განსახლების მინისტრი. შემდეგ გადავიდა DSP (მემარცხენე დემოკრატიული პარტია)-ში.

სახელმწიფო მინისტრი ჰუსამეთინ ოზქანი
დაამთავრა ეკონომიკისა და სამეურნეო საქმის უმაღლესი სკოლა. იყო ეჯევეთის მრჩეველი. არის DSP-ს წევრი.

სახელმწიფო მინისტრი ჰიქმეთ სამი თურქი
დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. არის კიოლნის უნივერსიტეტის დოქტორი. ამავე დროს ანკარის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს წევრია. ფლობს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და იტალიურ ენებს. არის DSP-ს წევრი.

სახელმწიფო მინისტრი ჰასან გემიჯი
დაამთავრა სტამბოლის ტექნიკურ უნივერსიტეტის სამშენებლო-საინჟინრო ფაკულტეტი. არის DSP-ს ერთ-ერთი შრომისმოყვარე დეპუტატი.

სახელმწიფო მინისტრი რუშთუ ქაზიმ იუჯელენი
იყო AP (სამართლიანობის პარტია)-ს წევრი. შემდეგ შევიდა ANAP-ში. ოზალის პერიოდში იყო მრეწველობის და ვაჭრობის მინისტრი.

სახელმწიფო მინისტრი ეიუფ აშიქი
დაამთავრა ტრაპიზონის ტექნიკური უნივერსიტეტი. ANAP-ის აქტიური წევრია.

სახელმწიფო მინისტრი შუქრუ სინა გურელი
დაამთავრა SBP-ს საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტი. საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკური ისტორიის სპეციალისტია. წლების განმავლობაში ეჯევეთის მრჩეველია საგარეო პოლიტიკის საკითხებში. ფლობს ინგლისურ და ფრანგულ ენებს. არის DSP-ს წევრი.

სახელმწიფო მინისტრი აჰათ ანდიჯანი
დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის ჯერაჰფაშას სამედიცინო ფაკულტეტი. წარმოშობით ავღანეთიდანაა. 1995 წლიდან სტამბოლის ვალაიეთის დეპუტატია. იგი ე.წ. „თურქ-მესხებზე" პასუხისმგებელი სახელმწიფო მინისტრია. არის ANAP-ის წევრი.

იუსტიციის მინისტრი ოლთან სუნგურლუ
დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1983 წლიდან გუმუშჰანეს ვილაიეთის დეპუტატია. 1995 წელს იყო თავდაცვის მინისტრი. ANAP-ის წევრია.
იუსტიციის სამინისტრო: Adalet Bakanlığı, 06440 Bakanlıklar, Ankara; tel. (312) 4192199; fax: (312) 4191696

შინაგან საქმეთა მინისტრი მურათ ბაშესგიოლლუ
დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი. 1987 წლიდან თურქეთის დიდი ეროვნული კრების წევრია. მნიშვნელოვანი ფიგურაა ANAP-ში.
შინაგან საქმეთა სამინისტრო: İçişleri Bakanlığı, Bakanlıklar, Ankara; tel. (312) 4254080; fax: (312) 4181795

საგარეო საქმეთა მინისტრი ისმაილ ჯემი
დაამთავრა ლოზანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ხარისხი დაიცვა პარიზში. 70-იან წლებში იყო TRT (თურქეთის ტელე-რადიო კორპორაცია)-ს დირექტორი. სხვადასხვა დროს იყო HP (სახალხო პარტია)-სა და SHP (სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტია)-ში. მცირე ხნით ასრულებდა კულტურის მინისტრის მოვალეობას. 1995 წლიდან DSP-ს დეპუტატია კაისერის ვალაიეთიდან.
საგარეო საქმეთა სამინისტრო: Dışişleri Bakanlığı, Yeni Hizmet Binası, 06520 Balgat, Ankara; tel. (312) 2871665; fax: (312) 2873869

ფინანსთა მინისტრი ზექერია თემიზელი
დაამთავრა SBP. ხარისხი დაიცვა სტრასბურგის ლუი პასტერის სახელობის უნივერსიტეტში. ფლობს ფრანგულ და გერმანულ ენებს. DSP-ს წევრია.
ფინანსთა სამინისტრო: Maliye Bakanlığı, Dikmen Cad, Ankara; tel. (312) 4250018; fax: (312) 4250058

ეროვნული განათლების მინისტრი ჰიქმეთ

ულუბაი

ხარისხი დაიცვა კალიფორნიის უნივერსიტეტში. ფინანსთა სამინისტროს მიერ წარგზავნილი იქნა ტოკიოში. იყო მუდმივი წარმომადგენელი ნატო-ში. ვაშინგტონის საელჩოში მუშაობდა მთავარ მრჩევლად ეკონომიკისა და ვაჭრობის საკითხებში და იყო ხაზინის გენერალური დირექტორი. არის DSP-ს წევრი.

ეროვნული განათლების სამინისტრო: Milli Eğitim Bakanlığı, Ankara, tel. (312) 4255330; fax: (312) 4177027

მშენებლობისა და განსახლების მინისტრი იაშარ თოფჩუ

1991 წელს იყო ტრანსპორტის მინისტრი DYP-დან. შემდეგ ეს პარტია მიატოვა და გადავიდა ANAP-ში.

მშენებლობისა და განსახლების სამინისტრო: Bayındırlık ve İskan Bakanlığı, Vekaletler Cad. 1, 06100 Ankara;tel. (312)4255711; fax:(312) 4180406

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ჰალილ იბრაჰიმ ოზსოი

დაამთავრა იზმირის ეგეოსის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. ფლობს ინგლისურ ენას. არის ANAP-ის დეპუტატი აფიონის ვილაიეთიდან.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო: Sağlık Bakanlığı, Yenişehir, Ankara; tel. (312)4312486; telex 42770; fax:(312)4339885

ტრანსპორტის და კომუნიკაციის მინისტრი ნეჯდეთ მენზირი

იყო სტამბოლის უშიშროების სამმართველოს ხელმძღვანელი. მას მიაწერენ DYP-SHP-ს კოალიციის დაშლას. 1995 წელს DYP-დან შევიდა თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში. მალე ვერ შეეწყო ჩილერს და გახდა DTP-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი.

ტრანსპორტის და კომუნიკაციის სამინისტრო: Ulaştırma Bakanlığı, Sok. 5, Emek, Ankara; tel (312)2124416; fax (312)2124930

სოფლის მეურნეობის და სასოფლო საქმეების მინისტრი მუსტაფა თაშარი

1983 წლიდან გაზიანთეევის და ანკარის ვილაიეთების დეპუტატია. ოზალის პერიოდში იყო ANAP-ის გენერალური მდივანი და სახელმწიფო მინისტრი. მუშაობდა ილმაზის მიერ ჩამოყალიბებულ სამივე მთავრობაში. არის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა ANAP-ში.

სოფლის მეურნეობის და სასოფლო საქმეების სამინისტრო: Köyişleri Bakanlığı, Şehit Adem Yavuz Sok. 10, 06140 Kızılay, Ankara; tel (312)4191677; fax: (312) 4177168

შრომის და სოციალური დაცვის მინისტრი ნამი ჩაღანი

დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. არის ამსტერდამის და ანკარის უნივერსიტეტების დოქტორი. ფლობს ინგლისურ და გერმანულ ენებს. არის DSP-ს წევრი.

შრომის და სოციალური დაცვის სამინისტრო: Çalışma ve Sosyal Güvenlik Bakanlığı, Eskişehir Yolu 42, Emek, Ankara; tel. (312) 4170727; fax: (312) 4179765

მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი იალიმ ერეზი

დიდ როლს ასრულებდა DYP-ში, მაგრამ შემდეგ პარტიიდანაც გამოვიდა და მინისტრობიდანაც გადადგა. ახალ მთავრობაში იგივე პოსტს დაეუფლა. დამოუკიდებელი დეპუტატია.

მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო: Sanayi ve Ticaret Bakanlığı, Tandoğan, Ankara; tel. (312) 4314866; fax: (312) 2304251

ენერგიტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ჯუმჰურ ერსუმერი

დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი. ოზალის პერიოდში იყო ANAP-ის გენერალური თავმჯდომარის მოადგილე. 1995 წლიდან თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში ANAP-ის ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეა.

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო: Enerji ve Tabii Kaynaklar Bakanlığı, Konya Yolu, Beştepe, Ankara; tel. (312)2135330; fax (312) 2123816

კულტურის მინისტრი ისთემიჰან თალაი

დაამთავრა SBP. პასუხისმგებელ თანამდებობებზე მსახურობდა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პრემიერ-მინისტრის კანცელარიაში. პარლამენტის წევრია 1987 წლიდან. იყო SHP (სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტია)-სა და CHP (სახალხო-რესპუბლიკური პარტია)-ში. ახლა DSP-ს წევრია.

კულტურის სამინისტრო: Kültür Bakanlığı, Atatürk Bul.29 Opera, Ankara; tel. (312) 3240322; fax; (312) 3111431

ტურიზმის მინისტრი იბრაჰიმ გურდალი

პოლიტიკაში DYP-დან მოვიდა. შემდეგ ხმა რა მისცა ჩილერის უმცირესობის მთავრობას და ANAP-ში გადავიდა.

ტურიზმის სამინისტრო: Turizm Bakanlığı, İsmet İnönü Bul. 5, 06100 Bahçelievler, Ankara; tel. (312) 2128300; fax: (312) 2128391

სატყეო მეურნეობის მინისტრი ერსინ თარანოღლუ

1987 წლიდან საქარიის ვილაიეთის დეპუტატია. ორჯერ იყო სახელმწიფო მინისტრი. არის ANAP-ის წევრი.

სატყეო მეურნეობის სამინისტრო: Orman Bakanlığı, Atatürk Bul, Bakanliklar, Ankara; tel. (312)4176000

გარემოს დაცვის მინისტრი იმრენ იაქუთი

იგი იყო პირველი ქალი დეპუტატი, რომელიც მინისტრადაც აირჩიეს. მსახურობდა მრავალ მთავრობაში. ANAP-ის წევრია.

გარემოს დაცვის სამინისტრო: Çevre Bakanliğr, İstanbul Cad. 88, İstekler Ankara; tel. (312) 3423900

თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე ჰიქმეთ ჩეთინი

დაიბადა 1937 წელს დიარბაქირში. დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტი, უილიამსის კოლეჯი ა.შ.შ.-ში. 1991-95 წლებში იყო სახელმწიფო მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი. არის გაზიანთეფის ვილაიეთის დეპუტატი. სათავეში ედგა SHP (სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტია)-ს. 1995 -96 წლებში ვიცე-პრემიერი და სახელმწიფო მინისტრია. 1997 წელს აირჩიეს თურქეთის დიდი ეროვნული კრების (პარლამენტი) თავმჯდომარედ. არის CHP (სახლხო-რესპუბლიკური პარტია)-ს წევრი.

თურქეთის დიდი ეროვნული კრება: T.B.M.M. Ankara; tel (312) 4205151; telex TBMM43627; fax: (312) 4206756

სხვა გავლენიანი პოლიტიკური ფიგურები

თანსუ ჩილერი

დაიბადა 1945 წელს ქ. სტამბოლში. დაამთავრა რობერტ კოლეჯი, სტამბოლის, კონექტიკუტის და იელის უნივერსიტეტები. 1983 წელს გახდა პროფესორი. მსახურობდა სხვადასხვა უნივერსიტეტებში, განსაკუთრებით გამოირჩევა მისი მოღვაწეობა ბოსფორის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. 1990 წ. შევიდა DYP (ჭეშმარიტი გზის პარტია)-ში. 1991 წელს აირჩიეს დეპუტატად და დაიკავა ეკონომიკის სახელმწიფო მინისტრის პოსტი. 1993 წლიდან დღემდე DYP-ს ლიდერია. 1993-96 წლებში იყო თურქეთის პრემიერ-მინისტრი. 1996-97 წლებში შეთავსებით ეკავა ვიცე-პრემიერის და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. ერბაქანთან კოალიციის დაშლისა და ხელისუფლებაში ილმაზის მოსვლის შემდეგ ოპოზიციაშია.

არის ცხრა ეკონომიკური ნაშრომის ავტორი.

ნეჯმეთინ ერბაქანი

დაიბადა 1926 წელს სინოპში. დაამთავრა მექანიკის ინსტიტუტი, სტამბოლის და ეიხენის ტექნიკური უნივერსიტეტები. 1948-66 წლებში მუშაობდა ასისტენტად, შემდეგ კი ლექტორად მექანიკის ინსტიტუტსა და სტამბოლის ტექნიკურ უნივერსიტეტში. 1951 წელს გახდა პროფესორი. 1966-68 წლებში იყო თურქეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინდუსტრიული დეპარტამენტის დირექტორი.

1970 წელს დააფუძნა ისლამისტური MNP (ეროვნული წესრიგის პარტია), რომელიც მალე აიკრძალა. 1973 წელს ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა MSP (ეროვნული ხსნის პარტია)-ს, რომელიც აიკრძალა 1981 წელს. 1974 წელს იყო ვიცე-პრემიერი და სახელმწიფო მინისტრი. 1975-77 წლებში კვლავ ვიცე-პრემიერია. დაპატიმრებულ იქნა 1980-81 წლებში. 1983 წელს ჩამოაყალიბა RP (კეთილღეობის პარტია). 1995 წლის 24 დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ 1996 წლის ივლისში შეადგინა მთავრობა, რომელიც დაიშალა ერთი წლის შემდეგ. 1997 წლის ივლისიდან იმყოფებოდა ოპოზიციაში. 1998 წლის თებერვალში კეთილდღეობის პარტიის დახურვასთან ერთად ერბაქანს აეკრძალა პოლიტიკური მოღვაწეობა.

დენიზ ბაიქალი

დაიბადა 1938 წლეს ქ. ანტალიაში. 1960 წელს დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1968 წელს გახდა პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტის დოცენტი. იმავე წელს შევიდა CHP (სახალხო-რესპუბლიკური პარტია)-ში. 1973-80 წლებში იყო დეპუტატი, ფინანსთა მინისტრი (1974), ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების მინისტრი (1978-79). 1980 წლის შემდეგ დაპატიმრებულ იქნა.

1984 წელს შევიდა SODEP (სოციალ-დემოკრატიული პარტია)-ში. ორგანიზაციის HP (სახლხო პარტია)-სთან გაერთიანების შემდეგ ადგილი დაიკავა SHP (სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტია)-ში. 1998 წელს არჩეულ იქნა დეპუტატად და SHP-ს გენერალურ მდივნად. CHP-ს ხელახალი დაფუძნებისას 1992 წელს არჩეულ იქნა პარტიის გენერალურ თავმჯდომარედ.

ჰუსამეთინ ჯინდორუქი

დაიბადა 1933 წელს ქ. იზმირში. 1955 წელს დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1978-80 წლებში იყო AP (სამართლიანობის პარტია)-ს სტამბოლის ვალაიეთეს ხელმძღვანელი. 1980 წელს პარტიის დახურვის შემდეგ 1983 წელს მონაწილეობა მიიღო BTP (დიდი თურქეთის პარტია)-ს დაფუძნებაში. შემდეგ ეს პარტიაც აიკრძალა და ჯანდორუქი მცირე ხნით დააპატიმრეს. 1985 წელს აირჩიეს DYP (ჭეშმარიტი გზის პარტია)-ს გენერალურ თავმჯდომარედ. 1986 წელს სამსუნის ვილაიეთეს დეპუტატია. 1987 წელს პარტიის ხელმძღვანელობა გადასცა სულეიმან დემირელს. 1991 წლიდან ესქიშეჰირის ვილაიეთის დეპუტატია. ამავე დროს იყო თურქეთის დიდი ეროვნული კრების (პარლამენტი) თავმჯდომარე. 1997 წელს თანამოაზრეებთან ერთად გამოეყო DYP-ს და ჩამოაყალიბა DTP (დემოკრატიული თურქეთის პარტია).

ერდალ ინონუ

დაიბადა 1926 წელს ქ. ანკარაში. არის ათათურქის მარჯვენა ხელის, შემდეგში

თურქეთის პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის ისმეთ ინონუს შვილი. დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტი და კალიფორნიის ტექნიკური ინსტიტუტი. 1960-74 წლებში მუშაობდა ახლო აღმოსავლეთის ტექნიკურ უნივერსიტეტში ლექტორად, დეკანად და შემდეგ რექტორად. ხელმძღვანელობდა SODEP (სოციალ-დემოკრატიული პარტია)-ს და SHP (სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტია)-ს. 1986 წლიდან ქ. იზმირის დეპუტატია. 1991-94 წლებში იყო სახელმწიფო მინისტრი და ვიცე-პრემიერი. 1995 წელს ჩილერის მთავრობაში ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი.

სახმელეთო ჯარების მეთაური არმიის გენერალი ჰუსეინ ქივრიქოღლუ

დაიბადა 1934 წელს ბოზოიუქში. 1955 წელს დაამთავრა სამხედრო-სახმელეთო სკოლა, 1957 წელს საარტილერიო სკოლა, ხოლო 1967 წელს სამხედრო აკადემია. მუშაობდა ნატოს სტრუქტურებსა და თურქეთის გენშტაბში. მეთაურობდა თურქეთის პირველ არმიას. ფლობს ინგლისურ ენას.

სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაური არმიის გენერალი ილჰან ქილიჩი

დაიბადა 1936 წელს ქ. სტამბოლში. 1955 წელს დაამთავრა სამხედრო-სახმელეთო სკოლა, 1958 წელს კი პილოტთა სკოლა. დაამთავრა თურქეთის შეიარაღებული ძალების აკადემია. მსახურობდა ნატოს სტრუქტურებსა და თურქეთის გენშტაბში. 1997 წლამდე იყო თურქეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს გენერალური მდივანი. ფლობს ინგლისურ ენას.

სამხედრო საზღვაო ძალების მეთაური ადმირალი სალიმ დერვიშოღლუ

დაიბადა 1936 წელს ქ. იზმითში. 1967 წელს დაამთავრა სამხედრო-საზღვაო აკადემია. მუშაობდა ნატოს სტრუქტურებსა და თურქეთის გენშტაბში. მეთაურობდა სამხედრო ფლოტს. იყო თურქეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილე. ფლობს ინგლისურ და ფრანგულ ენებს.

ჟანდარმერიის მეთაური არმიის გენერალი ფიქრეთ ოზდენ ბოზთეფე

დაიბადა 1937 წელს ქ. სტამბოლში. 1957 წელს დაამთავრა სამხედრო-სახმელეთო სკოლა. მსახურობდა გენშტაბში. იყო თურქეთის შეიარაღებული ძალების მეთაური კუნძულ კვიპროსზე. სხვადასხვა დროს იყო მე-2 და ეგეოსის არმიის მეთაური. ფლობს გერმანულ ენას.

6. 90-იანი წლების თურქეთის შიდა პოლიტიკური სიტუაცია

1989 წლის 31 ოქტომბერს ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს თურგუთ ოზალი, რომელმაც წარმატებით განაგრძო ადრე დაწყებული რეფორმები.

წელიწადნახევრის განმავლობაში პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ასრულებდა ილდიმირ აქბულუთი. 1991 წლის 15 ივნისს ANAP-ის ლიდერი გახდა მესუთ ილმაზი, ერთი კვირის შემდეგ კი ახალი მთავრობაც ჩამოყალიბდა. მაგრამ მალე მანვე 1991 წლის 20 ოქტომბრისთვის დანიშნა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, რომელიც DYP-ს გამარჯვებით დამთავრდა (იხილეთ ცხრილი 1).

დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ჰუსამეთინ ჯინდორუქი (DYP). DYP - SHP-ს კოალიციური მთავრობა კი ჩამოაყალიბა ჭეშმარიტი გზის პარტიის მაშინდელმა ლიდერმა სულეიმან დემირელმა.

1997 წლის 17 აპრილს გარდაიცვალა თურგუთ ოზალი. პარლამენტში მესამე ტურის შედეგებით 16 მაისს ქვეყნის მეცხრე პრეზიდენტად არჩეულ იქნა დიდი გამოცდილების მქონე პოლიტიკოსი სულეიმან დემირელი. იმავე წლის ივნისში პრემიერ-მინისტრის და DYP-ს გენერალური თავმჯდომარის პოსტი დაიკავა ახალგაზრდა და ენერგიულმა ეკონომისტმა, ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა თანსუ ჩილერმა.

1994 წლის 28 მარტს ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები, სადაც ხმების 19 პროცენტი მოიპოვა პროისლამურმა კეთილდღეობის პარტიამ(RR). ეს ამ პარტიის პირველი სერიოზული განაცხადი იყო დიდ პოლიტიკაში.

დღეს ხშირად საუბრობენ თურქეთში ისლამის ფაქტორის გაძლიერებაზე. 90-იანი წლების თურქეთში პოლიტიკური ისლამის აღორძინების ნამდვილი ბუმი დაიწყო. მას ანგარიშს უწევდა თურგუთ ოზალიც, ათათურქის შემდეგ ქვეყნის ყველაზე დიდი პრეზიდენტი. იგი იყო თურქეთის პირველი პრეზიდენტი, რომელმაც შეასრულა ჰაჯი (მექაში სალოცავად წასვლა). დღეისათვის ქვეყანაში მოქმედებს 100 ათასამდე მეჩეთი,70 ათასი მედრესე (რელიგიური სკოლა) და ამდენივე ყურანის შემსწავლელი კურსი; მოქმედებს 1992 წელს მიღებული კანონი „მკრეხელობის, ისლამისა და წმინდა წიგნის - ყურანის შეურაცხყოფის შესახებ", რომლის მიხედვით დამნაშავე ისჯება ორი წლით საპყრობილეში ჩასმით; ბოლო წლებში სახელმწიფოს ხარჯზე ყოველწლიურად შენდება 1500 მეჩეთი. ჩამოყალიბდა რელიგიური ხელოვნების ცენტრები, ისლამური განვითარების ბანკის ფილიალები, რამდენიმეჯერ ჩატარდა ისლამური ქვეყნების ხელმძღვანელთა კონფერენცია და ა.შ.

არჩევნებიდან არჩევნებამდე ძლიერდებოდა კეთილდღეობის პარტია. მისი პროგრამაც მეტად საინტერესოა:

ეკონომიკა: „სამართლიანი ეკონომიკური წყობის" სახელით ცნობილი სისტემის შემოღებაა საჭირო. „სამართლიანი წყობის" დროს სახელმწიფო მოაწესრიგებს რეგიონებში

ფაბრიკა-ქარხნების შექმნის საქმეს, გაუქმდება ყველა გადასახადი და წარმოება, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და მომსახურების სფერო სწრაფად განვითარდება.

საგარეო პოლიტიკა: იგი სამ პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს: ინდივიდუალური საგარეო პოლიტიკა, უფლებების დაცვა და ლიდერი თურქეთია. მუსლიმურმა ქვეყნებმა უნდა შექმნან საკუთარი გაერო, „მუსლიმური ქვეყნების თავდაცვითი თანამშრომლობის ორგანიზაცია", „მუსლიმური ქვეყნების საერთო ბაზარი და ორგანიზაცია" და ა.შ.

ძირითადი უფლებები და თავისუფლებები: უნდა შეიქმნას სამართლიანი ზნეობრივი წყობა.

პროფკავშირები - ხელფასები: პროფკავშირებმა უნდა გადაწყვიტონ მუშა-მოსამსახურეების წინაშე მდგარი საკითხები.

სოფლის მეურნეობა: სახელმწიფო მთელი ძალებით უნდა დაეხმაროს თურქეთის ეკონომიკის საფუძველს - სოფლის მეურნეობას და მეცხოველეობას.

უცხოური კაპიტალი: უპირატესობა მიენიჭება მუსლიმური ქვეყნების კაპიტალს.

გადასახადები: „სამართლიან ეკონომიკურ წყობაში" სახელმწიფო შეიმუშავებს მაკრო გეგმებს, ხოლო პროცენტული განაკვეთები და გადასახადები გაუქმდება.

განათლება: განათლების მიზანია ახალგაზრდობისათვის ეროვნული კულტურის გაცნობა, მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე თურქეთის დამსახურების ჩვენება და საკუთარი თავის მუდმივად განახლების სურვილის ჩანერგვა.

რა არის თურქეთში ისლამის გამოლვიძების მიზეზები? უპირველეს ყოვლისა ეკონომიკური პრობლემები: უმუშევრობა, მაღალი ინფლაცია, აღმოსავლეთის პროვინციების ჩამორჩენილობა და სხვ.

რიგით ამომრჩეველს მოსწყინდა მემარჯვენე და მემარცხენე მიმართულების პარტიების მუდმივი ურთიერთქიშპი და მტრობა, კორუფცია ხელისუფლების მაღალ ეშელონებში და დაპირებები მომავალში უკეთესი ცხოვრებით. ამიტომ კეთილდღეობის პარტიის მიზანი - „სამართლიანი წესრიგის„ დამყარება ამომრჩეველთა დიდი ნაწილისათვის მისაღები შეიქმნა.

1995 წლის მარტში სტამბოლში ადგილი ჰქონდა არეულობებს, რაც გამოიწვია შიიტების ყავახანების დაცხრილვამ და ათობით ადამიანის დალუპვამ. ამავე თვეს განხორციელდა თურქეთის სამხედრო ოპერაცია ჩრდილოეთ ერაყში ტერორისტული ქურთისტანის მუშათა პარტიის (PKK) ბაზების ლიკვიდაციის მიზნით. ოპერაციამ ორ თვეს გასტანა.

იმავე წლის ოქტომბერში თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ 24 დეკემბრისთვის დანიშნა არჩევნები, რომელშიც ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა მიიღო კეთილდღეობის პარტიამ (RR) (იხილეთ ცხრილი№ 2).

თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მუსტაფა ქალემლი (ANAP).

ხმები იმდაგვარად განაწილდა, რომ მთავრობას ცალკე ვერც ერთი პარტია ვერ ჩამოაყალიბებდა. თავიდან ANAP -ისა და DYP -ს მონაწილეობით შედგა ე.წ. „ანაიოლის" მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მესუთ ილმაზი. მაგრამ ხსენებული კოალიცია 7 ივნისს დაიშალა პრემიერის გადადგომის შედეგად.

1996 წლის 29 ივნისს DYP -სა და RP -ის მოლაპარაკების შედეგად შედგა ე.წ „რეფაჰიოლის" კოალიციური მთავრობა, სადაც პრემიერ-მინისტრის თანამდებობას მონაცვლეობით დაიკავებდნენ თანსუ ჩილერი და ნეჯმეთინ ერბაქანი (RP -ის გენერალური თავმჯდომარე).

პირველად სწორედ ეს უკანასკნელი ჩაუდგა მთავრობას სათავეში.

1996 წლის შემოდგომაზე დიდ სკანდალს ჰქონდა ადგილი თურქეთში. ქალაქ სუსურლუქის მახლობლად მოხდა ავტოკატასტროფა, სადაც დაიღუპა უშიშროების სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჰუსეინ ქოჯადაღი და ულტრანაციონალისტი აბდულა ჩატლი, რომელსაც ინტერპოლი უკანასკნელი 18 წლის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდა. ისინი ერთ მანქანაში ისხდნენ.

სუსურლუქის ინციდენტის შემდეგ პოლიციამ 18 კრიმინალური ჯგუფი გამოააშკარავა. დაპატიმრებული იქნა უამრავი ეჭვმიტანილი, მათ შორის სახელმწიფო ჩინოვნიკებიც.

1997 წლის მარტში ჩატარდა თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა. შეკრების შედეგების მიხედვით დამუშავდა 20 ძირითადი ღონისძიება, რომელიც საჭირო იყო სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფისა და მისი სეკულარული ხასიათის პოლიტიკური სისტემის შენარჩუნების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება გენერლებმა გაამახვილეს ამ სისტემის განმტკიცებაზე საგანმანათლებლო სფეროში რელიგიური და უფრო მეტად ისლამური იდეოლოგიის შეზღუდვის აუცილებლობაზე.

ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ წამოყენებულ ულტიმატუმს უმალვე გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი ნეჯმეთინ ერბაქანი. მან ამგვარ განცხადებას არაკოხსტიტუციური უწოდა და სამხედროების ზეწოლის განეიტრალების მიზნით დაიწყო კონსულტაციების გამართვა ოპოზიციურ ძალებთან. მიუხედავად მისი ხანგრძლივი მცდელობისა, ის იძულებული გახდა კოალიციურ პარტნიორთან თანსუ ჩილერთან ერთად ხელი მოეწერა ეროვნული უშუშროების საბჭოს მიერ შემუშავებული დოკუმენტისათვის.

გაზაფხულიდანვე დაიწყო დეპუტატების გამოსვლა DYP-დან, რითაც შესუსტდა ჩილერისა

და მისი კოალიციის ძალები. ივნისში სიტუაცია იმდენად კრიტიკული შეიქმნა, რომ თანსუ ჩილერმა ველარ მოახერხა პრემიერის პოსტის დაკავება და კოალიცია დაიშალა.

პრეზიდენტმა დემირელმა კაბინეტის შედგენა დაავალა მესუთ ილმაზს, რომელმაც მემარცხენე დემოკრატიული პარტიისა (DSP) და დემოკრატიული თურქეთის პარტიის (DTP) დახმარებით ჩამოაყალიბა ახალი, რიგით 55-ე მთავრობა.

ამ მთავრობის ძირითადი მიზნებია:

- საარჩევნო სისტემის დახვეწა;
- სასამართლო სისტემის მოწესრიგება;
- შეიარაღებული ძალების ხარჯების არშეზღუდვა;
- საგარეო პოლიტიკური კურსი შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

ა) მეგობრული ურთიერთობების განვითარება აშშ-სთან, ევროპულ ქვეყნებთან, რუსეთთან და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებთან.

ბ) ყოველმხრივ განვითარდება ურთიერთობები შუა აზიის თურქულენოვან რესპუბლიკებთან.

გ) ევროკავშირში გაწევრიანება მხოლოდ დასახული მიზანი კი არაა, არამედ ხელშეკრულებების დადებიდან წარმოშობილი ბუნებრივი უფლებაა.

დ) კვიპროსი ჩვენი ეროვნული პრობლემაა. ყოველმხრივ მხარს დავუჭერთ ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას.

- 8 წლიანი საყოველთაო სავალდებულო განათლების შემოღება;
- ინფლაციის შემცირება;
- სახელმწიფო ბანკების პრივატიზაცია;
- მეტი სოციალური დაცვა;
- საგადასახადო რეფორმის გატარება, გადასახადების შემცირება;
- ე.წ. „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ აღრიცხვა-რეგისტრაცია;
- ბრძოლა ტერორიზმთან;
- სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის პროექტის (GAP) განხორციელების დაჩქარება.

პირველი სერიოზული ნაბიჯი, რომელიც ამ მთავრობამ გადადგა, გახლდათ 8 წლიანი სავალდებულო სწავლების შემოღება, რითაც შეიზღუდა რელიგიური განათლება.

შემოდგომაზე თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ჰიქმეთ ჩეთინი (CHP). თურქეთში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია ქვეყნის ევროგაერთიანებაში არმიღებამ (1997 წლის დეკემბერში) და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კეთილდღეობის პარტიის აკრძალვამ (1998 წლის იანვარ-თებერვალში).

აკრძალული კეთილდღეობის პარტიის წევრები ამა წლის თებერვალში გადავიდნენ სათნოების პარტიაში(Fazilet Partisi).

ისლამურ ფუნდამენტალიზმთან ბრძოლის სერიოზულობაზე მეტყველებს თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებები - თუ ადრე ფუნდამენტალიზმი ისჯებოდა 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ახლა სასჯელი უფრო გამკაცრდა და იგივე ქმედება სამუდამო პატიმრობით შეიცვალა. აიკრძალა აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებსა და უნივერსიტეტებში თურბანის (თავსაფარი ქალებისათვის) ტარება. ამასთანავე მთავრობამ შეიმუშავა კანონპროექტი, რომლის მიღების შემთხვევაში სახელმწიფო დაწესებულებებში საერო ტანსაცმლის ტარების კანონის დამრღვევთ მიესჯებათ პატიმრობა 6 თვიდან 1 წლამდე.

მთელი 1998 წლის გაზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობდა კამათი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის გარშემო. საბოლოოდ ეს საკითხი გადაწყდა 15 ივნისს, როდესაც პრემიერმა მესუთ ილმაზმა და ოპოზიციონერმა დენიზ ბაიქალმა ხელი მოაწერეს ე. წ. „თანხმობის პაქტს“, არჩევნების 1999 წლის აპრილში გამართვის შესახებ. ამავე პაქტის თანახმად, ოპოზიცია მხარს დაუჭერს მთავრობის მიერ დაგეგმილ ეკონომიკურ რეფორმებს, კერძოდ, საგადასახადო სისტემის რეფორმას, რაც უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის სტიმული.

7. საგარეო პოლიტიკა

თურქეთის საგარეო პოლიტიკის წარმმართველი ძირითადი პრინციპია რესპუბლიკის დამაარსებლის და პირველი პრეზიდენტის მუსტაფა ქემალ ათათურქის სიტყვები „მშვიდობა ქვეყანაში, მშვიდობა მსოფლიოში“. თურქეთში მშვიდობა ჩვენგან განსხვავებით მარცხთან არ ასოცირდება, პირიქით, მშვიდობა გამარჯვების გაგრძელებაა. ანკარაში კარგად იციან მეორე დიდი პრეზიდენტის თურქუთ ოზალის სიტყვების ფასიც: „შიშით საგარეო პოლიტიკა ვერ წარიმართება“ და მართლაც, თურქეთი საკმაოდ აქტიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებს.

ურთიერთობები დასავლეთთან

ანკარა არის ნატოს და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის აქტიური წევრი. ცდილობს გახდეს ევროკავშირის წევრი.

თურქეთი თავისი იშვიათი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ყოველთვის იწვევდა დასავლეთის ინტერესს. იგი ათწლეულების განმავლობაში რეალურ დახმარებას უწევდა დასავლეთის უსაფრთხოებასა და თავდაცვას. თურქეთი ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობას ორ ძირითად დასაყრდენად მიიჩნევს ევრო-ატლანტიკურ კავშირებში.

ურთიერთობები შუა აზიასთან

„ცივი ომის“ დამთავრების და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთმა თავისი

სტრატეგიული ინტერესები მიმართა კავკასიისა და ცენტრალური (ძველი განსაზღვრებით - შუა - აზიისაკენ). ოზალის იდეით, თურქეთი უნდა გამხდარიყო „ახალგაზრდა დამოუკიდებელი რესპუბლიკების არსებობის გზამკვლევი და ორიენტირი" თანამედროვე მსოფლიოში.

ანკარამ 1991 წლის ბოლოს პირველმა აღიარა თურქმენეთის, უზბეკეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის დამოუკიდებლობა და ცოტა ხნის შემდეგ აშხაბადში, ტაშკენტში, ბიშკეკსა და ალმაატაში გაიხსნა დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობები, რომლებსაც ხელი უნდა შეეწყოთ ორმხრივი პრიორიტეტული ურთიერთობების განვითარება-გაღრმავებისათვის. ცხადია, შეცვლილ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში ამ მიზნების განხორციელება იოლი არ იყო, რადგან ჯერ ერთი - ხსენებული რეგიონი გეოგრაფიული თვალსაზრისით საკმაოდ დაშორებულია ანატოლიისაგან, მეორე - კვლავ რჩებოდა რუსეთის გავლენის ფაქტორი როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში (მრავალმილიონიანი რუსული დიასპორების მეშვეობით ყაზახეთში, უზბეკეთში და ა.შ.), მესამე - იგივე რუსეთი საკმაო ყურადღებით ადევნებდა თვალს თურქეთის ჰეგემონიის დაწყების მცდელობებს, რასაც შეიძლებოდა არასასურველი შედეგები მოჰყოლოდა მოსკოვთან მიმართებაში, და მეოთხე - გავლენის მოპოვების მიზნით დიპლომატიაში ჩაერთო ირანიც, რომელიც თურქეთისაგან განსხვავებით უშუალოდ ესაზღვრება რეგიონს.

თურქეთმა პირველ ეტაპზე აქტიურად დაიწყო მოძმე თურქულ რესპუბლიკებთან დაახლოების პროცესი, ანკარასა (1992 წლის ოქტომბერში) და სტამბოლში (1994 წლის ოქტომბერში) ჩატარდა შეხვედრები უმაღლეს დონეზე, ხელი მოეწერა მრავალრიცხოვან ხელშეკრულებებს სხვადასხვა სფეროში, ამავე დროს ანკარა ხელიდან არ უშვებდა შესაძლებლობას ხაზი გაესვა ისტორიულ, კულტურულ, რელიგიურ და ენობრივ ერთობაზე. თურქეთის ექსიმბანკის მეშვეობით ცენტრალური აზიის ქვეყნებისადმი გაიცა მრავალმილიონიანი შეღავათიანი კრედიტები, მოხერხდა თურქეთელერადიომაუწყებლობის ორგანიზაციაც თანამგზავრული სისტემების საშუალებით. ანკარამ გამოჰყო ადგილები თავის უმაღლეს სასწავლებლებში ხსენებული სახელმწიფოების სტუდენტთათვის (1993-94 სასწავლო წელს - 2,2 ათასი ადგილი. ეს ეხება არამარტო სამოქალაქო, არამედ სამხედრო სპეციალობებსაც).

მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში თურქეთის ეკონომიკაში განვითარებული კრიზისის გამო ასეთი სახის უანგარო დახმარებები მკვეთრად შემცირდა და ამჟამად ურთიერთობებში ძირითადი ადგილი ეთმობა სავაჭრო და კულტურულ ორმხრივ თანამშრომლობას (ეს აღინიშნება კიდეც 1995 წლის აგვისტოში ბიშკეკში ჩატარებულ მესამე სამიტზე).

ურთიერთობები კავკასიასთან

თურქეთის სახელმწიფოებრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ამ ქვეყნის ინტერესს მეზობელი რეგიონისადმი ობიექტურად განსაზღვრავდა გეოპოლიტიკური, სამხედრო, სავაჭრო-ეკონომიკური და სხვა მიზნების ერთობლიობა, რაც ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მეტწილ ხალხებთან თურქთა ეთნიკური და რელიგიური სიახლოვით არის განპირობებული.

ამიერკავკასიის სახელმწიფოებიდან თურქეთს, შეიძლება ითქვას, ყველაზე მჭიდრო ურთიერთობები გააჩნია აზერბაიჯანთან და საქართველოსთან (ამ უკანასკნელთან ურთიერთობებზე ქვემოთ ვრცლად შევჩერდებით). ანკარა ბაქოს თავის სტრატეგიულ მოკავშირედ მიიჩნევს და მას არც აზერაიჯანი უარყოფს - თურქეთი მას დიდ ფინანსურ და პოლიტიკურ დახმარებას უწევს, გამოდის ბაქოს მხარდამჭერად ყველა საერთაშორისო ფორუმზე და ორგანიზაციასი, იქნება ეს გაერო, ეკო თუ ეუთო. ანკარის ინტერესებს განსაზღვრავს აგრეთვე ნავთობის საკითხიც.

ბოლო ხანებში თითქოსდა შეიმჩნევა თურქეთ-სომხეთის დამოკიდებულების ერთგვარი „შერბილება", ერევანს აღარ გადააქვს აქცენტი ტერიტორიულ პრეტენზიებზე, მიმდინარეობს სომხეთის საქმიანი წრეების გარკვეული კონტაქტების დამყარების პროცესი თურქეთის შესაბამის ფირმებთან, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი მხოლოდ სურვილის დონეზეა, პოლიტიკური პრობლემების აჩრდილი კვლავ არსებობს და შესაბამისად, ნდობის ფაქტორიც ნაკლებია.

ურთიერთობები ისლამურ სამყაროსთან

თურქეთი იზიარებს აზრს, რომ ერაყის პოზიცია სრული შესაბამისობაში უნდა მოვიდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციებთან, რომელიც ითვალისწინებს სპარსეთის ყურის ომისშემდგომი ვითარების მოგვარებას და ერაყის განვითარებას დემოკრატიული გზით, რაც მეტად მნიშვნელოვანია ამ რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის. მეორე მხრივ მადრიდის კონფერენციის მიერ წამოყენებულმა სამშვიდობო პროცესმა, დაძაბულობის შენელებას უნდა მიაღწიოს იმით, რომ ისრაელმა ცნოს პრინციპი „მიწა - მშვიდობისათვის", როგორც ეს ასახულია გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ 242 და 338 რეზოლუციებში. აღნიშნულ უნდა იქნეს პალესტინელების ყველა ლეგიტიმური უფლება, იმ უფლებასთან ერთად, რომელიც ითვალისწინებს საკუთარი სახელმწიფოს შექმნას, ხოლო ისრაელს საშუალება უნდა მიეცეს იარსებოს უსაფრთხოებისა და მსოფლიოში

აღიარებული საზღვრების ფარგლებში.

თურქეთს, როგორც საუკუნებრივად მუსლიმურ ქვეყანას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ისლამური კონფერენციის ორგანიზაციაში და აქტიურ როლს ასრულებს მის ორგანოებში, რომლებიც მოწოდებულნი არიან გააფართოვონ ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობა ისლამურ ქვეყნებს შორის..

1995 წლის ბოლოს ანკარაში დაარსდა ისლამის ევრაზიული საბჭო, რომლის მიზანია ყოველმხრივ ურთიერთობების გაღრმავება მუსლიმურ ქვეყნებს შორის.

1996 წლის 9 ნოემბერს, ანკარაში ისლამური ქვეყნების კონფერენციის „თანამშრომლობა და განვითარება" სამეთვალყურეო კომიტეტის სხდომაზე პრემიერ ერბაქანის წინადადებით მიიღეს გადაწყვეტილება დასავლური „შვიდეულის" მსგავსი ისლამური „რვათა კავშირის" შექმნის შესახებ (ეგვიპტე, თურქეთი, ინდონეზია, ირანი, მალაიზია, ნიგერია, პაკისტანი და ბანგლადეში), რომლის შტაბ-ბინა სტამბოლში იქნება. ახალი ორგანიზაციის წევრების პირველი ოფიციალური შეხვედრა უკვე მოეწყო 1997 წლის 4 იანვარს. ანკარაში გამართულ სამიტზე სიტყვით გამოსულმა თურქეთის პრემიერმა ერბაქანმა ხაზი გაუსვა, რომ „ამ შეხვედრის მიზანია არამარტო ისლამური, არამედ ყველა განვითარებადი ქვეყნის გაერთიანება ერთ ჯგუფად". „რვათა კავშირის" სტრატეგიული გეგმა გულისხმობს დასავლეთის ინდუსტრიული ქვეყნების განვითარებად სახელმწიფოებზე დომინირების დასრულებას. პერსპექტივაში გათვალისწინებულია მასში ცენტრალური აზიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ჩართვაც და საბოლოო ჯამში „ჩამოყალიბდება მძლავრი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი" ისლამისტთა ლიდერობით.

ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან

თურქეთს ბალკანეთის რეგიონში კარგი ურთიერთობები აქვს ყოფილ ქვეყანასთან გარდა საბერძნეთისა. პრობლემები ეგეოსის ზღვასა და კუნძულ კვიპროსზე აფერხებს ორ ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობების დამყარების პროცესს.

ანკარა ამტკიცებს, რომ კვიპროსის პრობლემა შეიძლება მხოლოდ იმ წესით გადაწყდეს, რომელიც ითვალისწინებს კვიპროსის ორი ხალხის პოლიტიკურ თანასწორობაზე დაფუძნებულ ორზონიან, ორთემიანი ფედერალური სახელმწიფოს არსებობას: თურქი და ბერძენი კვიპროსელები თავისუფლად უნდა შეთანხმდნენ აღნიშნული ფორმულის მიხედვით ვალდებულებათა თაობაზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს იმ რეზოლუციის შესაბამისად, რომელიც მისაღებია ორივე თემის მიერ.

თურქეთის საგარეო პოლიტიკა აქტიურად განიხილავს ურთიერთობის განვითარებას არა მარტო ევროპულ, ტრანსატლანტიკურ და პერიფერიულ რეგიონებთან, არამედ ელტვის, აგრეთვე, კეთილი ურთიერთობის შენარჩუნებასა და განვითარებას შორეულ ქვეყნებთან მსოფლიოს ყველა კუთხეში. უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა თურქეთ-იაპონიის თანამშრომლობა, განსაკუთრებით ეკონომიკურ სფეროში. ასევე სტაბილურად ვითარდება ურთიერთობანი ჩინეთთან, ინდოეთთან და სხვა აზიურ, შორეული აღმოსავლეთისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებთან.

როგორც გაეროს სპეციალიზირებული ორგანიზაციების სისტემაში, ასევე ორმხრივ საფუძველზე, თურქეთი დაინტერესებულია აფრიკის წინაშე მდგომი ეკონომიკური თუ სხვა ხასიათის პრობლემების გადაჭრაში. ბოლო პერიოდში თურქეთმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა აგრეთვე ლათინური ამერიკის ქვეყნებთან ურთიერთობათა გააქტიურების თვალსაზრისითაც.

8. ეკონომიკის ზოგადი დახასიათება

თურქეთი აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა, ხშირად იდგა სერიოზული ეკონომიკური პრობლემების წინაშე. სიტუაცია უკეთესობისაკენ შეიცვალა ოზალის რეფორმების შემდეგ. თუმცა პრობლემები კვლავ მრავლადაა: თურქეთს დეფიციტი აქვს საგარეო ვაჭრობაში, საგადამხდელო ბალანსში, სახელმწიფო ბიუჯეტში. ინფლაციამ 1996 წელს 87 პროცენტი შეადგინა; საგარეო ვალი 73,6 მილიარდი აშშ დოლარია.

თურქი ეკონომისტების უმრავლესობის აზრით, 1991-95 წლების მთავრობის უმთავესი დანაშაული სტრუქტურული რეფორმების გაუტარებლობა იყო.

თუკი თურქეთს ევროპის საბაჟო კავშირის მოთხოვნების შესრულება სურს, მან სტაბილიზაციის გეგმის განხორციელება აღარ უნდა გადადოს. ეს კი მას დიდ სიძნელეებს უქადის. ამიტომაც ევროპის საბაჟო კავშირთან შეერთებას თავის დროზე ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. მისი მომხრეებიც კი აღიარებენ, რომ საბაჟო კავშირთან კონტაქტი თურქეთისთვის გაცილებით ნაკლებად ხელსაყრელი იქნება, ვიდრე თვით ევროპელი პარტნიორებისათვის. ამ შეერთების დადებითი მხარე კი, ალბათ ის არის, რომ თურქული კანონები შესაბამისობაში მოვა ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რაც კერძო სექტორს მრავალ დარგში დასავლეთ ევროპასთან კოოპერაციისკენ გაუხსნის გზას.

სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია მიწათმოქმედება, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების 2/3-ს იძლევა. სათესი ფართობის დაახლოებით 80% უჭირავს მარცვლეულ კულტურებს, ძირითადად ხორბალსა და ქერს,

რომლებიც მოჰყავთ უმთავრესად ცენტრალურ ანატოლიაში. 1995 წელს მოიყვანეს (მლნ. ტ.) ხორბალი - 18, შაქრის ჭარხალი - 11,7, ქერი - 7,5, პომიდორი - 7,2, ნესვი და საზამთრო - 5,4, კარტოფილი - 4,8, ყურძენი - 3,6, ხახვი - 2,9, ვაშლი - 2,1, სიმინდი - 1,9. მოჰყავთ აგრეთვე თამბაქო, ჩაი, თხილი, ლელვი, ზეთისხილი, ბამბა და სხვ. (უფრო დაწვრილებით იხილეთ ცხრილი №3)

მეცხოველეობა. მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის მნიშვნელობით მეორე დარგია. 1994 წელს თურქეთში იყო (მლნ. სული): ცხვარი 35,7, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი - 11, 9, თხა - 9,6. მისდევენ აგრეთვე თევზჭერას. ამზადებენ ხეტყეს. (უფრო დაწვრილებით იხილეთ ცხრილი №4)

მრეწველობა. თურქეთში მოიპოვებენ ქვანახშირს (ზონგულდაქი), მურა ნახშირს (ქუთაჰია და მანისა) და მცირე რაოდენობით ნავთობს (ბათმანი და სიირთი). იღებენ ქრომიტებს, ბორატებს, სტიბიუმის, რკინის, ვოლფრამის, სპილენძის, მანგანუმის, პოლიმეტალეტების, ვერცხლისწყლის მადანს, ბოქსიტებს, გოგირდს.

ქვეყანაში დამუშავებითი მრეწველობის მთავარი დარგებია კვების, საფეიქრო, საშენ მასალათა და ქიმიური მრეწველობა.

თურქეთში არის მცენარეული ზეთის, ბოსტნეულისა და თევზის საკონსერვო და სასმელის ქარხნები, თამბაქოს და ქაღალდის ფაბრიკები და ა.შ.

(მრეწველობის პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოება იხილეთ ცხრილი №5)

ტრანსპორტი. 1994 წელს ავტოპარკში იყო 3 028 ათ. მსუბუქი ავტომობილი, 688 ათ. - სატვირთო, 88 ათ. - ავტობუსი მთავარი ნავსადგურებია სტამბოლი, იზმირი, მერსინი, ისქენდერუნი, სამსუნი.

ტურიზმი. ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა ტურისტთა რიცხვი თურქეთში. 1995 წელს ქვეყანას ეწვია 7.7 მლნ უცხოელი: გერმანიიდან (1.7 მლნ), ყოფილი სსრკ-დან (1.4 მლნ), დიდი ბრიტანეთიდან (0.7 მლნ), ირანიდან (0.4 მლნ), აშშ-დან (0.3 მლნ), საფრანგეთიდან (0.3 მლნ) და ა. შ.

საგარეო ეკონომიკური კავშირები. 1995 წელს იმპორტმა შეადგინა 35 709 მლნ დოლარი, ექსპორტმა - 21 636 მლნ დოლარი.

თურქეთის ძირითადი სავაჭრო პარტნიორებია: გერმანია, აშშ, იტალია, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იაპონია, საუდის არაბეთი და სხვ(უფრო დაწვრილებით იხილეთ ცხრილი №6,7).

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ყოფილი საბჭოეთის ბაზრის ათვისება.

(საგარეო ვაჭრობა თურქეთსა და დსთ-ს წევრ ქვეყნებს შორის 1995 წელს იხილეთ ცხრილი № 8)

GAP. თურქეთში დიდი ყურადღება ექცევა GAP-ს (სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის პროექტი), რომელმაც უნდა გადაჭრას ქვეყნის ბევრი პრობლემა.

თავისუფალი ეკონომიკური ზონები.

თურქეთში 1985 წლის 6 ივნისს ძალაში შევიდა კანონი „თავისუფალი ზონების შესახებ" №3218. ამ დღის შემდეგ წარმატებით დაიწყო საქმიანობა თურქეთის ექვსმა თავისუფალმა ზონამ: ანტალიაში, მერსინში, იზმირში - ეგეოსის რეგიონში, სტამბოლში - ათათურქის სახელობის აეროპორტში, ტრაპიზონსა და სტამბოლში. შემდეგში ზუსტად განისაზღვრა ადანა-იმურთალიქის, სტამბოლ-თრაკიის, ზონგულდაქ-ფილუროსის, მარდინის, აღმოსავლეთ ანატოლიის თავისუფალი ზონების და სტამბოლის ათათურქის სახელობის აეროპორტის თავისუფალი ზონის საზღვაო საბანკო ცენტრის ადგილმდებარეობა და საზღვრები. 1994 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის ამ 6 თავისუფალ ზონაში ვაჭრობის საერთო მოცულობამ გადააჭარბა 4,3 მლრდ დოლარს, რაც 1,586 მლრდ დოლარით მეტი გამოდგა 1993 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით ანუ ის გაიზარდა თითქმის 99%-ით (უფრო დეტალურად 1988 წლიდან 1994 წლამდე ვაჭრობის მოცულობის დინამიკა იხილეთ ცხრილი №9).

თავისუფალი ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბება და განვითარება მიმდინარეობდა „ Build-Operate and Transfer " -ის ფარგლებში. ამ მოდელის მიხედვით, ანატოლიის და მერსინის თავისუფალ ზონებში, თურქეთის მთავრობა უზრუნველყოფს ტერიტორიის გამოყოფის საკითხს და პასუხისმგებლობას იღებს ზონებში სუპერსტრუქტურების განვითარებაზე. ასევე ამ მოდელის მიხედვით, ეგეოსის, სტამბოლ-თრაკიის, ტრაპიზონის, ადანა-იუმურთალიქის და სტამბოლის ზონები ვითარდებიან კერძო სექტორის მიერ. მასში მიმდინარე ოპერაციები, რომლებიც ხორციელდება კერძო მესაკუთრეების ან მესაკუთრე-დამფუძნებლების მიერ, რეგულირდებიან ქვეყნის მინისტრთა საბჭოს მიერ გამოცემული განკარგულებების საფუძველზე. ეგეოსის, ადანა-იუმურთალიქის და ტრაპიზონის თავისუფალ ზონებში ჩამოყალიბებულ და მოქმედ კერძო კომპანიების სააქციო კაპიტალში დიდია უცხოური კაპიტალის წილი. ამ ზონებში მოქმედ კომპანიებში ეს მაჩვენებელი შესაბამისად შეადგენს 96,4%, 25% და 94%-ს.

თურქეთის სტრატეგიული მდებარეობა აძლევს მას ბრწყინვალე შესაძლებლობას ურთიერთობები ჰქონდეს არა მარტო მის ტრადიციულ სავაჭრო პარტნიორებთან ახლო

აღმოსავლეთის და ევროპის რეგიონებიდან, არამედ აღმოსავლეთ ევროპის, დსთ-ს და ცენტრალური აზიის ახლად დაარსებულ რესპუბლიკებთან, ისევე როგორც თურქეთის შიდა 63 მილიონიან ბაზრის წარმომადგენლებთან. თურქეთის თავისუფალი ზონები მოიცავენ 370 ჰექტარის ტერიტორიას. ინვესტორები თავისუფალნი არიან მათი საკუთარი სახსრების განაწილებაში. ზონებში მისაღებ რენტის საფასურად შეიძლება სასამსახურო ოფისის დაქირავება.

თურქეთის თავისუფალ ზონებში ყველა სახის სამრეწველო (სტამბოლის ათათურქის სახელობის აეროპორტის და ტრაპიზონის თავისუფალი ზონების გარდა), კომერციული და სასერვისო მომსახურების საქმიანობა ხორციელდება, ისევე როგორც მანუფაქტურული, შენახვის, საერთო სავაჭრო, საბანკო და სადაზღვევო საქმიანობანი.

პროდუქციის ძირითადი სახეებია:

— ელექტრონული მოწყობილობანი და დამატებანი, ოპტიკა;

— მზა ტანსაცმელი, ტყავის ქურთუკები და ტექსტილი;

— მზა საკვები პროდუქტები;

— ქიმიური პროდუქცია;

— საავიაციო და მანქანათმშენებლობის მრეწველობის პროდუქციის დამატებითი და სათადარიგო ნაწილები;

თურქეთის თავისუფალ ზონებში მოქმედი პრივილეგიები:

1) თურქეთის თავისუფალი ზონები გადასახადისაგან თავისუფალი ზონებია. სარგებელი, რომელიც მიიღება ამ ზონებში, თავისუფლდება ყველა სახის გადასახადისგან, მათ შორის საშემოსავლო, კორპორაციულ და დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან.

2) თავისუფალ ზონებში მიღებული სარგებელი და მოგება შეიძლება გადაიქაჩოს ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის თურქეთშიც, ყოველგვარი გადასახადების, საბაჟოების გადახდის გარეშე და ის თავისუფლდება ყოველგვარი წინასწარი თანხმობის გარეშე.

3) მოზიდული უცხოური ინვესტიციების წილობრივ შეზღუდვებზე არავითარი ლიმიტი არ არსებობს.

4) მოქმედი ლიცენზირების მაქსიმუმი პერიოდი შეადგენს 99 წელს.

5) სხვა თავისუფალ ზონებისაგან განსხვავებით, საშინაო ვაჭრობა დაშვებულია თურქეთის ეკონომიკურ ზონებში.

6) ზონებში გამოყენებული ვალუტის კონვერტირება თურქეთის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილ კვოტებში მიმდინარეობს.

7) თითოეული ზონის ამოქმედების პერიოდიდან 10 წლის განმავლობაში იკრძალება ყოველგვარი გაფიცვა და გამოსვლა.

8) ზონებში მოღვაწე მეწარმეებისათვის ძალზე მისაწვდომია ხელსაყრელ პირობებში მიწის იჯარის ტარიფები და გრძელვადიანი პერიოდით ტერიტორიების დაგირავების შესაძლებლობანი.

9) თავისუფალ ზონებში თავმოყრილია კვალიფიცირებული და არაკვალიფიცირებული სამუშაო ძალა, შედარებით დაბალი ანაზღაურებით.

10) თურქეთის გეოგრაფიული მდებარეობა იძლევა უნიკალურ პირობებს თავისუფალი ზონების ფუნქციონირებისათვის.

11) თურქეთის თავისუფალი ზონები მდებარეობენ ხმელთაშუაზღვის, ეგეოსის და შავი ზღვის მთავარ პორტებთან ახლოს. დამატებით, ზონებში თავისუფლად შეიძლება მოხვედრა საერთაშორისო აეროპორტებიდან და საავტომობილო მაგისტრალებიდან.

12) ზონებში არ არსებობს არავითარი პროცედურალური შეზღუდვები, რომლებიც ეხება საქონლის ფასის, ხარისხის და სტანდარტიზაციის საკითხებს.

13) თურქეთის თავისუფალ ზონებში არ მოქმედებენ ის მუხლები (შემდეგი საკანონმდებლო აქტებიდან), როგორებიცაა: კანონები „მუნიციპალიტეტის", „უცხოური ინვესტიციების", „უცხოური ინვესტიციებისა და წახალისების, "საპასპორტო რეჟიმი" შესახებ და ა.შ., რომლებიც ეწინააღმდეგებიან თავისუფალ ზონებში მოქმედ პირობებს.

რამდენიმე თურქეთის თავისუფალი ზონის მოკლე მიმოხილვა:

ეგეოსის თავისუფალი ზონა. ამ ზონას გააჩნია საერთაშორისო დონის შესაბამისი საექსპორტო ინფრასტრუქტურა. რეგიონში პირველ და ქვეყანაში მესამე ყველაზე დიდი ქალაქია იზმირი, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს საკმაოდ დიდ ინდუსტრიულ, სავაჭრო და კულტურულ ცენტრს. სტამბოლის შემდეგ, თავისი ეკონომიკური განვითარებით ის მეორე ადგილზე მდებარეობს. ქალაქში იოლად მოხვდება ნებისმიერი პიროვნება სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტით. თავისუფალი ეკონომიკური ზონა მდებარეობს ქ. იზმირიდან 4 კმ-ში. ეგეოსის ეკონომიკური ზონა თურქეთში პირველ სავაჭრო ცენტრს წარმოადგენს, რომელიც ვითარდება და იმართება კერძო კომპანიების მიერ. ზონას უკავია 2,2 კვ.კმ, სადაც განთავსებულია თანამედროვე სამრეწველო მოწყობილობანი, საოფისე და სავაჭრო მიზნების საჭიროებისთვის გამოსაყენებელი შენობები. ეს ზონა დაარსდა და ფუნქციონირებს „ ESBAS-EGE " კომპანიის მიერ, რომელიც არის ზონის როგორც დამფუძნებელი, ისე ოპერატორი ფირმა, სადაც განთავსებულია უცხოური კაპიტალის 96,4%.

სტამბოლის ათათურქის სახელობის აეროპორტის თავისუფალი ზონა. ზონა მდებარეობს ათათურქის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის მახლობლად და უკავია სახელმწიფოებრივი ტერიტორიის 10 000 კვ.კმ. მის ორ სექტორში არის 87 საოფისე ადგილი. მას დღემდე არ ჰყავს ოპერატორი

ფირმა. ზონას განაგებს მისი დირექტორატი.

სტამბოლის ტყავის თავისუფალი ზონა. ამ ზონაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ტყავის მრეწველობის განვითარებაზე, თუმცალა სხვა სახის სასაქონლო ოპერაციები არ არის აკრძალული. მასში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები საოპერაციო ლიცენზიებისათვის მოქმედებს 1994 წლიდან. ზონა მოიცავს 88 000 კვ.კმ-ს, რომლის დამფუძნებელი და ოპერატორი ფირმაა „BESBAS"-ის კომპანია.

ტრაპიზონის თავისუფალი ზონა. ტრაპიზონი მდებარეობს ქვეყანის სამხრეთ - აღმოსავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე. მას გააჩნია ყველაზე თანამედროვე საზღვაო პორტი შავ ზღვაზე. მისი ზონა გახდა ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისთვის (მათ შორის საქართველოსთვის) მძლავრი სავაჭრო ცენტრი. ტრაპიზონის ზონა სთავაზობს დიდი მოცულობის და იოლად გამოყენებად შესანახ ადგილებს. ზონა მოიცავს საპორტო ტერიტორიის 44 400 კვ.კმ და უზრუნველყოფს 5 500 კვ.მეტრი ტვირთების შესანახ ფართობს. მას გააჩნია ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა-საავტომობილო მაგისტრალების, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის მიდგომის მხრივ. ზონის დამფუძნებელი ოპერატორია თურქულ-იაპონური ერთობლივი კომპანია „TRANSBAS", რომლის საწესდებო კაპიტალი 94% მოდის უცხოურ დაბანდებაზე.

9. შეიარაღებული ძალები

თურქეთის შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან. უმაღლესი მთავარსარდალია პრეზიდენტი. შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა დაახლოებით 760 ათ.კაცია.

სახმელეთო ჯარები (523 ათ. კაცი, მეთაური არმიის გენერალი ჰუსეინ ქივრიქოღლუ) შედგება ოთხი არმიისაგან, რომელთა შტაბებიც განლაგებულია სტამბოლში, მალათიაში, ერზინჯანში და იზმირში.

სამხედრო-საჰაერო ძალების (57 ათ. კაცი, მეთაური არმიის გენერალი ილჰან ქილიჩი) I და II ტაქტიკური საჰაერო ძალების ხელმძღვანელობა იმყოფება შესაბამისად ესქიშეჰირსა და კაისერში.

სამხედრო-საზღვაო ძალებში (55 ათ. კაცი, მეთაური ფლოტის ადმირალი სალიმ დერვიშოღლუ) შედის ჩრდილოეთის (შტაბი სტამბოლში) და სამხრეთის (შტაბი იზმირში) საზღვაო სივრცეების სამმართველოები.

მშვიდობიანობის პერიოდში ჯარების დაჯგუფება შეესაბამება ნატოსა და თურქეთის გეგმის მოთხოვნებს ამ რეგიონში შესაძლო სამხედრო მოქმედებების შემთხვევაში.

თურქეთს ჰყავს ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯარი ნატოში. სახმელეთო ჯარების მშენებლობა ხორციელდება მათი რეორგანიზაციის და მოდერნიზაციის გეგმის მიხედვით მომავალი 10 წლის განმავლობაში. რეორგანიზაციისა და მოდერნიზაციის ძირითადი მიზანია მობილურობის გაზრდა.

მიმდინარეობს სახმელეთო ჯარების დივიზიურ-პოლკური სტრუქტურიდან ბრიგადულ-ბატალიონურ ორგანიზაციულ-საშტატო სტრუქტურაზე გადაყვანის პროგრამის რეალიზაცია. ყველა საველე საჯარისო ფორმირებაში რეორგანიზაცია მიდის დივიზიათა დაშლისა და მათ ბაზაზე ქვეთი, მექანიზირებული და ჯავშანსატანკო ბრიგადების შექმნის გზით. მომავალში შეიარაღებაში საკმარისი რაოდენობის ტანკებისა და არტილერიის მიღების შემთხვევაში, ყველა ქვეითი ბრიგადა რეორგანიზებულ იქნება მექანიზებულ ბრიგადად. თურქეთის სარდლობის აზრით, ახალი სტრუქტურა აიოლებს მართვას, საომარი მოქმედებების დროს გაზრდის ჯარების გამოყენების მანევრირებასა და ეფექტურობას მთიან და ძნელადგამავალ რაიონებში.

შეიარაღებულ ძალებში შედის ჟანდარმერიაც (125 ათ. კაცი, მეთაური არმიის გენერალი ფიქრეთ ოზდენ ბოზთეფე).

გენშტაბს ხელმძღვანელობს არმიის გენერალი ისმაილ ჰაქი ქარადაი.

10. მას-მედია

რადიოგადაცემებია. 1927 წლიდან, ტელეგადაცემები - 1968 წლიდან (ფერადი ტელემაუწყებლობაა 1984 წლიდან) 1993 წლიდან დიდმა ეროვნულმა კრებამ გააუქმა სახელწიფო მონოპოლია რადიოსა და ტელევიზიაზე. მას შემდეგ დაფუძნდა მრავალი კერძო რადიო ტელესადგური.

სახელწიფო რადიო და ტელემაუწყებლობას ახორციელებს „თურქეთის ტელე-რადიო კორპორაცია" (TRT).

11. განათლება

კანონი საყოველთაო სავალდებულო უფასო დაწყებითი განათლების შესახებ თურქეთში არსებობს 1924 წლიდან. სავალდებულო დაწყებითი განათლება 1997 წლიდან 8 წლიანია. 1992 წელს დაწყებით სკოლაში სწავლობდა 6,9 მოსწავლე, საშუალო სკოლაში -2,4 მლნ., სრულში (ლიცეუმები, კოლეჯები) - 893,6 ათასი.

პროფტექნიკურ განათლებას იღებენ პროფესიულ ღა ტექნიკურ ლიცეუმებში. 1992 წლეს აქ სწავლობდა 687,1 ათასი მოსწავლე.

ქვეყანაში მოქმედებს ვაჭრობის და ტურიზმის, რელიგიური, აგრეთვე კერძო სექტორების სკოლები და ლიცეუმები.

თურქეთში 1992 წლისთვის იყო 54 უნივერსიტეტი. მათში სტუდენტთა საერთო რაოდენობა 682 ათასია.

ფირმა. ზონას განაგებს მისი დირექტორატი.

სტამბოლის ტყავის თავისუფალი ზონა. ამ ზონაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ტყავის მრეწველობის განვითარებაზე, თუმცალა სხვა სახის სასაქონლო ოპერაციები არ არის აკრძალული. მასში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები საოპერაციო ლიცენზიებისათვის მოქმედებს 1994 წლიდან. ზონა მოიცავს 88 000 კვ.კმ-ს, რომლის დამფუძნებელი და ოპერატორი ფირმაა „BESBAS"-ის კომპანია.

ტრაპიზონის თავისუფალი ზონა. ტრაპიზონი მდებარეობს ქვეყანის სამხრეთ - აღმოსავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე. მას გააჩნია ყველაზე თანამედროვე საზღვაო პორტი შავ ზღვაზე. მისი ზონა გახდა ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისთვის (მათ შორის საქართველოსთვის) მძლავრი სავაჭრო ცენტრი. ტრაპიზონის ზონა სთავაზობს დიდი მოცულობის და იოლად გამოყენებად შესანახ ადგილებს. ზონა მოიცავს საპორტო ტერიტორიის 44 400 კვ.კმ და უზრუნველყოფს 5 500 კვ.მეტრი ტვირთების შესანახ ფართობს. მას გააჩნია ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა-საავტომობილო მაგისტრალების, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის მიდგომის მხრივ. ზონის დამფუძნებელი ოპერატორია თურქულ-იაპონური ერთობლივი კომპანია „TRANSBAS", რომლის საწესდებო კაპიტალი 94% მოდის უცხოურ დაბანდებაზე.

9. შეიარაღებული ძალები

თურქეთის შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან. უმაღლესი მთავარსარდალია პრეზიდენტი. შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა დაახლოებით 760 ათ.კაცია.

სახმელეთო ჯარები (523 ათ. კაცი, მეთაური არმიის გენერალი ჰუსეინ ქივრიქოღლუ) შედგება ოთხი არმიისაგან, რომელთა შტაბებიც განლაგებულია სტამბოლში, მალათიაში, ერზინჯანში და იზმირში.

სამხედრო-საჰაერო ძალების (57 ათ. კაცი, მეთაური არმიის გენერალი ილჰან ქილიჩი) I და II ტაქტიკური საჰაერო ძალების ხელმძღვანელობა იმყოფება შესაბამისად ესქიშეჰირსა და კაისერში.

სამხედრო-საზღვაო ძალებში (55 ათ. კაცი, მეთაური ფლოტის ადმირალი სალიმ დერვიშოღლუ) შედის ჩრდილოეთის (შტაბი სტამბოლში) და სამხრეთის (შტაბი იზმირში) საზღვაო სივრცეების სამმართველოები.

მშვიდობიანობის პერიოდში ჯარების დაჯგუფება შეესაბამება ნატოსა და თურქეთის გეგმის მოთხოვნებს ამ რეგიონში შესაძლო სამხედრო მოქმედებების შემთხვევაში.

თურქეთს ჰყავს ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯარი ნატოში. სახმელეთო ჯარების მშენებლობა ხორციელდება მათი რეორგანიზაციის და მოდერნიზაციის გეგმის მიხედვით მომავალი 10 წლის განმავლობაში. რეორგანიზაციისა და მოდერნიზაციის ძირითადი მიზანია მობილურობის გაზრდა.

მიმდინარეობს სახმელეთო ჯარების დივიზიურ-პოლკური სტრუქტურიდან ბრიგადულ-ბატალიონურ ორგანიზაციულ-საშტატო სტრუქტურაზე გადაყვანის პროგრამის რეალიზაცია. ყველა საველე საჯარისო ფორმირებაში რეორგანიზაცია მიდის დივიზიათა დაშლისა და მათ ბაზაზე ქვეთი, მექანიზირებული და ჯავშანსატანკო ბრიგადების შექმნის გზით. მომავალში შეიარაღებაში საკმარისი რაოდენობის ტანკებისა და არტილერიის მიღების შემთხვევაში, ყველა ქვეითი ბრიგადა რეორგანიზებულ იქნება მექანიზებულ ბრიგადად. თურქეთის სარდლობის აზრით, ახალი სტრუქტურა აიოლებს მართვას, საომარი მოქმედებების დროს გაზრდის ჯარების გამოყენების მანევრირებასა და ეფექტურობას მთიან და ძნელადგამავალ რაიონებში.

შეიარაღებულ ძალებში შედის უანდარმერიაც (125 ათ. კაცი, მეთაური არმიის გენერალი ფიქრეთ ოზდენ ბოზთეფე).

გენშტაბს ხელმძღვანელობს არმიის გენერალი ისმაილ ჰაქი ქარადაი.

10. მას-მედია

რადიოგადაცემებია. 1927 წლიდან, ტელეგადაცემები - 1968 წლიდან (ფერადი ტელემაუწყებლობაა 1984 წლიდან) 1993 წლიდან დიდმა ეროვნულმა კრებამ გააუქმა სახელწიფო მონოპოლია რადიოსა და ტელევიზიაზე. მას შემდეგ დაფუძნდა მრავალი კერძო რადიო ტელესადგური.

სახელწიფო რადიო და ტელემაუწყებლობას ახორციელებს „თურქეთის ტელე-რადიო კორპორაცია" (TRT).

11. განათლება

კანონი საყოველთაო სავალდებულო უფასო დაწყებითი განათლების შესახებ თურქეთში არსებობს 1924 წლიდან. სავალდებულო დაწყებითი განათლება 1997 წლიდან 8 წლიანია. 1992 წელს დაწყებით სკოლაში სწავლობდა 6,9 მოსწავლე, საშუალო სკოლაში -2,4 მლნ., სრულში (ლიცეუმები, კოლეჯები) - 893,6 ათასი.

პროფტექნიკურ განათლებას იღებენ პროფესიულ და ტექნიკურ ლიცეუმებში. 1992 წლეს აქ სწავლობდა 687,1 ათასი მოსწავლე.

ქვეყანაში მოქმედებს ვაჭრობის და ტურიზმის, რელიგიური, აგრეთვე კერძო სექტორების სკოლები და ლიცეუმები.

თურქეთში 1992 წლისთვის იყო 54 უნივერსიტეტი. მათში სტუდენტთა საერთო რაოდენობა 682 ათასია.

12. თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე

ამ საუკუნის დასაწყისში თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებულ მუსტაფა ქემალ ათათურქს უთქვამს: „თურქეთს სჭირდება ძლიერი მეზობელი აღმოსავლეთში და ასეთ მეზობლად შეიძლება საქართველო იქცეს“. ეს იდეა მაშინ ვერ განხორციელდა.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და ჩვენი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თურქეთი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობები.

თურქულ-ქართული ურთიერთობების თანამედროვე ეტაპის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ 1991 წლის 16 დეკემბერი, როდესაც ანკარამ ცნო თბილისის დამოუკიდებლობა. დიპლომატიური ურთიერთობები კი დამყარა 1992 წლის 21 მაისს თურქეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ჰიქმეთ ჩეთინის თბილისში ვიზიტისას.

1992 წლის 30 ივლისს საქართველოში თურქეთის მაშინდელი პრიემერ-მინისტრ სულეიმან დემირელის ყოფნის დროს ხელი მოეწერა ძირითათად ხელშეკრულებას მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის შესახებ. ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მოახდინა იმავე წლის 28 სექტემბერს, ხოლო საქართველოს პარლამენტმა უფრო მოგვიანებით, 1993 წლის 25 მარტს.

საქართველომ და თურქეთმა თავიდანვე სწრაფად გამონახეს საერთო ენა. შედგა რამდენიმე უმაღლესი დონის შეხვედრა თბილისსა და ანკარაში. ურთიერთობების 6 წლის მანძილზე ფართო კავშირები დამყარდა და განვითარდა ყველა სფეროში, ამას ადასტურებს მრავალრიცხოვანი შეთანხმებების არსებობა. საქართველო აქტიურად მონაწილეობს თურქეთის ინიციატივით შექმნილ შავი ზღვის ქვეყნების ეკონომოკური თანამშრომლობის ორგანიზაციისა და ამავე ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში (შესაბამისად 1992 წლის 25 ივნისიდან და 1993წლის 4 თებერვლიდან - დაფუძნების დღეეებიდანვე).

თურქეთი თავის საგარეო პოლიტიკაში საქართველოსთან მიმართებაში აღიარებს მის ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ურღვევობას, გმობს სეპარატიზმს და საშინაო საქმეებში ჩარევას, სავაჭრო კავშირების სფეროში შექმნილია უპირატესი ხელშეკრულების რეჟიმი, მხარეები ყოველწლიურად აღრმავებენ ურთიერთობას მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში, დამყარებულია კავშირები როგორც ცალკეულ უწყებებს, ასევე ცალკეულ ადმინისტრციულ ერთეულებს შორისაც (იმერეთის მხარე და სამსუნის ილი, სამცხე-ჯავახეთი და არტაანის ილი და ა.შ.).

დიდია სარფის სასაზღვრო ჭიშკრის როლი ქვეყანათაშორის ურთიერთობებში. 1988-94 წლებში სარფის კარით 4. 911. 683 მგზავრმა და 615. 541-მა სატრანსპორტო საშუალებამ ისარგებლა.

სარფის მნიშვნელობის ზრდაზე ნათლად მეტყველებს მონაცემები, რომელიც წლების განმავლობაში სარფის კარით მოსარგებლე მგზავრთა რაოდენობას გვიჩვენებს:

წელი	შესვლა-გასვლა
1988	808
1989	21.524
1990	285.594
1991	1.026.718
1992	1.400.120
1993	973.448
1994	650.000

1993 წელს გარკვეულ მიზეზთა გამო მგზავრთა რაოდენობა შემცირდა. 1994-ში კი წინა წელთან შედარებით თითქმის განახევრდა. ამის უპირველეს მიზეზად შეიძლება ვიზის ღირებულების გაზრდა მივიჩნიოთ, რომელიც 1994 წელს 30 დოლარამდე ავიდა. სხვა მიზეზებისაგან აღსანიშნავია ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების ნორმალიზება, რომელსაც ადრე სტიქიური სახე ჰქონდა და სასაზღვრო და პირად მგზავრთა მიერ განხორციელებული ვაჭრობით განისაზღვრებოდა.

ასეთივე შედეგებს ვხედავთ იმ მონაცემებშიც, რომელიც სარფის კარიდან გატარებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობას გვიჩვენებს:

წელი	ავტომობილი-ავტობუსი	სატვირთო ტრაილერი
1988	36	48
1989	2.844	426
1990	38.463	5.834
1991	102.832	13.146
1992	140.336	21.140
1993	152.724	15.277
1994	103.920	18.515

ისევე როგორც მგზავრთა, სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობაც საკმაოდ პატარა ციფრით დაიწყო და გაიზარდა. ავტომობილებისა და ავტობუსებისათვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 1993 წელს იყო. ხოლო სატვირთო ავტომობილების რიცხვი, რომელმაც 1992 - ში 21 ათასს გადააჭარბა, 1993-ში დაეცა. 1994 - ში კიდევ აღმასავლა დაიწყო. ამის მიზეზი მხოლოდ საქართველო არაა, ეს დაკავშირებულია კავკასიის და შუა აზიის ქვეყნებთან თურქეთის კავშირების განვითარებით.

სარფის სასაზღვრო კარი დიდ როლს თამაშობს აგრეთვე ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობებშიც:

ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობები სამი სხვადასხვა მეთოდით ხორციელდება:

წელი	საქონელბრუნვის მოცულობა
1988	-
1989	140.000
1990	730.084
1991	1.868.311
1992	7.325.121
1993	11.976.230
1994	55.035.816

ა) ვაჭრობა ექსპორტ-იმორტის რეჟიმის ჩარჩოებში.

ამ მეთოდის ჩარჩოებში სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება ბანკებში აკრედიტივის გახსნის საშუალებით.

ბ) სასაზღვრო ვაჭრობა.

საზღვრის მეზობელ 20 კმ-ის რადიუსში მდებარე საქონლის ერთჯერადი ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 10.000 ამერიკულ დოლარს. ამ შემთხვევაში ყოველგვარი ფორმალური პროცედურების ჩატარების გარეშე განხორციელებული სავაჭრო ოპერაცია ექსპორტ-იმპორტს მიეკუთვნება. იგივე მეთოდი მოქმედებს შავი ზღვის პორტებშიც.

გ) ბარგი, რომელიც გადააქვთ მგზავრებს.

მგზავრებს თავისუფლად შეუძლიათ გადაიტანონ და გადმოიტანონ ბარგი, რომელიც თან აქვთ.

ზემოთ მოცემული ციფრები მოიცავს მხოლოდ ა) და ბ) მეთოდების ფარგლებში განხორციელებულ ოპირაციებს. რაც შეეხება გ) პუნქტს, მასთან დაკავშირებით რაიმე სტატისტიკური კვლევა არ ჩატარებულა, მაგრამ საგულისხმოა, რომ ამ მეთოდით განხორციელებულმა ვაჭრობამ შეიძლება საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი მოგვცეს (თურქეთ-საქართველოს 1994 წლის საქონელბრუნვის მოცულობა თვეების მიხედვით იხილეთ ცხრილი №10).

ა) თურქეთ-საქართველოს საგარეო ვაჭრობა.

თურქეთიდან საქართველოში ძირითადად ექსპორტირებულ იქნა შემდეგი საქონელი: ხორბალი, ფქვილი, საკვები პროდუქტები, ელექტროსაქონელი, ავეჯი, პურის საცხობები და შაქარი.

საქართველოდან კი თურქეთში გაიტანეს ლითონები, ბამბა, მინა, ქაღალდი, ტყავი, ქსოვილები და სხვ (უფრო დაწვრილებით იხილეთ ცხრილი №11).

თუ არ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 1994 წლის ივნისის თვის მაჩვენებლის მიხედვით თურქეთიდან ექპორტირებულ საქონელში დიდი ხვედრითი წილი პურის საცხობებზე მოდის, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სავაჭრო ურთიერთობები გაწონასწორებულია.

ბოლო დროს ქართველი მეწარმეები აქტიურად მონაწილეობენ თურქეთის თავისუფალი ეკონომიკური ზონების ცხოვრებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ტრაპიზონის ზონა.

ორმხრივი ურთიერთობის სამართლებრივი ბაზის არსებობამ დიდი ბიძგი მისცა ფართო სავაჭრო კავშირების განვითარებას. თურქეთი 1992 წლის ბოლოდან და განსაკუთრებით 1993 წლიდან საქართველოს საგარეო ვაჭრობაში მისი ერთ-ერთი უდიდესი პარტნიორია და მუდამ ფიგურირებს პირველ სამეულში (რუსეთთან, თურქმენეთთან და ზოგჯერ აზერბაიჯანთან ერთად), ხშირად ლიდერობს კიდეც (1994 წელს მესამე ადგილი $ 55 მლნ 035 ათასი, მოცულობით - 11% საერთო ჯამიდან, 1995 წელს - პირველი ადგილი $ 115 მლნ 049 ათასი, მოცულობით 22% საერთო ჯამიდან, 1996 წლის იანვარ-ოქტომბრის მონაცემებით-მეორე ადგილი $ 75 მლნ 542 ათასი, მოცულობით - 12 საერთო ჯამიდან).

დღეს თურქეთის ექპორტის სტრუქტურაში ძირითადად დომინირებს მსუბუქი და კვების მრეწველობის (მზა ტანსაცმელი, სურსათი) საქონელი, აგრეთვე საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქცია და ელექტროსაქონელი.

ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას ხელი შეუწყო 1992 წლის 30 ივლისს ხელმოწერილი ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და ორმხრივი დაცვის შესახებ ხელშეკრულებამ, აგრეთვე იმავე წლის 8-10 დეკემბერს ანკარაში ჩატარებულმა მოლაპარაკებამ, რომლის თანახმად განისაზღვრა თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები, კერძოდ: სოფლის მეურნეობის პროდუქტების, მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების გადამუშავება, ბაგირგზების მშენებლობა და ექსპლუატაცია, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ქსელის განვითარება, გარემოსა და ზღვისპირა ზოლის დაცვა, ენერგეტიკული და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება, ერთობლივი ტურისტული ბიზნესი. ცალკეული შეთანხმებების საფუძველზე ამჟამად გახსნილია და მოქმედებს საჰაერო და საავტომობილო მიმოსვლის ხაზები ორ ქვეყანას შორის (თურქეთი ძლიერაა დაინტერესებული აგრეთვე საქართველოზე გამავალი ევრაზიის სატრანსპორტო მაგისტრალის გამოყენებით), განზრახულია ქ. სამსუნში მეტროპოლიტენის მშენებლობაში ქართველი სპეციალისტების მონაწილეობა, ქ. ართვინში ბაგირგზის ერთობლივი მშენებლობა და ა.შ.

ბოლო სამი წლის მანძილზე თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებში მომხდარი მოვლენებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ანკარის ძალისხმევა აზერბაიჯანული ნავთობის ექსპორტის ერთ-ერთი ძირითადი მარშრუტის საქართველოს ტერიტორიაზე გატარების მიზნით, რაც თავის მხრივ ორივე ქვეყნისათვის მომგებიანი უნდა იყოს.

ქვეყანათშორისი ურთიერთობების განვითარებას ახალი იმპულსი შესძინა 1995 წლის 31 ივლისს ვალე-თურქგოზუს საკონტროლო-

გამშვები პუნქტის გახსნამ. მალე ტბა არწახთან (აქთაში) გაიხსნება მესამე სასაზღვრო ჭიშკარი, საუბარია ხოფა-ბათუმის დამაკავშირებელი რკინიგზის მშენებლობაზე. გამოცხადებულია ტენდერი ყარსი-ახალქალაქის 120 კმ-იანი სარკინიგზო ხაზის დაფინანსებასა და მშენებლობაზე, რომელიც 3 წელიწადში უნდა ამოქმედდეს.

ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მოცულობამ 1997 წლის პირველი ნაწილის მონაცემებით შეადგენა 81 მლნ ამერიკული დოლარი.

90-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა საქართველო-თურქეთის საქმიანი ურთიერთობების ასოციაცია. 1997 წლის 27 აგვისტოს კი შეიქმნა საქართველო-თურქეთის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობის საზოგადოება (თავმჯდომარე ლია ჩლაიძე. მისამართი: 380062, თბილისი, გ.წერეთელი 3 (ვაკის პარკთან), ოთახი 507. ტელ: (995-32) 23-35-72; 39-70-79 (საღამოს), ფაქსი (995-32)23-30-08), რომელიც გააღრმავებს ჩვენს ხალხებს შორის არსებულ კავშირებს კულტურისა და მეცნიერების ყველა სფეროში.

ამრიგად, ფაქტები მეტყველებენ, რომ საქართველო და თურქეთი ერთმანეთის მიმართ აშკარად გამოხატული კეთილმეზობლური და მეგობრული ქვეყნებია და ასეთი ურთიერთობები მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება.

ცხრილი №1
1991 წლის 20 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები

პარტიის დასახელება	მიღებული ხმების საერთო რაოდენობა	პროცენტი	პარლამენტში გაყვანილი დეპუტატების რაოდენობა
დედასამშობლოს პარტია (ANAP)	5862623	24.01	115
კეთილდღეობის პარტია (RP)	4121355	16.88	62
სოციალისტური პარტია (SP)	108369	0.44	-
ჭეშმარიტი გზის პარტია (DYP)	6600726	27.03	178
მემარცხენე დემოკრატიული პარტია (DSP)	2624301	10.75	7
სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტია (SHP)	5066571	20.75	88

ცხრილი №2
1995 წლის 24 დეკემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები

პარტიის დასახელება	მიღებული ხმების საერთო რაოდენობა	პროცენტი	პარლამენტში გაყვანილი დეპუტატების რაოდენობა
ჭეშმარიტი გზის პარტია (DYP)	5396009	19.18	135
თავიდან დაბადების პარტია (YDP)	95484	0.34	-
დედასამშობლოს პარტია (ANAP)	5527288	19.65	132
ეროვნული პარტია (MP)	127630	0.45	-
მუშათა პარტია (IP)	61428	0.22	-
სახალხო-დემოკრატიული პარტია (HADEP)	1171623	4.17	-
მემარცხენე-დემოკრატიული პარტია (DSP)	4118025	14.64	76
ახალი დემოკრატიული მოძრაობა (YDH)	133889	0.48	-
კეთილდღეობის პარტია (RP)	6012450	21.38	158
სახალხო-რესპუბლიკური პარტია (CHP)	3011076	10.71	49
ნაციონალისტური მოქმედების პარტია (MHP)	2301343	8.18	-
ახალი პარტია (YP)	133895	0.48	-

ცხრილი №3
სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოება (1000 ტონა)

პროდუქციის სახეობა	1993	1994	1995
ხორბალი	21000	17500	18000
ჭვავი	235	195	240
ქერი	7500	7000	7500
შვრია	245	230	250
სიმინდი	2500	1850	1900
ფეტვი	4	4	4
ბრინჯი	225	200	250
კარტოფილი	4650	4350	4750
ხახვი	1650	1800	2850
ნიორი	65	65	78
პომიდორი	6150	6350	7150
კომბოსტო	697	699	676
ნესვი და საზამთრო	4900	5400	5400
ვაშლი	2080	2095	2050
ყურძენი	3700	3450	3550
მსხალი	420	410	405
თხილი	305	490	440
ლელვი	45	46	50
კაკალი	115	120	105
ნუში	48	47	35
წაბლი	80	76	76
ფორთოხალი	840	920	900
ლიმონი	440	470	420
მანდარინი	405	430	430
ატამი	370	375	340
ქლიავი	200	204	180
ჭერამი	230	400	240
ალუბალი	245	250	260
თამბაქო	324	227	187
ბამბა	602	628	837
შაქრის ჭარხალი	15563	12944	11680
მზესუმზირის მარცვალი	815	740	900
ზეთის ხილი	550	1400	630
ზეთისხილის ზეთი	50	168	52
ჩაი	579	654	524

ცხრილი №4
შინაური საქონელი (1000 თავი)

	1993	1994	1995
რქიანი საქონელი	11951	11910	11901
კამეჩი	352	316	305
აქლემი	2	2	2
ღორი	12	9	8
ცხვარი	39416	37541	35646
თხა	10454	10133	9564
ცხენი	483	450	437
ჯორი	181	172	169
სახედარი	895	841	809

ცხრილი №5
მრეწველობის პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოება (1000 ტონა)

პროდუქციის დასახელება	1993	1994	1995
ქაღალდი	370	446	512
ბამბის ქსოვილები	44	35	32
რაქი (ათ. ლიტრი)	67330	64066	66549
ლუდი (ათ. ლიტრი)	552406	601909	672965
სიგარეტი	75	85	81
ცემენტი	31311	29483	33153
შაქარი	1743	1727	1290
ელექტროენერგია (მლნ.კვ.სთ)	33963	30575	35541
ქვანახშირი	2722	2917	2248
სპილენძი	33	30	24
რკინის მადანი	არ არის ინფორმაცია	6679	არ არის ინფორმაცია
ნავთობპროდუქტები	3892	3686	3514

ცხრილი №6
ძირითადი სავაჭრო პარტნიორები (1000000 ა.შ.შ. დოლარი, გარდა სამხედრო აღჭურვილობისა)

ქვეყანა	1993	1994	1995
ავსტრია	319	211	294
ბელგია-ლუქსემბურგი	683	532	912
ჩინეთი	255	258	არ არის მონაცემები
საფრანგეთი	1952	1458	1996
გერმანია	4533	3646	5548
ირანი	667	692	689
იტალია	2558	2009	3193
იაპონია	1621	968	1400
სამხ. კორეა	621	289	566
ლიბია	131	320	385
ნიდერლანდები	870	740	1084
რუმინეთი	301	229	368
რუსეთი	1542	1045	2082
საუდის არაბეთი	1500	1229	1385
ესპანეთი	431	380	591
შვედეთი	428	283	518
შვეიცარია	651	473	816
უკრაინა	473	535	856
გაერთ. არაბული საემიროები	314	339	არ არის მონაცემები
დიდი ბრიტანეთი	1546	1170	1830
ა.შ.შ.	3351	2430	3724
სულ:	29428	23270	35709

ცხრილი №7

ქვეყანა	1993	1994	1995
ალჟირი	82	238	არ არის მონაცემები
ავსტრია	227	249	275
ბელგია-ლუქსემბურგი	294	371	452
ჩინეთი	512	355	არ არის მონაცემები
ეგვიპტე	191	195	246
საფრანგეთი	771	851	1033
გერმანია	3654	3934	5036
ჰონ კონგი	118	236	არ არის მონაცემები
ირანი	290	250	268
ერაყი	160	141	123
იტალია	750	1034	1457
იაპონია	158	-187	180
ლიბია	246	179	238
ნიდერლანდები	517	621	737
პოლონეთი	235	249	273
რუსეთი	505	820	1238
საუდის არაბეთი	652	609	470
სინგაპური	121	185	არ არის მონაცემები
ესპანეთი	195	232	354
შვეიცარია	216	239	238
სირია	239	254	272
გაერთ. არაბული საემიროები	129	185	არ არის მონაცემები
დიდი ბრიტანეთი	835	889	1136
ა.შ.შ.	986	1520	1514
სულ:	15344	18106	21636

ცხრილი № 8

საგარეო ვაჭრობა თურქეთსა და დ.ს.თ.-ს წევრ ქვეყნებს შორის 1995 წელს (ა.შ.შ. დოლარებში)

ქვეყანა	იმპორტი	ექსპორტი
რუსეთი	2.082.352.315	1.238.225.589
ბელარუსი	16.619.930	2.673.668
უკრაინა	856.340.119	198.534.238
მოლდოვა	15.615.913	7.269.877
აზერბიჯანი	21.777.088	161.341.553
საქართველო	50.156.796	68.125.852
ყაზახეთი	86.631.493	150.774.837
ყირგიზეთი	5.512.751	38.156.446
უზბეკეთი	61.528.699	138.541.654
თურქმენეთი	111.825.799	56.290.479
ტაჯიკეთი	6.342.337	6.085.684

ცხრილი № 9

თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში წლიური ვაჭრობის მოცულობა (ა.შ.შ. დოლარებში)

ზონები	1988	1989	1990	1991	1992	1993	1994
ანტალია	1.320.972	34.683.069	7.910.060	14.781.448	30.428.003	62.750.205	63.991.089
მერსინი	152.447.119	117.782.340	272.532.928	420.353.872	414.641.453	543.148.106	791.567.455
სტამბოლი	-	-	1.583.722	27.947.682	121.788.623	173.741.886	324.506.643
ეგეოსი	-	-	82.200	28.124.162	55.831.538	227.653.424	370.930.190
ტრაპიზონი	-	-	-	-	4.878.396	13.616.072	35.224.197
სტამბოლის ტყავის ზონა	-	-	-	-	-	-	-
ჯამი	153.768.091	152.465.409	282.108.910	491.207.164	627.568.013	1.020.909.693	1.586.219.574

ცხრილი № 10
თურქეთ-საქართველოს შორის 1994 წლის საქონელბრუნვის მოცულობა თვეების მიხედვით (ა.შ.შ. დოლარებში)

თვე	საქართველოს ექსორტი თურქეთში	თურქეთის ექსპორტი საქართველოში	ჯამი
იანვარი	645.268	310.877	956.145
თებერვალი	752.086	152.926	905.012
მარტი	776.086	506.693	1.283.372
აპრილი	1.024.795	656.179	1.680.974
მაისი	1.260.399	877.530	2.137.929
ივნისი	996.864	25.728.990	26.725.854
ივლისი	980.147	1.087.897	2.068.044
აგვისტო	1.753.392	1.746.085	3.499.477
სექტემბერი	1.871.578	2.240.177	4.291.755
ოქტომბერი	1.801.866	1.423.596	3.723.791
ნოემბერი	2.300.195	-	2.300.195
დეკემბერი	3.136.131	1.597.883	4.734.014
ჯამში	17.299.400	37.736.416	55.035.816

ცხრილი № 11
თურქეთ-საქართველოს საგარეო ვაჭრობა (იანვარი-ივნისი 1997 წელი)

ექსპორტი	ღირებულება (ათ. დოლარი)	იმპორტი	ღირებულება (ათ. დოლარი)
კვების მრეწველობის საქონელი	36.925	ქიმიური მრეწველობის პროდუქცია	4.273
ქიმიური მრეწველობის პროდუქცია	5.967	სხვა სამრეწველო საქონელი	3.990
ელექტრო საქონელი	3.132	მძიმე მრეწველობის პროდუქცია	2.229
სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის საქონელი	3.063	სატრანსპორტო საშულებების ნაწილები	2.075
სხვა სამრეწველო საქონელი	2.440	მზესუმზირა	1.115
სამშენებლო მასალა	2.437	მეტალის მრეწველობის ნაწარმი რკინის გარდა	844
მანქანა-მოწყობილობები	2.382	დამუშავებული ხე-ტყე	697
ბოსტნეული	1.883	მანქანა-მოწყობილობები	542
მძიმე მეწველობის პროდუქცია	1.803	ქსოვილები	137
რეზინისა და პლასტმასის ნაწარმი	1.644	დასამუშავებელი ტყავი	137
დანარჩენი	3.075	დანარჩენი	333
ჯამი	64.751	ჯამი	16.376

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. „ქართული საბჭოთა ენციკლობედია“ ტომი 5 თბილისი 1980
2. „თურქეთის საგარეო პოლიტიკა" „პოლიტიკა“ №7 1993
3. „ევრაზიის ცნობები“ 18.05. 1995
4. ზურაბ ბატიაშვილი. „გთავაზობთ წინადადებას“ „ხიდი“ 20.05. 1995
5. ზურაბ ბატიაშვილი. „ორი კონტინენტის ბინადარის საგარეო აქტიურობა ეკონომიკური სტაბილურობის ფონზე“ „გულანი“№7 1995
6. „საქართველო-თურქეთის საზღვარზე გაიხსნა მეორე საკონტროლო-გამშვები პუნქტი“ „ხიდი“ 18.08.1995
7. ზურაბ ბატიაშვილი. „მეზობელო კარისაო-თურქეთი საქართველოს ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორი გახდა“ „გულანი“ №9 1995
8. ზურაბ ბატიაშვილი. „სამეზობლო-თურქეთი“ „გულანი №12 1995
9. ვახტანგ მაისაიას საინფორმაციო-ანალიტიკური მოხსენება თურქეთის პრობლემატიკის შეასახებ. 06.05. 1997
10. სიმონ კილაძე. „თურქეთი.საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი“, თბილისი 1997
11. საინფორმაციო ბარათი თურქეთის რესპუბლიკის თავისუფალი ეკონომიკური ზონების მიმოხილვის შესახებ.
12. რადიო „თავისუფლება“ (ქართული რედაქცია) 23. 02. 1998
13. „ახალი თაობა“ 17.06.1998
14. ალექსანდრე თარხნიშვილი. „ისლამური ფუნდამენტალიზმი თურქეთს უტევს“, კვიპროსზე დაძაბულობა მატულობს“, „დილის გაზეთი“ 23.06.1998
15. Grolier International Americana Encyclopedia. İstanbul-1993. cilt 3.
16. Grolier International Americana Encyclopedia. İstanbul-1993. cilt 4.
17. Grolier International Americana Encyclopedia. İstanbul-1993. cilt12.
18. `Türkiye" Başbakanlık Basın-Yayın ve Enformasyon Genel Müdürlüğü. Ankara 1993
19. Hikmet ÖZDEMIR `Türkiye Cumhuriyeti'nde Rejim ve Asker İlişkisi Üzerine Bir İnceleme" İstanbul. 1993
20. `Nokta" 30.01-05.02 1994
21. `Nokta" 13.02-19.02 1994
22. `Nokta" 27.02-05.03 1994
23. Ahmet AKGÜL `Dünyanın Değişimi ve ERBAKAN Dervimi" İstanbul 1995
24. Hüseyin AYKOL `Türkiye'de Sağ ve İslamci Örgütler". İstanbul 1996
25. Hüseyin AYKOL `Türkiye'de Sol Örgütler". İstanbul 1996
26. `Sabah" 01.07.1997
27. `Milliyet" 01.07.1997
28. `Yeni Yüzyıl" 08.07.1997
29. `Yeni Yüzyıl" 05.08.1997
30. DEİK `Gürcistan Ekonomisi ve Türkiye ile İlişkiler" Mart 1998
31. Г. Старченков. "Агония Лаицизма?". "Азия и Африка Сегодня" 6/96
32. "За рубежом" №13. 03.04-09.04 1998
33. `The Military Balance 1988-1989" London
34. `Eurasian File" N 55. April 1996
35. `Turkish Daily News" 07.01.1996
36. `Turkish Daily News" 12.06.1996
37. "The Europa World Year Book 1994". Volume II London 1994
38. "The International Who's Who 1997-98". London 1997

გარემოსდაცვითი ნებართვები და გარემოზე ზემოქმედების შეფასება

ეკა ხმალაძე, ეკა ბადრიძე

ერთ წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ“ და „საქართველოს კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“. ამ კანონების ამოქმედებამ პრინციპულად შეცვალა ქვეყანაში დაგეგმილ საქმიანობის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა. წლების განმავლობაში, ამგვარი გადაწყვეტილებების მიღება ერთპიროვნულად ხდებოდა თანამდებობის პირთა მიერ და ბუნებრივია, ხშირი იყო გარემოსდაცვითი მოთხოვნების უგულველყოფისა და საზოგადოებრიობის ინტერესების გაუთვალისწინებლობის შემთხვევები. სწორედ ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად გადაწყდა შემუშავებულიყო კანონი, რომელიც დაარეგულირებდა საქმიანობაზე ნებართვის გაცემის პროცედურას, ევროპის ქვეყნების გამოცდილების შესაბამისად.

წლების განმავლობაში საქმიანობაზე ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება თანამდებობის პირთა მიერ ერთპიროვნულად ხდებოდა

საქმიანობაზე ნებართვის გაცემის პროცედურა — ევროკავშირის გამოცდილება

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქმიანობაზე ნებართვის გაცემის პროცედურა ძირითადად ერთნაირი სქემით ხორციელდება. პოტენციური ინვესტორი საქმიანობაზე ნებართვის მისაღებად განაცხადით მიმართავს კომპეტენტურ ორგანოს. კომპეტენტური ორგანო განიხილავს განაცხადს და იმავდროულად, პრესის საშუალებით აწვდი ინფორმაციას საზოგადოებას. გარკვეულ ვადის განმავლობაშ მოქალაქეებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ საშუალება გაეცნონ საქმიანობის შესახებ განაცხადს. თუ საზოგადოებრიობა გარკვეული ვადის განმავლობაში არ გამოთქვამს წინააღმდეგობას პროექტის განხორციელებაზე, მაშინ კომპეტენტური ორგანო საქმიანობაზე ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს საზოგადოების შემდგომი მონაწილეობის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეები ეწინააღმდეგებიან პროექტის განხორციელებას, მაშინ კომპეტენტური ორგანო მართავს პროექტის საჯარო განხილვას ინვესტორის და საზოგადოებრიობის წარმომადგენლების მონაწილეობით. მოსმენის შედეგების გათვალისწინებით, კომპეტენტური ორგანო ღებულობს გადაწყვეტილებას, რომელიც ქვეყნდება გაზეთებში. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორს ან მოქალაქეებს უსამართლოდ მიაჩნიათ მიღებული გადაწყვეტილება, ისინი მიმართავენ სასამართლოს.

რაც შეეხება ნებართვის არსს, იგი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, რაც საკანონმდებლო სისტემის თავისებურებებით არის განპირობებული. მაგალითად, იტალიასა და ესპანეთში გაიცემა ორი სახის ნებართვა: ნებართვა ობიექტის მშენებლობაზე და მისი ექსპლოატაციის ნებართვა. აღნიშნული ნებართვების მოქმედების ვადა არ არის დროში შეზღუდული. ინგლისსა და უელსში გაიცემა ინტეგრირებული ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა ოთხი წელია. გერმანიაში, მავნე გამონაბოლქვებზე კონტროლის შესახებ ფედერალური კანონის შესაბამისად, ნებართვა მოიცავს სხვა ნებართვებს, მათ შორის სამშენებლო ნებართვასაც. გამონაკლისს წარმოადგენს ის ნებართვა, რომლის მიღება რეგულირდება წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების შესახებ კანონის, ასევე ბირთვული ენერგიის გამოყენების შესახებ და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შესახებ კანონების ფარგლებში. შესაბამისად, ნებართვას ნაწილობრივ ინტეგრირებული სახე აქვს და მისი მოქმედების ვადა არ არის დროში შეზღუდული. იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობის განმხორციელებლის მიერ არ სრულდება კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია აკრძალოს საქმიანობა, ან მისი გარკვეული ნაწილი.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქმიანობაზე ნებართვის გაცემის პროცედურის ხანგრძლივობა საშუალოდ 5-12 თვეს შეადგენს

ნებართვის გაცემის პროცედურის ხანგრძლივობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, იქნება ეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადები, ნებართვის ხასიათი, საზოგადოების მონაწილეობა და ა.შ. საშუალოდ პროცედურის ხანგრძლივობა ესპანეთში, საფრანგეთსა და იტალიაში 8 თვეს შეადგენს, ინგლისსა და უელსში — 7 თვეს, გერმანიაში — 10-12 თვეს, ბელგიაში კი — 5 თვეს.

როგორც ზემოთაღნიშნულიდან ჩანს, მთელ რიგ ქვეყნებში საქმიანობაზე ნებართვის

გაცემისათვის კომპეტენტური ორგანოს მიერ სრულდება კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურა, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს საზოგადოების მონაწილეობა წარმოადგენს.

საქართველოში ამგვარი კანონის შექმნის იდეა 1994 წელს დაიბადა. კანონპროექტის ავტორებს საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებაზე ნებართვა წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც ერთი კომპლექსური ნებართვა, რომელიც შეიცავდა სხვადასხვა სახის ნებართვებს, მათ შორის გარემოსდაცვით ნებართვას, არქიტექტურულ ნებართვას, მიწითსარგებლობის ნებართვას და სხვა. აღნიშნულ ნებართვას პოტენციური ინვესტორის განაცხადის საფუძველზე გასცემდა კომპეტენტური ორგანო, რომელიც გადაწყვეტილებას მიიღებდა სხვადასხვა ორგანოების გადაწყვეტილებებისა და საზოგადოების აზრის გათვალისწინებით. აღნიშნული სქემა ერთის მხრივ გაუადვილებდა ინვესტორს ნებართვის მიღების პროცედურას, რადგან მას მხოლოდ ერთ ორგანოსთან მოუწევდა ურთიერთობა, მეორეს მხრივ კი უზრუნველყოფდა გადაწყვეტილების ობიექტურობას. სამწუხაროდ, იმ პერიოდში შეუძლებლად იქნა მიჩნეული ასეთი კომპლექსური ნებართვის არსებობა, რის შემდეგაც შეიქმნა კანონი გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ. კანონპროექტი მომზადებული იქნა სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის მიერ, გერმანელი ექსპერტების მონაწილეობითა და ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით. კანონპროექტი პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივის სახით წარუდგინა პარლამენტის წევრმა ზურაბ ნოღაიდელმა.

საზოგადოებისა და სახელმწიფო ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით და ადამიანის ჯანმრთელობის, ბუნებრივი გარემოს, ასევე კულტურულ და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელია გარემოსდაცვითი ნებართვა.

დღესდღეობით საქმიანობის დასაწყებად აუცილებელ ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს გარემოსდაცვითი ნებართვა. ეს მოთხოვნა ჩადებულია საქართველოს კანონში „გარემოს დაცვის შესახებ", რომელიც ამოქმედდა 1997 წლის 6 იანვარს (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1997 წ. 6 იანვარი, № 3, გვ. 3-4). კერძოდ ამ კანონის მე-X თავში ნათქვამია: „1. საზოგადოებისა და სახელმწიფო ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით და ადამიანის ჯანმრთელობის, ბუნებრივი გარემოს, ასევე კულტურულ და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელია გარემოსდაცვითი ნებართვა. 2. გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის წესს ადგენს საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ".

საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ

საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ", რომელიც ამოქმედდა 1997 წლის 1 იანვრიდან (პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება - საქართველოს კანონები, 1996 წ., №27-28/4 (გვ.5-16); გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1996 წ., 7 ნოემბერი, №224 (გვ.3-4)), აწესებს საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის განსახორციელებლად გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის, ნებართვის გაცემისას სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და ასევე, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობისა და მისი ინფორმირების სამართლებრივ საფუძვლებს. კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ საქმიანობაზე, რომლის განხორციელება დაგეგმილია კანონის ძალაში შესვლის შემდეგ.

საქმიანობების კატეგორიები

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" შესაბამისად, საქმიანობა („სამეწარმეო, სამეურნეო და ყველა სხვაგვარი საქმიანობა, განსახლებისა და განვითარების გეგმებისა და პროექტების განხორციელება, ინფრასტრუქტურული პროექტების, განაშენიანებისა და სექტორული განვითარების გეგმების, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყლის, ტყის, მიწის, წიაღისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენებისა და სარგებლობის პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ჩათვლით, ასევე არსებული საწარმოების მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია და ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლება") იყოფა ოთხ კატეგორიად მასშტაბის, მნიშვნელობისა და გარემოზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით. შესაბამისად, ცალკეული კატეგორიის საქმიანობის გარემოსდაცვითი ნებართვის მიღებისათვის კანონი ითვალისწინებს განსხვავებულ

პროცედურას.

I კატეგორიას განეკუთვნება საქმიანობა, რომელმაც თავისი მასშტაბით, განლაგებითა და შინაარსით შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული უარყოფითი და შეუქცევადი ზემოქმედება გარემოზე, ბუნებრივ რესურსებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე. მაგალითად, პირველ კატეგორიაში შედის ისეთი სახიფათო საქმიანობები, როგორიც არის მინერალური ნედლეულის მოპოვება და გამდიდრება, ნავთობნედლეულის გადამუშავება, დიდი სიმძლავრის თბოელექტროსადგურების მშენებლობა, ნებისმიერი ტიპისა და სიმძლავრის ქიმიური წარმოება და მეტალურგიული წარმოება, ნარჩენების გადამუშავება. ამავე კატეგორიაში შესულია დღესდღეობით ჩვენი ქვეყნისთვის უაღრესად აქტუალური ინფრასტრუქტურული გეგმების, პროექტებისა და პროგრამების განხორციელება, მათ შორის ენერგოსისტემის განვითარების პროგრამები, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები, საავტომობილო გზების, რკინიგზების და აეროდრომების, ხიდების და ესტაკადების პროექტები. აქვე შედის ნებისმიერი დანიშნულების მაგისტრალური მილსადენების პროექტები. აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურული გეგმები, პროექტები და პროგრამები საჭიროებენ გარემოსდაცვით ნებართვას სახელმწიფო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ მათი მიღების, მოწონების ან დამტკიცების წინ.

გარემოსდაცვით ნებართვას ამ კატეგორიის საქმიანობისათვის გასცემს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

1. გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ);
2. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა;
3. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობა.

II კატეგორიას განეკუთვნება საქმიანობა, რომელმაც თავისი მასშტაბით, განლაგებით და შინაარსით შეიძლება მოახდინოს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე და იმ რეგიონის გარემოზე, სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება. ამ კატეგორიას განეკუთვნება ისეთი საქმიანობები, როგორიც არის მტკნარი სასმელი და მინერალური წყლების დაძიების ბურღვითი სამუშაოები, 10 მეგავატზე ნაკლები სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების, თბოელექტროსადგურების და სხვა თერმული საწარმოების მშენებლობა, მიწების რეკულტივაცია, ტყის ჭრა, კომუნალური მეურნეობის, მათ შორის კანალიზაციის სამუშაოები, აგურის, კაფელის, თაბაშირის ფილების დამამზადებელი საწარმოების მშენებლობა, ქიმიური პროდუქტების გადასატანი ცისტერნების სარეცხი საწარმოების მშენებლობა და სხვა.

გარემოსდაცვით ნებართვას მეორე კატეგორიის საქმიანობისათვის გასცემს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. ნებართვის გაცემის პროცედურის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

1.სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება
2.გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგაოებრიობის მონაწილეობა.

III კატეგორიას განეკუთვნება საქმიანობა, რომელიც თავისი მასშტაბით, განლაგებით და შინაარსით არ გამოიწვევს მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას გარემოზე. ამ კატეგორიაში შედის ძირითადათ კვების პროდუქტების წარმოება, როგორიც არის ყავისა და მზესუმზირის მოსახალი საწარმოების შექმნა, უალკოჰოლო სასმელების წარმოება, თამბაქოს წარმოება, საკონსერვო წარმოება. ამავე კატეგორიას განეკუთვნება კერამიკული საწარმოების მშენებლობა, ბენზინის გასამართი სადგურების მოწყობა, საავადმყოფოების მშენებლობა და სხვა.

III კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვით ნებართვას გასცემენ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რეგიონალური სამსახურები და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები.

ამ კატეგორიის საქმიანობისათვის ნებართვის გაცემის პროცედურის აუცილებელი ნაწილებია:

1. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა
2. საზოგადოების ინფორმირება დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

IV კატეგორიას განეკუთვნება საქმიანობა, რომელიც გამოიწვევს უმნიშვნელო ზემოქმედებას გარემოზე. საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ თანახმად IV კატეგორიის საქმიანობის ჩამონათვალს დებულებით ამტკიცებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

დღესდღეობით მომზადებულია IV კატეგორიის საქმიანობის ჩამონათვალი, რომელიც დაიგზავნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რეგიონალურ სამსახურებს დამატებებისათვისა და კომენტარებისათვის. ამის შემდეგ მოხდება IV კატეგორიის საქმიანობის ჩამონათვალის საბოლოო ვარიანტის დადგენა და დებულების დამტკიცება.

აღნიშნული კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვით ნებართვას გასცემს გარემოსა

და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რეგიონალური ან ადგილობრივი სამსახური. ნებართვის გაცემის პროცედურის აუცილებელი ნაწილია სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა. საზოგადოების ინფორმირების მოთხოვნა ამ კატეგორიისათვის არ არის აუცილებელი.

გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა

საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად ინვესტორმა (საქმიანობის ინიციატორმა) უნდა წარუდგინოს განაცხადი I და II კატეგორიის საქმიანობის შემთხვევაში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ხოლო III და IV კატეგორიის საქმიანობის შემთხვევაში მის რეგიონალურ ან ადგილობრივ ორგანოებს. განაცხადი უნდა შეიცავდეს დამასაბუთებელ დოკუმენტაციას, ინვესტორის განცხადებას საქმიანობაზე ნებართვის მისაღებად, საქმიანობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტს, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს (მხოლოდ I კატეგორიის საქმიანობისათვის).

კანონის საფუძველზე განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას.

ა)დაგეგმილი საქმიანობის დასახელება, ინვესტორის ვინაობა და მისამართი;
ბ)დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობა;
გ)საქმიანობის დაწყებისა და დამთავრების სავარაუდო თარიღი, საქმიანობის მიზნები;
დ)საქმიანობისათვის საჭირო ნაგებობების სქემა;
ე)ტექნოლოგიური პროცესების მოკლე აღწერა;
ვ)იმ ღონისძიებათა აღწერა, რომლებიც დაგეგმილია გარემოზე და სოციალურ ფაქტორებზე ზემოქმედების შესამცირებლად;
ზ)გამოსაყენებელი ბუნებრივი რესურსების ჩამონათვალი და რაოდენობა;
თ)მოსალოდნელი ემისიის მოცულობა და სახეობა;
ი)ემისიის მოცულობის დასადგენად დაგეგმილი მეთოდები;
კ)საწარმოო პროცესების შედეგად მიღებული ნარჩენების სახეები, ოდენობა განთავსების შესაძლო ადგილები, ნარჩენების შესამცირებლად და გადასამუშავებლად დაგეგმილი ღონისძიებები;
ლ)ტექნოლოგიური ავარიების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილი უსაფრთხოების ზომები.

I კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა

I კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა შემდეგნაირია: პირველ რიგში საქმიანობის ინიციატორს შეაქვს განაცხადი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში. განაცხადის მიღებიდან 10 დღის ვადაში საზოგადოებრიობის ინფორმირების მიზნით სამინისტრო აქვეყნებს განაცხადის მოკლე ანოტაციას. ამ ინფორმაციასთან ერთად მითითებული იქნება საქმიანობის განხორციელების საკითხებთან დაკავშირებული საჯარო განხილვის დრო და ადგილი. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აქვს განსაზღვრული 45 დღე (საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან) საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისგან წერილობითი შენიშვნების მიღებისა და განხილვისათვის.

განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა სამინისტრომ უნდა ჩაატაროს საქმიანობის განხორციელების საკითხებთან დაკავშირებული საჯარო განხილვა, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ინვესტორს, სამინისტროს და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

სამინისტრო დოკუმენტაციის მიღებიდან 3 თვის ვადაში ვალდებულია პროექტს ჩაუტაროს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა; დაადგინოს შეესაბამება თუ არა საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობას, საქართველოში მოქმედ გარემოს დაცვის ნორმებს და საზოგადოების აზრის გათვალისწინებით მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ.

II კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა

II კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვით ნებართვას გასცემს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. პროცედურა მსგავსია I კატეგორიის საქმიანობაზე ნებართვის გაცემის პროცედურისა, იმ განსხვავებით, რომ ინვესტორს არ მოეთხოვება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარება. განაცხადის მიღებიდან 10 დღის ვადაში სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს განაცხადის ანოტაციის გამოქვეყნება საქმიანობის განხორციელების საკითხებთან დაკავშირებული საჯარო განხილვის დროისა და ადგილის მითითებით. სამინისტრო განიხილავს საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა წერილობითი შენიშვნებს, მიღებული ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა სამინისტრო ვალდებულია ჩაატაროს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა, დაადგინოს შეესაბამება თუ არა საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობას, საქართველოში მომქმედ გარემოსდაცვით ნორმებს და

საზოგადოების აზრის გათვალისწინებით მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ.

III კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა

III კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვით ნებართვას გასცემენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რეგიონალური (საქალაქო) ორგანოები და აჭარისა და აფხაზეთის რესპუბლიკები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები.

III კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის მიღებაზე განაცხადის მიღებიდან 10 დღის ვადაში ზემოთ ჩამოთვლილი ორგანოები ვალდებულნი არიან პრესაში გამოაქვეყნონ საქმიანობის შესახებ განაცხადთან ერთად ინვესტორის მიერ წარმოდგენილი მოკლე ანოტაცია. ამ კატეგორიისათვის განაცხადის მიღებიდან 2 თვის ვადაში ზემოთაღნიშნული ორგანოები ვალდებულნი არიან დოკუმენტაციას ჩაუტარონ სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა, რომლის დროსაც დადგინდება შეესაბამება თუ არა საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობას, საქართველოში მომქმედ გარემოს დაცვის ნორმებს. ამავე ვადაში მოხდება საზოგადოების ინფორმირება და საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. III კატეგორიის საქმიანობისათვის გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურის აუცილებელი ნაწილია საზოგადოების ინფორმირება, მაგრამ I და II კატეგორიერბის საქმიანობისგან განსხვავებით, პროცედურა არ ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას.

IV კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა

IV კატეგორიის საქმინობისათვის გარემოსდაცვითი ნებართვის მიღებისათვის ინვესტორმა უნდა წარუდგინოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის რეგიონალური ან ადგილობრივ ორგანოს განაცხადი. ამ ორგანოებში დოკუმენტაციის განხილვის მაქსიმალური ვადაა 1 თვე. ამ ხნის განმავლობაში დოკუმენტაციას უნდა ჩაუტარდეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა და გაიცეს გარემოსდაცვითი ნებართვა. IV კატეგორიის საქმიანობისათვის საზოგადოებრიობის მონაწილეობა კანონით განსაზღვრული არ არის.

ქვემოთმოყვანილ სქემაზე წარმოდგენილია საქართველოს „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" კანონის შესაბამისად სხვადასხვა კატეგორიის საქმიანობისათვის გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების პროცედურა. სქემაზე ნათლად და თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების ეტაპები. სქემა შემუშავებული იქნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპატამენტში.

გარემოსდაცვითი ნებართვების გარეშე საქმიანობის დაწყება საქართველოში ისჯება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი იწყებს საქმიანობას გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე, მას ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" (ამოქმედდა 1997 წლის 1 აგვისტოდან; გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1997 წ., 11 ივლისი, № 159, გვ 4-5; მუხლი 791, 792 და 2441) ადგენს პასუხისმგებლობას გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში. მეოთხე, მესამე და მეორე კატეგორიას მიკუთვნებული საქმინობის განხორციელება გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე ითვალისწინებს სხვადასხვა ოდენობის ჯარიმებს: მეოთხე კატეგორიისთვის - 100-500 ლარი, მესამე კატეგორიისთვის - 500-1000 ლარი, მეორე კატეგორიისთვის - 1000-3000 ლარი. რაც შეეხება პირველ კატეგორიას, ამ კატეგორიის საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით 5 000-10 000 ლარის ოდენობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, I კატეგორიის საქმიანობისათვის გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად ინვესტორმა უნდა წარადგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში.

რა არის გზშ-ს პროცედურა?

გზშ არის პროცესი რომელიც წინასწარმეტყველებს შემოთავაზებული პროექტის გარემოზე ზემოქმედებას. გზშ-ს პროცესის დროს ხდება პროექტის გარემოზე

საზოგადოების აზრის გათვალისწინებით მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ.

III კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა

III კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვით ნებართვას გასცემენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რეგიონალური (საქალაქო) ორგანოები და აჭარისა და აფხაზეთის რესპუბლიკები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები.

III კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის მიღებაზე განაცხადის მიღებიდან 10 დღის ვადაში ზემოთ ჩამოთვლილი ორგანოები ვალდებულნი არიან პრესაში გამოაქვეყნონ საქმიანობის შესახებ განაცხადთან ერთად ინვესტორის მიერ წარმოდგენილი მოკლე ანოტაცია. ამ კატეგორიისათვის განაცხადის მიღებიდან 2 თვის ვადაში ზემოთაღნიშნული ორგანოები ვალდებულნი არიან დოკუმენტაციას ჩაუტარონ სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა, რომლის დროსაც დადგინდება შეესაბამება თუ არა საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობას, საქართველოში მოქმედ გარემოს დაცვის ნორმებს. ამავე ვადაში მოხდება საზოგადოების ინფორმირება და საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. III კატეგორიის საქმიანობისათვის გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურის აუცილებელი ნაწილია საზოგადოების ინფორმირება, მაგრამ I და II კატეგორიერბის საქმიანობისგან განსხვავებით, პროცედურა არ ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას.

IV კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა

IV კატეგორიის საქმინობისათვის გარემოსდაცვითი ნებართვის მიღებისათვის ინვესტორმა უნდა წარუდგინოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის რეგიონალური ან ადგილობრივ ორგანოს განაცხადი. ამ ორგანოებში დოკუმენტაციის განხილვის მაქსიმალური ვადაა 1 თვე. ამ ხნის განმავლობაში დოკუმენტაციას უნდა ჩაუტარდეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა და გაიცეს გარემოსდაცვითი ნებართვა. IV კატეგორიის საქმიანობისათვის საზოგადოებრიობის მონაწილეობა კანონით განსაზღვრული არ არის.

ქვემოთმოყვანილ სქემაზე წარმოდგენილია საქართველოს „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ კანონის შესაბამისად სხვადასხვა კატეგორიის საქმიანობისათვის გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების პროცედურა. სქემაზე ნათლად და თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების ეტაპები. სქემა შემუშავებული იქნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპატამენტში.

გარემოსდაცვითი ნებართვების გარეშე საქმიანობის დაწყება საქართველოში ისჯება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი იწყებს საქმიანობას გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე, მას ეკისრება პასუხისმგებლობა საქაროველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ (ამოქმედდა 1997 წლის 1 აგვისტოდან; გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997 წ., 11 ივლისი, № 159, გვ 4-5; მუხლი 791, 792 და 2441) ადგენს პასუხისმგებლობას გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში. მეოთხე, მესამე და მეორე კატეგორიას მიკუთვნებული საქმინობის განხორციელება გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე ითვალისწინებს სხვადასხვა ოდენობის ჯარიმებს: მეოთხე კატეგორიისთვის - 100-500 ლარი, მესამე კატეგორიისთვის - 500-1000 ლარი, მეორე კატეგორიისთვის - 1000-3000 ლარი. რაც შეეხება პირველ კატეგორიას, ამ კატეგორიის საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით 5 000-10 000 ლარის ოდენობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, I კატეგორიის საქმიანობისათვის გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად ინვესტორმა უნდა წარადგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში.

რა არის გზშ-ს პროცედურა?

გზშ არის პროცესი რომელიც წინასწარმეტყველებს შემოთავაზებული პროექტის გარემოზე ზემოქმედებას. გზშ-ს პროცესის დროს ხდება პროექტის გარემოზე

გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების პროცედურა



ზემოქმედებათა შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მათი მხედველობაში მიღება გადაწყვეტილების მიღების დროს.

გზშ არის ნაწილი პროექტირების ციკლისა, თუ წარმოვიდგენთ, რომ პროექტის ციკლი არის საფეხურების სერია, დაწყებული პროექტის იდეით დამთავრებული მისი განხორციელებით. გზშ უნდა იწყებოდეს პროექტირების ციკლის მოსამზადებელ ფაზაში.

გზშ გვარწმუნებს, რომ პროექტის განვითარებას არ მოჰყვება გარემოსთვის დამღუპველი შედეგები. იგი ეხმარება პროექტის გარემოდაცვითი ასპექტების განხილვას და შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავებას.

გზშ-ს პროცესის ფორმალური განვითარება დაიწყო აშშ-ში 1969 წელს, როგორც შედეგი ეროვნული გარემოსდაცვითი პოლიტიკის აქტისა და იგი ამოქმედდა 1970 წლის 1 იანვრიდან. აშშ-ში მისი ამოქმედებიდან 15 წლის განმავლობაში რამოდენიმე ქვეყანაშიც დაარსდა გზშ-ს სავალდებულო სისტემა, კერძოდ კანადაში (1973), ავსტრალიაში (1974), ახალ ზელანდიაში (1974) და საფრანგეთში (1976). მის შემდეგ გზშ-ს სისტემა დაინერგა მთელ მსოფლიოში და გახდა ძლიერი გარემოსდაცვითი იარაღი პროექტის დაგეგმვის პროცესში. გზშ-ს განვითარების მეორე ტალღა დაიწყო 1985 წელს როდესაც მიღებული იქნა ევროგაერთიანების დირექტივა გზშ-ს შესახებ (Directive 85/337/EEC). დირექტივა უზრუნველყოფს გარემოს დაცვისადმი ე.წ. პრევენტიულ მიდგომას, მოითხოვს რა გარემოზე საქმიანობის შესაძლო გავლენის შეფასებას მისი დაპროექტების სტადიაზე. დირექტივის I და II დამატებაში მოცემულია იმ საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ გარემოზე. წევრ ქვეყნებისათვის სავალდებულოა I დამატებაში ჩამოთვლილ საქმიანობისათვის გზშ-ს ჩატარება, რაც შეეხება II ჩამონათვალს, მათში განხილულ საქმიანობებზე გზშ-ს ჩატარების აუცილებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება წევრი ქვეყნის პრეროგატივაა.

წევრი ქვეყნების უმრავლესობაში გზშ პროცედურა ინტეგრირებულია ნებართვის გაცემის პროცესში და მისი ჩატარება მოეთხოვება პროექის ავტორს. განსხვავებული სისტემა მოქმედებს იტალიაში, პორტუგალიასა და ბელგიაში. იტალიაში გარემოს დაცვის სამინისტროში არსებობს სპეციალური გზშ კომისია, რომელიც შეისწავლის პროექტს და აფასებს მას პროექტის ავტორის მიერ წარმოდგენილი გზშ-ის მოხსენების საფუძველზე. კომისია იძლევა რეკომენდაციებს შესაძლო ალტერნატივების შესახებ. გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ვალდებულია გაითვალისწინოს კომისიის დასკვნა და რეკომენდაციები. პორტუგალიაში გარემოზე ზემოქმედების შესახებ დასკვნითი მოხსენებას ამზადებს არა ნებართვის გაცემაზე კომპეტენტური ორგანო, არამედ გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი რეგიონალური ორგანო. ბელგიაში გზშ-ს ატარებს კომპეტენტური ორგანოს მიერ შერჩეული ექსპერტი.

ჩვეულებრივ, გზშ-ს შედეგები გათვალისწინებულია ნებართვის გაცემის პროცესში. ესპანეთში, საბერძნეთსა და პორტუგალიაში გარემოს დაცვის სამინისტროებს მინიჭებული აქვთ უფლება გზშ-ის შედეგებზე დაყრდნობით დაადონ ვეტო პროექტის განხორციელებას.

რიგ ქვეყნებში გარემოს დაცვის სამინისტროებს აქვთ უფლება გზშ-ს შედეგებზე დაყრდნობით ვეტო დაადონ პროექტის განხორციელებას

ყოველწლიურად საფრანგეთში საშუალოდ 6000 პროექტს უტარდება გზშ, გაერთიანებულ სამეფოში - 200, იტალიაში - 50, ჰოლანდიასა და ბელგიაში კი - 40. ეს რაოდენობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის იმაზეც, თუ რა სახის საქმიანობისთვის არის მიჩნეული აუცილებლად გზს-ის პროცედურის ჩატარება.

ყოფილ საბჭოთა კავშირში პარალელურად ჩამოყალიბდა ორი აბსოლუტურად განსხვავებული და ზოგჯერ კონფლიქტური სისტემა - სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა და გარემოზე ზემოქმედების შეფასება. პირველი სისტემა იყო შედეგზე ორიენტირებული და ემყარებოდა ტრადიციულ საბჭოურ გადაწყვეტილების მიღების სისტემას. მეორე სისტემა კი იყო პროცესზე ორიენტირებული და ცდილობდა გამოეყენებინა დასავლური გზშ-ს პროცესის მსგავსი მექანიზმები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1991 წელს, ახლად წარმოქმნილმა დამოუკიდებელმა ქვეყნებმა დაიწყეს თავიანთი გზშ-ს სისტემების განვითარება, რომლებზეც გარკვეულწილად გავლენა მოახდინა მემკვიდრეობით მიღებულმა გზშ-ს სისტემებმა.

გზშ პროცედურის საფეხურები

საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, გზშ-ს პროცესი შედგება შემდეგი საფეხურებისაგან:

1. **სკრინინგი** (წინასწარი შეფასება) - გზშ-ს პირველი საფეხურია, რომელიც წარმოდგენილი პროექტისათვის გზშ-ს პროცედურის ჩატარების აუცილებლობას ადგენს. სკრინინგის დახმარებით გარემოზე უმნიშვნელო